ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ A6

"ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲝᲑᲐᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ" A7

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ B6

www.24hours.ge

24 საათი

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ

© ᲒᲐᲖᲔᲗᲘ 24 ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 2004 ᲬᲔᲚᲘ. №94 (643)

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 2004

1. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრის სამართლებრივი საფუძვლები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უზენაესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. ასეთ საფუძვლად ვერ გამოდგება სხვა ვერანაირი სამართლებრივი აქტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დღეს მოქმედი კონსტიტუციის ჩათვლით.

საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილია:

"3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უნდა განისაზღვროს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტით - კონსტიტუციური კანონით - რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი გახდება (ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9). ამასთანავე, ვინაიდან კონსტიტუციური კანონი თავისი ფორმალური სტატუსით იგივეა, რაც კონსტიტუციის გადასინჯვის კანონი, მისი ინიცირება და მიღება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლით კონსტიტუციის გადასინჯვისათვის დადგენილი წესით. მაშასადამე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიცირების უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარს და არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს. აღნიშნული კანონის პროექტი, მინიმუმ ერთთვიანი საერთო სახალხო განხილვის შემდეგ, მოწონებული უნდა იქნეს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის მინიმუმ 2/3-ის მიერ.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

"ᲜᲘᲐᲜᲑᲔᲑᲘ" ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ

ᲙᲝᲑᲐ ᲚᲘᲙᲚᲘᲙᲐᲫᲔ
"ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ" Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ"

20 აპრილს უკრაინის ოდესის პორტიდან გეზი აიღო სატრანსპორტო გემმა, რომელმაც საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალებისათვის 5 საბრძოლო ვერტმფრენი უნდა ჩამოიტანოს. საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები საბრძოლო ტექნიკის მიღებას მოუთმენლად ელიან, რადგან ძველი ხელისუფლების დროს, 5 წლის წინ გასარემონტებლად წაღებული ტექნიკის დაბრუნების იმედი ქართულ მხარეს თითქმის გადაწურული ჰქონდა.

საქართველოს სამხედრო ავიაცია, რომლის პერსპექტივა ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილ ოფიცრებშიც კი ცოტა ხნის წინ სერიოზულ ეჭვს ბადებდა, ნელ-ნელა დაკარგულ პოზიციებს იბრუნებს და რეალურ სამხედრო სახეობად ყალიბდება. ყველაფერი კი 3 მარტს ერთი სასწავლო ფრენის შემდეგ დაიწყო, როდესაც საქართველოს სამხედრო ავიაციის კუთვნილ სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავის კაბინაში მეორე პილოტის ადგილი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიკავა.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲪᲘᲠᲔᲑᲐ - ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲝᲤᲝ ᲑᲣᲙᲘᲐ

კანცელარიაში გუშინ დიდი სტუმრიანობა იყო. საპარლამენტო უმრავლესობის თითქმის სრული შემადგენლობა - 100-ზე მეტი ახალი დეპუტატი პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდა. **"ეს იყო ლიდერის შეხვედრა საკუთარ გუნდთან,"** - აღნიშნავდნენ პრეზიდენტის ინიციატივით გამართული დახურული შეხვედრიდან გამოსული "ნაციონალ-დემოკრატი" დეპუტატები.

პრეზიდენტთან ერთსაათიანი აუდიენცია, როგორც კანონმდებლები აცხადებენ, გულახდილი საუბრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ხასიათს ატარებდა. პრეზიდენტმა და უმრავლესობამ 2004 წლის მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის დღის წესრიგსა და აჭარაში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრეს.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

"ნაციონალების გვარდია" პრეზიდენტთან შეხვედრის წინ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ "ᲐᲡᲐᲤᲠᲔᲜ ᲖᲝᲚᲖᲔ" ᲒᲐᲕᲘᲓᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დღეს მუშაობას იწყებს 2004 წლის მოწვევის პარლამენტი. ახალი საკანონმდებლო ორგანოს ავკარგიანობაზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე დასკვნების გაკეთება გარკვეული დროის შემდეგ იქნება შესაძლებელი, ამჟამად კი მხოლოდ იმაზე შეიძლება საუბარი, როგორია სასტარტო მდგომარეობა და პარლამენტის მუშაობის დახვეწისა და სრულყოფისათვის რა გაკეთდა ორგანიზაციული თვალსაზრისით. ამაზე კი ახალმა რეგლამენტმა "იზრუნა", რომელიც აწ უკვე წინა მოწვევის საკანონმდებლო კორპუსმა მიმდინარე წლის 17 თებერვალს მიიღო.

ახალი პარლამენტის საქმიანობაზე აუცილებლად აისახება ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ ძირეულად შეიცვალა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის დაბალანსებისა და ურთიერთკონტროლის სისტემა. ექსპერტების აზრით, ამ ცვლილებების შედეგად, საკანონმდებლო ორგანო საგრძნობლად დასუსტდა. პირველად ხდება, რომ ტრადიციული ოთხწლიანი ციკლის დასრულება დეპუტატებს გარანტირებული არა აქვთ - საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ისინი ვადაზე ადრე "გაუშვას სახლებში".

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘ ᲓᲐᲘᲪᲮᲠᲝ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲐᲫᲔ

მთავრობის სხდომა გუშინ, დილის 11-დან 16 საათამდე გაგრძელდა. მთავრობამ გუშინ ცხრა ძირითად საკითხზე იმსჯელა. ცხადია, იქიდან გამომდინარე, რომ სხდომა დახურულ ფორმატში გაიმართა, მისი დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა. თუმცა, გარკვეული ინფორმაცია, ტრადიციულად, მაინც გაჟღერდა.

მთავრობის სხდომაზე პირველი საკითხი სახელმწიფო მინისტრის ზურაბ მელიქიშვილის მოხსენება გახლდათ, რომელიც მმართველობითი სისტემის დეცენტრალიზაციის, მმართველობის დონეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის და თვითმმართველობის განვითარების სამთავრობო-საკოორდინაციო კომისიის შექმნას ეძღვნებოდა.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲤᲣᲜᲘᲙᲣᲚᲘᲝᲠᲘ

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲗᲝᲓᲣᲐ

ჩემი თაობის სხვა ბავშვების მსგავსად, ფუნიკულიორთან დაკავშირებით კამათი მშობლებთან მხოლოდ ერთ საკითხზე მიხდებოდა: საბაგიროთი ავსულიყავით და ტრამვაით დავბრუნებულიყავით თუ პირიქით? ამ მნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმების შემდეგ ყველაზე მაღალი "ეშმაკის ბორბლით" ერთი წრის დარტყმა, 300 გრამი ნაყინით პირის ჩატკბარუნება და ზევიდან ნაცნობი სახლებისა თუ ქუჩების ამოცნობა აღარანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. მოგვიანებით გავაცნობიერე, რატომ ვსწავლობდი საბუნებისმეტყველო საგნებიდან მხოლოდ ასტრონომიას - ალბათ, სამუდამოდ მემახსოვრება ის არაჩვეულებრივი პლანეტარიუმი, ერთ დროს ფუნიკულიორზე რომ მდებარეობდა.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A8 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲒᲐᲠᲘᲚᲐ ᲐᲛᲘᲠᲯᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ფუნიკულიორის პლატოს მთავარი შენობა დღეს.

ᲡᲔᲛᲔᲙ-ᲘᲡ 28 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ

ზამთარი გავიდა და ენერგოპრობლემებმა, თითქოსდა, უკანა პლანზე გადაინაცვლა. თუმცა, სინამდვილეში, ენერგოომი ახლა იწყება. მეორე წევრის - ირმა ქავთარაძის დანიშვნის შემდეგ ელექტროენერგეტიკული სექტორის უმაღლეს მარეგულირებელ ორგანოს ხელფეხი გახსნილი აქვს და ის უფლებამოსილია, გადაწყვეტილებები მიიღოს.

განახლებული სემეკ-ის პირველი სხდომა 28 აპრილისთვისაა დანიშნული. შეგახსენებთ, კომისიის გადაწყვეტილებას დღეისათვის უკვე რამდენიმე საკვანძო საკითხი ელის. თუმცა, მათ შორის უმთავრესი საკითხები, სავარაუდოდ, დიდ ვნებათაღელვებს გამოიწვევს. მიზეზი მარტივია - ეს საკითხები სადავოა და პრინციპულად მნიშვნელოვანი ენერგეტიკის მომავალი

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ

დღეს დღის ბოლომდე თბილისის მერიის სამსახურის უფროსებმა გადადგომის შესახებ განცხადება უნდა დაწერონ. სამსახურში დაბრუნების შანსი მხოლოდ კომპეტენტურ, პატიოსან და არაკორუმპირებულ კადრებს ექნებათ. ორი კვირის შენდეგ მერიის ხელმძღვანელობა ქალაქის სამსახურების ახალ უფროსებს დაამტკიცებს.

A3

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ

"24 საათი" უკვე არაერთხელ იუწყებოდა ნავთობპროდუქტების სეგმენტში არსებული მდგომარეობის შესახებ. მთავრობამ ნავთობპროდუქტების ბიზნესის გათეთრება პრიორიტეტად გამოაცხადა და გუშინ ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა სცადა.

A4

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲑᲐᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ

თურქმენეთში პრეზიდენტის მიმართ მორჩილება აბსურდამდე მიდის. მაღალჩინოსნები თურქმენბაშის ნებისმიერ კომენტარს დაუწერელ კანონად აღიქვამენ.

A5

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲡ ᲓᲔᲜᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲔᲗᲘᲨᲔᲑᲐᲗ

თბილისის მერიამ თელასის გენერალურ დირექტორთან დანგილას ნიკალაევთან დღის ბოლოს მიაღწია შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, მერია თავდაპირველად - 200 ათას ლარს, თვის ბოლომდე კი 700 ათას ლარს გადაიხდიდა.

A6

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲝᲗᲨᲘ

ფოთის პოლიციის სამმართველოს ახალდანიშნულმა უფროსმა თენგიზ მიქაძემ, რომელიც ამ თანამდებობაზე გუშინწინ დაინიშნა - თავი უმალ ისახელა. გუშინ ფოთის პოლიციამ ოპერატიულად, დანაშაულის მოხდენიდან სულ რამდენიმე წუთში მოახერხა მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავება.

A7

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	13
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	18
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ	19
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ	18
ᲤᲝᲗᲘ	21
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ	12
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ	21
ᲒᲝᲠᲘ	12
ᲐᲮᲛᲔᲢᲐ	13
ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ	14
ᲒᲐᲒᲠᲐ	17
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ	19

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲚᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ	1.9750
ᲔᲕᲠᲝ	2.3369
ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚ.	3.5112
ᲠᲣᲑᲚᲘ	0.0683

A2 ᲐᲛᲑᲔᲑᲘ A3 ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ A4 ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ A5 ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ A6 ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ A7 ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ A8 ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

B2 ᲠᲔᲕᲘᲣ B3 ᲠᲔᲕᲘᲣ B4 ᲡᲞᲝᲠᲢᲘ B5 ᲡᲞᲝᲠᲢᲘ B6 ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ B7 ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ B8 ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

კიდევ ერთი დაპირება - ნამდვილი პარლამენტარიზმი საქართველოში

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილმა ახალი პარლამენტის დეპუტატებს მოსთხოვა: ყველაფერი გააკეთეთ, რომ 2004 წლის მოწვევის პარლამენტი უფრო ქმედითუნარიანი და ნაყოფიერი იყოსო.

თავად დეპუტატები გვპირდებიან, რომ წინამორბედი პარლამენტის შეცდომები მემკვიდრეობად არ ერგებათ და **"საქართველოში ნამდვილ პარლამენტარიზმს"** ჩაუყრიან საფუძველს. მომავალი პარლამენტის თავმჯდომარეობის, ჯერ-ჯერობით, ერთადერთ კანდიდატს ნინო ბურჯანაძეს იმედი აქვს, რომ 2004 წლის მოწვევის პარლამენტთან უფრო კონსტრუქციულ თანამშრომლობას შეძლებს.

"პრეზიდენტთან უფრო დეტალურად ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პარლამენტის პირველი სხდომა. ჩვენს ამომრჩევლებს ორ სასიამოვნო სიურპრიზს ვპირდებით," - განაცხადა ბურჯანაძემ კანცელარიის შენობიდან გასვლისას. სახელმწიფო კანცელარია კანონმდებლებმა კმაყოფილებმა დატოვეს და სიამოვნებით პოზირებდნენ ტელეკამერების წინ.

გადაწყდა, რომ დღევანდელი სხდომა ახალი სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნება, რასაც პარლამენტის დეპუტატებისთვის იმუნიტეტის შეზღუდვის საკითხი, პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა და აჭარის თემის განხილვა მოჰყვება. სავარაუდოდ, აჭარასთან დაკავშირებით პარლამენტი სპეციალურ დადგენილებას მიიღებს.

რაც შეეხება საკადრო საკითხებს, როგორც მაჭავარიანი აცხადებს, დღეს დანიშვნები არ განხორციელდება. მისი თქმით, ამ კვირის განმავლობაში პარლამენტი ფრაქციებს ჩამოაყალიბებს და კომიტეტებისთვის კვოტებს დაადგენს. **"შესაძლოა, უფრო მეტი რამეც მოვასწროთ, ახალი პარლამენტი სერიოზულ მუშაობას აპირებს,"** - განაცხადა მან.

როგორც გუშინ აღინიშნა, ახალ პარლამენტში უმრავლესობა ფრაქციებად დაყოფას არ აპირებს და ერთ ფრაქციად იქნება წარმოდგენილი: **"ვინც ფრაქციებად დაიყოფა, ის წაგებს,"** - ნახევრად ხუმრობით აღნიშნა მაჭავარიანმა. მაია ნადირაძე მიიჩნევს, რომ ახალი პარლამენტის უმრავლესობას ძველ "მოქალაქეთა კავშირთან" არავითარი მსგავსება არ ექნება. **"ეს სულ სხვა ტიპის ერთობაა და ჩვენი ამომრჩეველი ამას თავად ნახავს,"** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

2004 წლის პარლამენტის პირველ სხდომას დღეს პრეზიდენტი სააკაშვილი გახსნის.

დავით გამყრელიძე კვლავ ფრაქციის თავმჯდომარე იქნება

გუშინ საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველები-ახლების" წევრებმა ფრაქციის პირველი არაოფიციალური სხდომა გამართეს. ფრაქცია ოპოზიციური იქნება. მისი თავკაცი კი "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე გახდება. უკვე საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საპარლამენტო უმცირესობა არ შეიქმნება. შესაბამისად, გუშინ არც განხილულა ვიცე-სპიკერის საკითხი. შეგახსენებთ: თუ უმცირესობა შეიქმნებოდა, დეპუტატთა ჯგუფს უფლება ექნებოდა, რომ ამ პოსტზე საკუთარი წარმომადგენელი დაესახელებინა.

იმის გამო, რომ მაჟორიტართა აბსოლუტური უმრავლესობა ღიად გამოხატავს საპარლამენტო უმრავლესობასთან თანამშრომლობის სურვილს, უმცირესობაში მათ გაწევრიანებაზე საუბარი არ არის. თანაც, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ "ახალი მემარჯვენეები" და "მრეწველები" პირდაპირ აცხადებენ - საპარლამენტო უმრავლესობამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ მაჟორიტართა ასპროცენტიანი თანადგომა და გულშემატკივრობა მოეპოვებინა.

ასე რომ, უახლოეს ხანებში საპარლამენტო უმრავლესობას მხოლოდ 23-კაციანი ოპოზიცია ეყოლება (პარტიული სიით გასული 15 დეპუტატი პლუს 7 მაჟორიტარი). ამის მიუხედავად, "მრეწველებიც" და "ახლებიც" აცხადებენ, რომ ეს საკმაოდ სერიოზული ოპოზიციური ფრაქცია იქნება, რომლის წევრებიც პარლამენტში ერთპარტიულ მმართველობას ნებისმიერი ხერხით შეებრძოლებიან.

ახალი მოწვევის პარლამენტის პირველივე სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლები კატეგორიულად მოითხოვენ პარლამენტის ახალ რეგლამენტში ცვლილებების შეტანას. "ახალი მემარჯვენეების" გენერალური მდივნის დავით საგანელიძის თქმით, ახალი რეგლამენტი შესაძლებლობას აძლევს სახელისუფლებო ბლოკის წევრებს, შექმნან უმცირესობა, "რაც არანაირად არ არის გამართლებული". "მემარჯვენეების" თქმით, უმცირესობის "წოდება" აუცილებლად ოპოზიციურ ფრაქციას უნდა ერგოს.

24 საათი

კიდევ ერთი საერთაშორისო გამოფენა თბილისში

წელს ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა თბილისში პირველად ჩატარდება. მისი ორგანიზატორია დიდი ბრიტანეთის კომპანია ITE. გამოფენა გაიხსნება 28 აპრილს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" და 30 აპრილამდე იმუშავებს. მასში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია ტელეკომუნიკაციების სფეროში მოქმედი ოპერატორები და მწარმოებლები ირანიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან, სამხრეთ კორეიდან, ჩინეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. საგამოფენო სტენდებზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ფიჭური კავშირის, კომპიუტერული ქსელის, კომპიუტერული პროგრამების, ინტერნეტისა და კომუნიკაციების სფეროს სხვა მიმართულებების შესახებ. საქართველო ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქვეყანაში მოქმედი ოპერატორი კომპანიებით, მათ შორისაა "ჯეოსელი", "ტელენეტი", საქართველოს ელექტროკავშირი", "საქართველოს ტელეკომი" და სხვ.

მედია-ნიუსი

პრეზიდენტმა გუშინ მეტროთი იმგზავრა

იპფ-ფოტო

მიხეილ სააკაშვილი ხალხში.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ მეტროს სადგურ "თავისუფლების მოედნიდან" "ღრმაღელემდე" თბილისის ახლადდანიშნულ პრემიერთან ბიძინა ბრეგაძესთან და საპენსიო ფონდის გენერალურ დირექტორთან ლადო ჭიპაშვილთან ერთად იმგზავრა.

ხალხში გასვლის მორიგი აქცია პრეზიდენტმა პენსიების გაზრდას დაუკავშირა, რომელიც თბილისში - 20 ლარამდე, რეგიონებში კი 17 ლარამდე გაიზარდა. ქვეყნის პირველმა პირმა ამასთან დაკავშირებით ხალხის აზრის პირადად მოსმენა გადაწყვიტა და მეტროს მგზავრებს გაესაუბრა.

მათთან საუბრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც მეტროთი სარგებლობენ, ძირითადად, უმუშევრობა და სოციალური პრობლემები აწუხებთ.

ერთ-ერთ მათგანთან, პედაგოგთან საუბრის დროს პრეზიდენტი გაზის ვაუჩერების საკითხითაც დაინტერესდა. როგორც აღნიშნულმა ქალბატონმა განაცხადა, მან გაზის ვაუჩერი მხოლოდ ერთხელ მიიღო. ამან პრეზიდენტის აღშფოთება გამოიწვია და მან გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის მისამართით მკაცრი განცხადებები გააკეთა.

მეტროპოლიტენის ექვსი სადგურის გავლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი მეტროს სადგურ "ღრმაღელესთან" მდებარე "სახალხო ბანკის" ნაძალადევის ფილიალს ეწვია, ბანკის თანამშრომლებსა და პენსიების ასაღებად მისულ პენსიონერებს თეთრი ვარდები აჩუქა. პრეზიდენტი დაჰპირდა მათ, რომ "როგორც კი ქვეყანა ფეხზე დადგება და აჭარასთან ფინანსური პრობლემები მოგვარდება, ასევე მოისპობა კორუფცია და პენსიები გაიზრდება". მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მომავალი წლიდან პენსიები გაორმაგდება და პარალელურად ძველი დავალიანებების გასტუმრება დაიწყება.

ინტერ-პრესი

პარლამენტი "ასაფრენ ზოლზე" გავიდა

პირველი გვერდიდან

ასეთი დამოკლეს მახვილი კანონმდებლებს აიძულებს, მეტი ყურადღება მიაქციონ დისციპლინასა და წესრიგს: რეგლამენტის თანახმად, თუ დეპუტატი ოთხი თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდენს სხდომებს, პარლამენტს შეუძლია, მისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე იმსჯელოს.

პარლამენტის იმიჯს წაადგება ისიც, რომ წარსულს ჩაბარდება შუაღამემდე და ზოგჯერ ალიონამდე გაწელილი უაზრო დებატები. საკანონმდებლო ორგანოს ახალ "შიდა კონსტიტუციაში" წერია, რომ პლენარული სხდომა მთავრდება 19 საათზე და მისი გაგრძელება, პარლამენტის გადაწყვეტილებით, მხოლოდ 21 საათამდე შეიძლება.

პარლამენტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საგრძნობლად გამარტივდა კომიტეტების ინფრასტრუქტურა: მათი რაოდენობა შემცირდა, ქვეკომიტეტები კი საერთოდ გაუქმდა; ამასთან, იზრდება საპარლამენტო კომიტეტების დატვირთვა, მაღლდება მათი საზედამხედველო როლი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, კანონპროექტების გასავლელი გზა საკომიტეტო მოსმენებიდან მათ საბოლოო მიღებამდე საგრძნობლად არის გაიოლებული.

განახლებული რეგლამენტის თანახმად, ძლიერდება ფრაქციების, როგორც პოლიტიკური სტრუქტურების, მნიშვნელობა. ამავე დროს გაადვილებულია მათი შექმნისა და რეგისტრაციის გავლის პროცედურა. იგივეს თქმა შეიძლება პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტაზეც, რაც ამიერიდან უკვე ავტომატურ რეჟიმში მოხდება.

პარლამენტის რეგლამენტში დეპუტატების "პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაც" არის გათვალისწინებული: კანონის თანახმად, **"პარლამენტარის სამუშაო მაგიდიდან მარჯვენა კუთხეში მოთავსებული უნდა იყოს სახელმწიფო დროშა, ხოლო უკანა კედელზე, ცენტრში - საქართველოს სახელმწიფო გერბი."**

ამასთან, პარლამენტარს კარგი სმენა უნდა ჰქონდეს და სამამდე დათვლა შეეძლოს, რადგან რეგლამენტის 137-ე მუხლის თანახმად, **" სხდომის თავმჯდომარე ჩაქუჩის ორი დარტყმით დამსწრეთ აცნობებს პარლამენტის პლენარული სხდომის დაწყებას, ხოლო სამი დარტყმით - სხდომის დამთავრებას. ყოველი სხვა პროცედურის დაწყება და დამთავრება კი ჩაქუჩის ერთი დარტყმით აღინიშნება."**

ახალ პარლამენტში არც ზრდილობა და ეთიკაა დავიწყებული: რეგლამენტი აწესებს მიმართვის შემდეგ ფორმებს, - ა) ბატონო თავმჯდომარე; ბ) ბატონო სხდომის თავმჯდომარე; გ) პატივცემულო კოლეგა. თუმცა, ძნელად საფიქრებელია, რომ ცხარე კამათისა და, მით უმეტეს, მუშტი-კრივის დროს ეს ნორმა ბოლომდე იქნება დაცული.

"თუ გვინდა, რომ პარლამენტი პარლამენტს დაემსგავსოს, ამ ცვლილებების შეტანა რეგლამენტში აუცილებელია," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში რეგლამენტის ახალ პროექტზე მსჯელობდნენ. როგორ შეეგუებიან ხალხის რჩეულები ახალ რეჟიმს და მართლა "დაემსგავსება თუ არა პარლამენტი პარლამენტს", ამის გარკვევას დიდი დრო სულაც არ დასჭირდება.

"ნიანგები" უკრაინიდან

პირველი გვერდიდან

ნახევარსაათიანი ფრენის შემდეგ მიწაზე დაშვებულ მთავარსარდალს მფრინავებმა უკრაინაში 5 წლის წინ სარემონტოდ გაგზავნილი და თანხის გადაუხდელობის გამო, ფაქტობრივად, "პატიმრობაში" მყოფი სამხედრო ვერტმფრენების ბედი შეახსენეს. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის, გენერალ ამირან სალუქვაძის თქმით, ამ ტიპის საბრძოლო ვერტმფრენების გარეშე საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო პოტენციალი მნიშვნელოვნად იყო დაკნინებული.

"ეს არის "მი-24" ტიპის მოიერიშე საბრძოლო შვეულმფრენები, 3 ერთეული; ასევე - 2 ერთეული "მი-14" ტიპის შვეულმფრენი. ორივე სახეობა მოიერიშე შვეულმფრენების საზღვაო ვარიანტია. ეს საფრენი საშუალება, ძირითადად, გამოიყენება სახმელეთო ძალების საავიაციო მხარდაჭერისათვის და შეუძლიათ ცალკე ოპერაციების ჩატარებაც. ეს ვერტმფრენები, "სუ-25"-თან ერთად, საგრძნობლად გაზრდის ჩვენს საბრძოლო პოტენციალს."

ხუთიევე ვერტმფრენი, ხუთწლიანი ლოდინის შემდეგ, 20 აპრილს ოდესის პორტში სატრანსპორტო გემზე დაიტვირთა. ტვირთის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არც საქართველოს სამხედრო უწყება და არც საქართველოს საელჩო უკრაინაში არ ასახელებენ ზუსტ თარიღს, თუ როდის ჩამოვლენ ვერტმფრენები საქართველოში. სამაგიეროდ, აბსოლუტურად გამჭვირვალეა იმ თანხის ოდენობა, რაც საქართველოს მხარემ უკრაინელ სპეციალისტებს რემონტის საფასურად გადაუხადა. ხუთივე საბრძოლო შვეულმფრენის რემონტი საქართველოს ბიუჯეტს 3 მილიონი დოლარი დაუჯდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პირველად ბოილო 6 წლის განმავლობაში, ქართველი მფრინავები გეგმით დადგენილი ნორმატივების მიხედვით დაფრინავენ, მიმდინარეობს ახალგაზდრა მფრინავების მომზადება მოიერშე "სუ-25"-ებზე, პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ალეკსეევკისა და მარნეულის საავიაციო ნაწილებში ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების მოსაწესრიგებლად.

აი, ასე იქცა ერთ დროს მესაზღვრე საქართველოს პრეზიდენტი სამხედრო ავიაციის მფარველად. სააკაშვილმა, ჩანს, კარგად იცის, რომ საქართველოს სამხედრო ძლიერებისათვის საჭიროა არა მხოლოდ რკინის გული, არამედ ფრთები, რასაც მით უფრო ძლიერად გაშლის სამხედრო-საჰაერო ფლოტი, რაც უფრო ბევრი ფული იქნება ქვეყნის ხაზინაში.

25-ე ბრიგადა დისლოკაციის ადგილს შეიცვლის

საქართველოს პრეზიდენტის და თავდაცვის მინისტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ბათუმის 25-ე მოტომსროლელი ბრიგადა დისლოკაციის ადგილს შეიცვლის და თბილისში განლაგდება. როგორც თავდაცვის სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, ამის შესახებ ბრძანებას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი გუშინ მოაწერა.

ბრძანების თანახმად, ბრიგადის დისლოკაციის, პირადი შემადგენლობის და შეიარაღების ადგილად განისაზღვრა თბილისი. თავდაცვის სამინისტრო, ჯერჯერობით, დისლოკაციის ზუსტ ადგილს ვერ აკონკრეტებს, თუმცა რამდენიმე სავარაუდო ვარიანტი განიხილება. ამ საკითხზე გენერალური შტაბის უფროსი მუშაობს. ამავე ბრძანების მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო ბრიგადის პირად შემადგენლობასთან კონტრაქტებს გააფორმებს, ბრიგადის ძირითადი ნაწილი იქნება ოფიცერთა შემადგენლობა, თუმცა მასში იმსახურებენ წვევამდელები, რომლებთანაც კონტრაქტები გაფორმდება და მათ მაღალი ხელფასები ექნებათ. რაც შეეხება შეიარაღების თბილისში გადმოტანას, გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, ტექნიკის გადმოტანის პროცესი მას შემდეგ დაიწყება, რაც განისაზღვრება დისლოკაციის ადგილი და მომზადდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

მინისტრის თქმით, ბრიგადის დისლოკაციის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმება საჭირო არ არის, რადგან ეს მხოლოდ და მხოლოდ "უმაღლესი მთავარსარდლის ექსკლუზიური პრეროგატივაა".

ინტერ-პრესი

მანქანის გამტაცებლებისთვის გუშინდელი დღე უიღბლო აღმოჩნდა

ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის მთავარ ექსპერტ ნიკო ორველაშვილს ავტოფარეხიდან მისი კუთვნილი ავტომაქანა "მერსედეს-ბენცი" მოჰპარეს. შემთხვევა თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მიკრორაიონში, 20 აპრილს, 02.30 საათზე მოხდა. პოლიციელებმა თვითმხილველების გამოკითხვით დაადგინეს, რომ ოთხმა ბოროტმოქმედმა ავტომანქანა ნუცუბიძის პირველი მიკრორაიონისკენ დააგორა. იმავე ღამეს სამართალდამცველებმა პირველ მოკრორაიონში ავტოფარეხები შეამოწმეს და ორველაშვილის ნომრებახსნილ "მერსედესს" ერთ-ერთ ფარეხში მიაგნეს. როგორც გაირკვა, ავტოფარეხის მფლობელს სადგომის გასაღები თავისი მეზობლისთვის, გიორგი მ.-ძისათვის ჰქონდა გადაცემული, რომელიც პოლიციელებმა ჯერჯერობით ვერ იპოვეს. ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნდა და ქურდობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

გუშინვე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციელებმა ფალიაშვილის ქუჩაზე სიმონ ჯამბაზიშვილის ავტომანქანის - "მერსედესის" გატაცების მცდელობისათვის ავტომანქანაშივე დააკავეს გორელები, 23 წლის ვახტანგ აბაზაშვილი და მისი თანატოლი ალექსი ყველაშვილი. აბაზაშვილს პოლიციელებმა "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი და ექვსი ცალი საბრძოლო ვაზნა ჩამოართვეს, ხოლო ყველაშვილს ჩხრეკისას 0.3 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოაჩნდა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის ვაკე-საბურთალოს სამსახური.

მედია-ნიუსი

სოფლის მეურნეობის მინისტრის ყოფილი მოადგილე თავისუფალია

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სოფლის მეურნეობის მინისტრის ყოფილი მოადგილე ხუტა მამალაძე წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. პროკურატურა მას თანამდებობის ბოროტად გამოყენების საფუძველზე ბიუჯეტისთვის 337 ათასი ლარის დაფარვას ედავება. საქმე ჰუმანიტარული დახმარების პროდუქციის ნაწილის გაყიდვისას ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალს შეეხება. ხუტა მამალაძე 30 მარტს დააკავეს.

როგორც მამალაძის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა განაცხადა, გენერალური პროკურატურის ანგარიშზე უკვე გადახდილია სადავო თანხის ნაწილი - 100 ათასი ლარი. გარდა ამისა, მისი თქმით, მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ციხეში საგრძნობლად გაუარესდა და მას პოსტინფარქტის მდგომარეობა დაუდგინდა.

ამ და სხვა ახალი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ ხუტა მამალაძე 19 აპრილს ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა.

ინტერ-პრესი

ქუთაისის საავტომობილო ქარხანას ახალი დირექტორი ჰყავს

ქუთაისის საავტომობილო ქარხანას ახალი დირექტორი ჰყავს. ამ თანამდებობაზე ადგილობრივმა მთავრობამ საწარმოს მუშებს წარუდგინა პროფესიით ინჟინერ-ტექნიკოსი ნუგზარ შამუგია.

47 წლის შამუგია 17 წლიდან ავტოქარხნაში მუშაობს და საწარმოს თანამშრომლებისთვის ახალი სახე არ არის. ბოლოს იგი ქარხნის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი იყო. შეგახსენებთ, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ყოფილი დირექტორი ამირან ნაცლიშვილი პატიმრობაშია. მას იმერეთის საოლქო პროკურატურა ქარხნის ქონების განიავებასა და მითვისებას ედავება.

ინტერ-პრესი

ცვლილებები მერიაში

იპფ-ლეონიდინის ფოტო

თბილისის მერმა და პრემიერმა პირველი თათბირი ჩაატარეს.

დღეს დღის ბოლომდე თბილისის მერიის სამსახურის უფროსებმა გადადგომის შესახებ განცხადება უნდა დაწერონ. სამსახურში დაბრუნების შანსი მხოლოდ კომპეტენტურ, პატიოსან და არაკორუმპირებულ კადრებს ექნებათ. ორი კვირის შენდეგ მერიის ხელმძღვანელობა ქალაქის სამსახურების ახალ უფროსებს დაამტკიცებს.

გუშინ საგანგებოდ გამართულ შეხვედრაზე პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ სამსახურის უფროსებს ნებაყოფლობითი გადადგომის შესახებ განცხადების დასაწერად ერთდღიანი ვადა მისცა. ახალ კადრებს მერი და პრემიერი კანონით გათვალისწინებულ ორკვირიან ვადაში დაასახელებენ. მანამდე კი, ბრეგაძემ მოვალეობის შემსრულებლებს 100-ჯერ და 1000-ჯერ უკეთესად მუშაობისკენ მოუწოდა.

ქალაქის ახალი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილისა და პრემიერის შეთანხმებით, მერიაში სტრუქტურული რეორგანიზაცია დაიწყო. ჭიაბერაშვილის განმარტებით, მათ, როგორც პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილ პირებს, დაგეგმილი აქვთ თბილისის მთავრობის სრული რეორგანიზაცია. **"მერია უნდა იყოს პატარა და ძალიან ეფექტური ორგანიზმი,"** - განაცხადა თბილისის მერმა. მერიის ეფექტურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას ჭიაბერაშვილი სამსახურების რაოდენობის შემცირებითა და ეფექტური მექანიზმების შემუშავებით აპირებს (მერიაში ამჟამად 18 სამსახურია). მისივე თქმით, რეორგანიზებული მერიის მთავარი ბერკეტები ეფექტური კოორდინაცია და კონტროლი იქნება. ჯერჯერობით უცნობია, რომელი სამსახურები გაუქმდება. თუმცა, ამ ეტაპზე ის უკვე გარკვეულია, რომ სამსახურების ხელმძღვანელებად მხოლოდ ის პირები დარჩებიან, ვინც კორუფციაში არაა მხილებული. კადრების შერჩევისას მთავარი კრიტერიუმი პატიოსნება და კომპეტენტურობა იქნება. **"მერიის რეორგანიაზაცია არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სამსახურის უფროსი განცხადების დაწერის შემდეგ წავა და აღარ დაბრუნდება. თუმცა დაბრუნდებიან მხოლოდ ის ხელმძღვანელები, რომლებიც არ შეიმჩნეოდნენ კორუფციულ გარიგებებში, კომპეტენტურები და პატიოსნები არიან,"** - განაცხადა ბრეგაძემ.

იმის გათვალისწინებით, რომ ჭიაბერაშვილს გაუჭირდა რომელიმე სამსახურის ერთი პატიოსანი ექსუფროსის დასახელება, სავარაუდოა, რომ მერია საერთოდ ახალი კადრებით დაკომპლექტდეს. ჭიაბერაშვილი მერიაში თავისი თანამებრძოლების მოყვანასაც არ გამორიცხავს, თუმცა კონკრეტული სახელისა და გვარების დასახლებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

კონკრეტულ სამოქმედო გეგმასა და კადრებს მერი საზოგადოებას უახლოეს მომავალში გააცნობს.

სოფიკო ოხანაშვილი

ოფიციოზი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №323

2004 წლის 20 აპრილი, ქ. თბილისი

ბ. ბრეგაძის ქალაქის პრემიერად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ბიძინა ბრეგაძე ქალაქ თბილისის პრემიერად.

მიხეილ სააკაშვილი

ორი სიტყვით

თბილისი. ასლან აბაშიძის წინააღმდეგ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ირინა სარიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს აჭარის ლიდერის ყოფილი პრეს-მდივანი თამაზ ბაკურიძე აბსურდულს უწოდებს. "ირინა სარიშვილს დიდ პოლიტიკაში დარჩენა სურს და ამ ეტაპზე კონკრეტული ადამიანის დავალებებს ასრულებს. ეს განცხადებები ასლან აბაშიძის რეაბილიტაციას და ცენტრალური ხელისუფლებისგან "მტრის ხატის" შექმნას ემსახურება. მტრის ხატის შექმნით კი აბაშიძის გარემოცვაა დაკავებული. ისინი აჭარის მეთაურის კეთილგანწყობის მოპოვებას და ქულების დაწერას ამ გზით ცდილობენ," - აღნიშნა ბაკურიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას ზაფხულის დასაწყისისთვის გეგმავს. ამის შესახებ გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა განაცხადა. მისი თქმით, ფართომასშტაბიან მოლაპარაკებებს რუსეთი მაშინვე დაიწყებს, როგორც კი ორივე მხრიდან დელეგაციების მეთაურები დაინიშნებიან. ლოშჩინინმა აღნიშნა, რომ მოსკოვი თბილისისგან შემხვედრ წინადადებებს ელის რუსული ბაზების გაყვანის ვადების შესახებ. რუსი დიპლომატის თქმით, მოსკოვმა "უკვე დაასახელა ბაზების გაყვანის რეალური ვადა - 10-11 წელი, მაგრამ თუ სხვა ქვეყნების მხრიდან ფინანსური ხელშეწყობა იქნება, ეს შეიძლება უფრო სწრაფად მოხდეს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საკრებულოს 2002 წლის 2 ივნისის არჩევნებისთვის "ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილი საარჩევნო სიიდან ორი წარმომადგენელი გივი გიგაური და ზურაბ მახაშვილი ამოიღო. საკითხი კენჭისყრაზე განხილვისა და ახსნა-განმარტებების გარეშე დადგა. გიგაური და მახაშვილი საკრებულოს საარჩევნო სიაში იმ კანდიდატებს შორის ფიგურირებდნენ, რომლებიც საკრებულოდან პარლამენტში გადასულ დეპუტატებს ჩაენაცვლებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შინაგანი ჯარების მესამე სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი მურად ცინცაძე სპეციალურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, დღეიდან მესამე სამმართველო გამოდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის განკარგულებაში გადადის. ცინცაძის განცხადებით, ის დღეიდან "ბაბუს დაემორჩილება და მის ბრძანებებს შეასრულებს".

პოლკოვნიკი ამ გადაწყვეტილების მიზეზად ცენტრალური ხელისუფლებისგან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ასახელებს. ის თვლის, რომ რომან დუმბაძე გმირია და ის "ამავე გზით სიარულს აპირებს". შინაგანი ჯარების მესამე სამმართველოს შემადგენლობაში 300 ჯარისკაცია, ხოლო ოფიცერთა რაოდენობა ცინცაძემ არ დააკონკრეტა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ანზორ აბრალავას თქმით, "აღორძინებას" გააჩნია ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის წაქეზებით, ხვალ სამეგრელოს მოსახლეობის წარმომადგენლები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების დევიზით, ასლან აბაშიძის წინააღმდეგ გამოვლენ და ჩოლოქთან საპროტესტო აქციას მოაწყობენ.

აბრალავას მტკიცებით, იგი ფლობს დაზუსტებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით აჭარაში ჩასატარებლად სამხედრო ოპერაცია მზადდება. დღეს "აღორძინების" წარმომადგენლები - ანზორ აბრალავა და ელიზბარ ჯაველიძე აჭარის წარმომადგენლობაში სპეციალურ პრეს-კონფერენციას გამართავენ და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს "საქართველოს კუთხეების დაპირისპირების ინსცენირებაში" დაადანაშულებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო და საპარლამენტო დელეგაცია აშშ-ში იმყოფება. როგორც "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციაში განაცხადეს, რვა წევრისგან შემდგარ დელეგაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში ცოტნე ბაკურაია ხელმძღვანელობს. **ინტერ-პრესი**

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება
2004 წლის 19 აპრილი 183

სს კბ "კავკასიონში" დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის და "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე, 32-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად:

1. სს კბ "კავკასიონში" დროებითი ადმინისტრაციის მიერ დამატებითი სამუშაოების ჩატარების, საქმიანობის სწორად წარმართვისა და დასრულებისათვის დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2004 წლის 18 მაისამდე.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ (ზ. გაჩეჩილაძე) უზრუნველყოს სს კბ "კავკასიონის" დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების გადაწყვეტილების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

3. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება გაცნობიდან ექვს თვეში თბილისის საოლქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, რობაქიძის 6ა).

ი. ვახტანგიშვილი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრისათვის

(კონცეფცია)

პირველი გვერდიდან

კონსტიტუციის მეორე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი ნორმა - "საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ" - ხელს არ უშლის აჭარის სტატუსის განსაზღვრას, რადგან:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონით არ რეგულირდება მთლიანად საქართველოს ტერიტორიულ სახელმწიფოებრივი მოწყობა;

ბ) აჭარის სტატუსის განსაზღვრას იმპერატიულად მოითხოვს კონსტიტუციის მესამე მუხლის მესამე პუნქტი და სტატუსის განსაზღვრა არ არის დამოკიდებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენაზე.

გ) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ მთელი ქვეყნის ტერიტორიულ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე კონსტიტუციური კანონის მიღებისას, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანა, ვინაიდან საუბარი იქნება ნორმატიული აქტების იერარქიაში იმავე საფეხურზე მდგომი კანონის უფრო გვიან მიღებაზე.

საქართველოს კონსტიტუცია არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონის არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი საფუძველიც. ამისათვის საქართველოს კონსტიტუცია:

ა) განსაზღვრავს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლურ პრინციპებს და სახელმწიფო სუვერენიტეტის არსს, რომლითაც შებოჭილნი არიან ქართულ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მყოფი როგორც უცხო სახელმწიფოები, ისე ქვეყნის შიგნით არსებული სამართლის სუბიექტები ავტონომიური წარმონაქმნების ჩათვლით;

ბ) განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ექსკლუზიურ კომპეტენციაში მყოფ საკითხთა ნუსხას, რითაც ნეგატიური ფორმით ("რა არ შეიძლება იყოს რეგიონის კომპეტენცია") შემოფარგლავს ხელისუფლების სხვა დონის ორგანოების, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების, უფლებამოსილებათა საზღვრებს.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის პირველივე წინადადებით დადგენილია: "საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო." სახელმწიფოს განუყოფლობის პრინციპი გამორიცხავს სუვერენიტეტის დაყოფას აჭარასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. გარდა ამისა, თვით აჭარის ოფიციალური სახელწოდება - "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა" - თავის თავში მოიცავს აჭარის სტატუსის განმსაზღვრელ პრინციპს - აჭარა არის საქართველოს ავტონომიური, ანუ თვითმმართველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული და არა შეზღუდული სუვერენტიტეტის მქონე სახელმწიფო ერთეული საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენცია:

"1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა ალმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში;

მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;

ო) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ატესტაცია და აკრედიტაცია; კანონმდებლობა აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული წოდებებისა და ხარისხების შესახებ;

პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;

ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;

რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

ს) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა."

შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციამ არ შეიძლება მოიცვას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებულ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. ამასთანავე, იმ საკითხებში, რომლებზეც ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიური კომპეტენცია შემოიფარგლება ნორმატიული რეგულირებით (მაგალითად, "მიწის, წიაღისეული და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა"), ავტონომიურ რესპუბლიკას შეიძლება გადაეცეს ცენტრის მიერ რეგულირებულ სფეროებში მმართველობის განხორციელების უფლებამოსილება. მაგრამ იმ საკითხებში, რომლებიც მთლიანად ცენტრალურ ორგანოების კომპეტენციაშია (მაგალითად, "სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები"), დაუშვებელია ავტონომიური რესპუბლიკისათვის რაიმე კომპეტენციის გადაცემა, იქნება ეს ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირება, მმართველობა, ადმინისტრირება, დაფინანსება, ზედამხედველობა თუ საკადრო უზრუნველყოფა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის შინაარსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონით უნდა განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების (უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები) კომპეტენცია და მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები. კონსტიტუციურ კანონში უნდა მიეთითოს:

ა) აჭარის ოფიციალური სახელწოდება;

ბ) აჭარის ა.რ. ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრები;

გ) აჭარის ა.რ.-ის ხელისუფლების ორგანოების დასახელება, ორგანიზაციის პრინციპები და ადგილსამყოფელი;

დ) აჭარის ა.რ.-ის ექსკლუზიურ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები.

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, ასეთ საკითხთა წრე და მათი სამართლებრივი რეჟიმი (კონკურენციული ან სხვა) უნდა განისაზღვროს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული პირობების დადგომის შემდეგ მიღებული კონსტიტუციური კანონით. ასეთი კანონის მიღებამდე საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა ექსკლუზიური კომპეტენციების გარეთ დარჩენილ საკითხებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენცია

აჭარის ა.რ.-ის კომპეტენციას შეიძლება მიეკუთვნოს ის საკითხები, რომლებიც არ არის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობაში, მაგალითად:

ა) აჭარის ა.რ.-ის ადმინისტრაციის ორგანიზაცია;

ბ) თემების (საკრებულოების) შექმნა და მათი საზღვრების შეცვლა;

გ) აჭარის ა.რ.-ის ტერიტორიის დაგეგმვა და ურბანიზაცია, საბინაო მეურნეობა;

დ) საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები) ორგანიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და მართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

ე) რეგიონული მნიშვნელობის საავტომობილო, საბაგირო და სარკინიგზო ტრანსპორტი;

ვ) სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა, ტყეები და სატყეო მეურნეობის მართვა; წყლები და მინერალური წყლები; რეგიონული ენერგეტიკული სისტემა;

ზ) ადგილობრივი ბაზრობები; ხალხური რეწვის განვითარება; თევზჭერა ტერიტორიულ წყლებში;

თ) კულტურა; მეცნიერება;

ი) ტურიზმი, სპორტი და დასვენება;

კ) სოციალური უზრუნველყოფა;

ლ) ჯანმრთელობის დაცვა და სანიტარული წესრიგის დაცვა;

მ) გარემოს დაცვა;

ნ) რეგიონული მნიშვნელობის კულტურის ძეგლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები;

ო) ლიცენზიების გაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მუნიციპალური პოლიციის კოორდინაცია და სხვა ფუნქციები (გარდა კრიმინალური პოლიციისა), განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით;

ჟ) რეგიონული მნიშვნელობის საჯარო სამუშაოთა ორგანიზება რეგიონის ტერიტორიაზე;

რ) გადასახადებისა და მოსაკრებლების დაწესება და აკრეფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში.

ს) სახელმწიფოსაგან დელეგირებული სხვა უფლებამოსილება.

სახელმწიფოსაგან აჭარის ა.რ.-ისათვის უფლებამოსილების დელეგირება ხდება იმ საკითხებზე, რომლების სამართლებრივი რეგულირებაც წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებულ კომპეტენციას და რომელთა დელეგირება რეგიონისათვის თავიანთი შინაარსით შესაძლებელია (მაგალითად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია). დელეგირება ხდება კანონით, რომლითაც განისაზღვრება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე კონტროლის მექანიზმები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - რეგიონის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხებზე;

ბ) საქართველოს მთავრობა - რეგიონისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე;

გ) საერთო სასამართლოები - ადმინისტრაციული საქმეების განხილვის საშუალებით.

ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების განსახორციელებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საჯარო დაწესებულებების საქმიანობაზე ზედამხედველობა უნდა განახორციელონ შესაბამისმა ცენტრალურმა სახელისუფლებო ორგანოებმა საერთო წესით.

4. აჭარის ავტონომიური სტატუსის ფინანსური და ეკონომიკური საფუძვლები

რეგიონი უნდა სარგებლობდეს ფინანსური და ეკონომიკური ავტონომიით. არ არსებობს თვითმმართველობა (ავტონომიურობა) საფინანსო-საგადასახადო სფეროში ავტონომიის გარეშე. შესაბამისად, აჭარის ა.რ.-ის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს (აჭარის ა.რ.-ის პარლამენტს) უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლებასილება, რაც გულისხმობს შესაძლებლობას, საერთოსახელმწიფოებრივი საგადასახადო კანონმდებლობის ფარგლებში და წესით აჭარის ა.რ.-ის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ განსაზღვროს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ყველა გადასახადის (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა) გადასახადის განაკვეთი. კონკრეტულად ამ უფლებამოსილებამ შეიძლება მიიღოს ქვემოთა-დამატებული ღირებულების გადასახადიდან და აქციზიდან ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები 2001-2004 წლებისათვის განისაზღვრა 40 პროცენტის ოდენობით, ხოლო საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან - 30 პროცენტის ოდენობით.

ამგვარი პრაქტიკა შორს დგას თვითმმართველობის საფუძვლებისაგან, რადგან ნორმატივებს ცალმხრივად განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლება, რაც გამორიცხავს საერთოსახელმწიფოებრივი საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში რეგიონის მიერ ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას, რის გარეშეც ვერ იქმნება კონკურენტული სისტემები (ქვესისტემები). ასეთ პირობებში რეგიონში ყალიბდება უპასუხისმგებლო ხელისუფლება, რადგან მას არა აქვს ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა და იგი სრულად დამოკიდებულია ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკაზე. ჩნდება ცენტრსა და რეგიონს შორის არაჯანსაღი კორუფციული-სავაჭრო ურთიერთობა.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის პირველივე წინადადებით დადგენილია: "საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო." სახელმწიფოს განუყოფლობის პრინციპი გამორიცხავს სუვერენიტეტის დაყოფას აჭარასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

ლობას, თვითმმართველობის საფინანსო-ეკონომიკურ საფუძვლებს. ამიტომ ქონების გადასახადთან მიმართებით დადგენილი წესი უნდა გავრცელდეს ბიუჯეტის შევსების უმთავრეს წყაროებზე - სხვა გადასახადებზე (გარდა საბაჟო გადასახადისა და დღგ-სა).

აჭარის ა.რ.-ის ხელისუფლების ორგანოები არ მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო ფუნქციების მქონე სისტემების (რომლებიც მოქმედებენ აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებში) ფორმირებაში (სასამართლო და ნოტარიატი, საგარეო სამინისტრო, უშიშროების სამსახური, თავდაცვის სამინისტრო, საბაჟო სამსახური, პროკურატურა და სხვა მსგავსი ინსტიტუტები).

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემა

5.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა სისტემის მოკლე დახასიათება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემა უნდა დაეფუძნოს მმართველობის საპარლამენტო მოდელს, რაც გამორიცხავს პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტის ფუნქციების მქონე თანამდებობის პირის (მიუხედავად მისი სახელწოდებისა) არსებობას. შესაბამისად, საპარლამენტო მოდელში აუცილებელი არბიტრის - არაპირდაპირ (პარლამენტის მიერ) არჩეული პრეზიდენტის ფუნქციებს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში შეასრულებს საქართველოს პრეზიდენტი. თუმცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები განსხვავებული იქნება კლასიკურ საპარლამენტო მოდელში არსებული პრეზიდენტის ფუნქციებისაგან.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო უნდა იყოს აჭარის ა.რ.-ის პარლამენტი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება - აჭარის ა.რ.-ის მთავრობა. აჭარის ა.რ.-ის მთავრობის თავმჯდომარე იქნება აჭარის ა.რ.-ის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც წარმოადგენს აჭარის რეგიონს.

5.2. აჭარის ა.რ.-ის პარლამენტის ორგანიზაცია და ფუნქციები

აჭარის ა.რ.-ის პარლამენტი იქნება რეგიონის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. იგი იქნება ერთპალატიანი საკანონმდებლო და რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანო. აჭარის ა.რ.-ის პარლამენტი უნდა შედგებოდეს 50 დეპუტატისაგან. პარლამენტი არჩეულ უნდა იქნას შერეული სისტემით: 35 დეპუტატი პროპორციული წესით (პარტიული სიების საფუძველზე), ხოლო 15 - მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე.

აჭარის პარლამენტი საქმიანობას წარმართავს პლენარულ სხდომებსა და საპარლამენტო კომიტეტებში. პარლამენტის წევრობა შეთავსებადი იქნება სხვა საქმიანობასთან, გარდა საპარლამენტო თანამდებობებზე (პარლამენტის თავმჯდომარე და მოადგილეები, კომიტეტების თავმჯდომარეები და მოადგილეები, უმრავლესობისა და ოპოზიციის ლიდერები) დანიშნული (არჩეული) პირების საქმიანობისა.

პარლამენტი აჭარის ა.რ.-ის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს ავტონომიური რესპუბლიკის კანონებსა და დადგენილებებს, რომლებიც ძალაში შედის ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ. პარლამენტი ნიშნავს

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო უნდა იყოს აჭარის ა.რ.-ის პარლამენტი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება - აჭარის ა.რ.-ის მთავრობა. აჭარის ა.რ.-ის მთავრობის თავმჯდომარე იქნება აჭარის ა.რ.-ის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც წარმოადგენს აჭარის რეგიონს.

ღწერილი შინაარსი.

საქართველოს დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ქონების გადასახადის ზედა ზღვარი დაწესებულია საგადასახადო კოდექსით, ხოლო შესაბამის რაიონში ამ გადასახადის კონკრეტულ ოდენობას ადგენს რაიონის საკრებულო. შესაძლებელია აჭარის ა.რ.-ში ქონების გადასახადის ზედა ზღვარი დაიწესოს აჭარის ა.რ.-ის პარლამენტმა, ხოლო გადასახადის კონკრეტული ოდენობა განსაზღვროს რაიონულმა საკრებულომ. თუ სოციალური უზრუნველყოფა სრულად გადაეცემა აჭარის ა.რ.-ს, მაშინ შესაძლებელია სოციალური გადასახადის დაწესების უფლებამოსილებაც გადაეცეს აჭარის ა.რ.-ს (იმ შემთხვევაში, თუკი საერთოდ იქნება შენარჩუნებული სოციალური გადასახადი).

აჭარის რეგიონთან მიმართებით უნდა შეიცვალოს საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობით დადგენილი დღევანდელი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დგინდება გრძელვადიანი ნორმატივები ცენტრსა და რეგიონს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილების შესახებ. მაგალითად, დღეს მოქმედებს ასეთი ნორმატივები:

■ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები 2001 წლიდან 2004 წლის 1 ივლისამდე თითოეულზე განისაზღვრა 99 პროცენტის ოდენობით.

■ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული საბაჟო გადასახადიდან ანარიცხის გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივი 2001-2004 წლებისათვის განისაზღვრა 50 პროცენტის ოდენობით.

■ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული

ამ პოლიტიკის შედეგებზე. გარდა ამისა, იქმნება კონკურენტული სისტემები როგორც ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს, ისე რეგიონებს შორის. რეგიონი ცდილობს შექმნას ეკონომიკური საქმიანობის ხელსაყრელი პირობები სხვა რეგიონებთან შედარებით. კონკურენციის შედეგად ყალიბდება ოპტიმალური საგადასახადო რეჟიმები და ბიზნესს ექმნება განვითარების საუკეთესო პირობები.

ამგვარი საგადასახადო უფლებამოსილების განხორციელება წარმოადგენს საერთოსახელმწიფოებრივი საგადასახადო-ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში ავტონომიურად განსახორციელებელ უფლებამოსილებას, რადგან ცენტრალური ხელისუფლება საგადასახადო-ეკონომიკურ პოლიტიკას ძირითადად აყალიბებს საგადასახადო კოდექსით (გადასახადების სახეები, გადახდის წესი, გადასახადების განაკვეთები). თვითთმმართველი (ავტონომიური) ერთეული ამ ფარგლებში - ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწესებული გადასახადების სახეებისა და გადასახადების განაკვეთების (ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილი ზედა და ქვედა ზღვრების) ფარგლებში - გადასახადის განაკვეთების დაწესებით, საერთოსახელმწიფოებრივი პოლიტიკის ჩარჩოში ავტონომიურად განსაზღვრავს რეგიონულ საგადასახადო-ეკონომიკურ პოლიტიკას და პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის გატარებასა და შედეგებზე. ავტონომიურ ერთეულს საშუალება ეძლევა, საერთოსახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფარგლებში თვითონ განსაზღვროს საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა და დაგეგმოს მისი მიზნების განსახორციელებლად საჭირო შემოსავლების ოდენობა.

ამგვარი უფლებამოსილება დღეისათვის არსებობს მხოლოდ ქონების გადასახადთან მიმართებით. ქონების გადასახადი კი არ წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების უმთავრეს წყაროს და, შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო ნორმები ვერ ქმნის რეალურ თვითმმართველობის საფუძველი.

ამგვარი ურთიერთობა უნდა შეიცვალოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო გამართლებული მექანიზმით. უპირველესად, აღვნიშნავთ, რომ საბაჟო გადასახადი (გარდა საბაჟოზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილისა) უნდა შევიდეს მხოლოდ ცენტრალურ ბიუჯეტში და მისი არც ერთი სხვა ნაწილი არ უნდა დარჩეს რომელიმე რეგიონში. რაც შეეხება სხვა გადასახადებს: შესაძლებელია საერთოსახელმწიფოებრივი გადასახადების საერთო განაკვეთიდან ერთი ნაწილი - რომელიც მთლიანად ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, დაადგინოს საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსით, ხოლო განაკვეთის მეორე დარჩენილი ნაწილის ოდენობა განსაზღვროს აჭარის ა.რ.-ის პარლამენტმა (ეს წესი არ შეეხება დღგ-ს, რადგან, წინაადმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა რეგიონში მოქმედი სხვადასხვა განაკვეთის პირობებში შეუძლებელი გახდება დღგ-ს გაანგარიშება). მაგალითად, მოგების დღეს მოქმედი 20%-იანი განაკვეთის ფარგლებში დადგინდეს, რომ დღგ-ს მოგების 2% ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 0-დან 18%-მდე განაკვეთს ადგენს აჭარის ა.რ.-ის პარლამენტი და იგი ირიცხება აჭარის ა.რ.-ის ბიუჯეტში. ამ შემთხვევაში აჭარის რეგიონის ხელისუფლებას საშუალება მიეცემა ერთიანი ეკონომიკური (საგადასახადო) პოლიტიკის ფარგლებში ავტონომიურად განსაზღვროს ეკონომიკური (საგადასახადო) პოლიტიკა რეგიონში. მას უკვე ექნება პასუხისმგებლობა

მთავრობას და გადააყენებს მას.

5.3. აჭარის ა.რ.-ის პარლამენტის დათხოვნა

აჭარის ა.რ.-ის პარლამენტის დათხოვნა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა დასაშვებია კონსტიტუციური კანონით დადგენილ შემთხვევებში, კერძოდ: პარლამენტს დაითხოვს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, აჭარის პარლამენტის თავმჯდომარის ან აჭარის მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით, თუ პარლამენტი:

ა) ვერ იკრიბება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით;

ბ) სისტემატურად ვერ იღებს გადაწყვეტილებებს (მაგალითად, არ არსებობს მყარი საპარლამენტო უმრავლესობა და ვერ ხერხდება თემატური უმრავლესობის შექმნა);

გ) სისტემატურად იღებს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კონსტიტუციურ კანონს აჭარის ა.რ.-ის სტატუსის შესახებ (ეს ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით).

დ) პარლამენტი არ ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნას აჭარის მთავრობის დათხოვნის შესახებ მაშინ, როცა აჭარის მთავრობა სჩადის "გ" პუნქტში მითითებულ ქმედებებს.

დასაშვებია პარლამენტის საქმიანობის დროებით შეჩერება ან დათხოვნა, ეროვნული უშიშროების მოტივით. "დ" პუნქტში მითითებული საფუძვლით აჭარის ა.რ.-ის პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს აჭარის ა.რ.-ის მთავრობასაც და ნიშნავს პარლამენტის ვადამდელ არჩევნებს, აგრეთვე ქმნის აჭარის ა.რ.-ის დროებით მთავრობას.

პარლამენტის დათხოვნამდე საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, კონსულტაცია გამართოს აჭარის ა.რ.-ის პარლამენტის თავმჯდომარესა და მთავრობის თავმჯდომარესთან. პარლამენტს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

5.4. აჭარის ა.რ.-ის მთავრობის ფორმირებისა და დათხოვნის წესი

აჭარის ა.რ.-ის მთავრობის წევრობა შეთავსებადი იქნება პარლამენტის წევრობასთან. ამასთანავე, მთავრობის წევრები შეიძლება არ იყვნენ პარლამენტის წევრები, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარე აუცილებლად უნდა იყოს პარლამენტის წევრი. აჭარის ა.რ.-ის მთავრობის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს შემდეგი წესით: პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული უმრავლესობის (ერთპარტიულის ან კოალიციურის) ლიდერს, როგორც მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატს, ავალებს მთავრობის ფორმირებას. მთავრობის თავმჯდომარე პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას. პარლამენტი წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას.

პარლამენტი უფლებამოსილია, წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. ამასთანავე, მთავრობის სიმყარის უზრუნველსაყოფად უნდა დადგინდეს მთავრობის გადაყენების წესი, რომელიც ცნობილია როგორც "კონსტრუქციული ვოტუმის" წესი, კერძოდ, უნდობლობის გამოცხადება უნდა მოხდეს მთავრობის ახალი თავმჯდომარის არჩევის გზით. უნდობლობის ვოტუმის საკითხის განმეორებითი დაყენება კენჭისყრაზე არ დაიშვება იმავე სესიაზე, ან თუ წინა კენჭისყრიდან გასულია სამ თვეზე ნაკლები. მთავრობისადმი უნდობლობის საკითხის კენჭისყრაზე დაყენება დაიშვება, თუ საკითხის დასმას წერილობით მხარი დაუჭირა პარლამენტის საერთო შემადგენლობის 1/3-მა მაინც. მთავრობის თავმჯდომარის გადადგომა იწვევს მთავრობის გადადგომას სრული შემადგენლობით.

მთავრობის სტრუქტურას მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი. აჭარის მთავრობა უნდა იყოს მცირერიცხოვანი. მთავრობის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და იგი შეიძლება არ აღემატებოდეს, მაგალითად, რვა მინისტრს (მთავრობის თავმჯდომარის ჩათვლით). აჭარის ა.რ.-ის მთავრობის საქმიანობის წესს დაადგენს აჭარის ა.რ.-ის პარლამენტი.

აჭარის მთავრობის სტრუქტურაში არ შეიძლება შედიოდეს საქართველოს იმ სამთავრობო სტრუქტურების ტერიტორიული დანაყოფები, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებს (მაგალითად, უშიშროებისა და თავდაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროები და სხვა). გარდა ამისა, აჭარის ა.რ.-ის სამინისტროები არ უნდა იყოს მოწყობილი ე.წ. ორმაგი დაქვემდებარების პრინციპებზე (იერარქიული დაქვემდებარება რეგიონულ ხელისუფლებასა და საქართველოს ანალოგიურ სამინისტროზე). მაგალითად, აჭარის ა.რ.-ის განათლების სამინისტრო არ უნდა იყოს საქართველოს განათლების სამინისტროს ტერიტორიული ერთეული და ორმაგი დაქვემდებარების სტრუქტურა. აჭარის ა.რ.-ის განათლების სამინისტრო საქართველოს განათლების სამინისტროსაგან იერარქიული დაქვემდებარების გარეშე განახორციელებს იმ უფლებამოსილებას, რომელიც მას მიკუთვნებული ექნება აჭარის ა.რ.-ის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე. იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა შესაძლო სამინისტროებზე. შესაბამისად, აჭარის ა.რ.-ის სამინისტროები ზუსტად არ გაიმეორებს საქართველოს ანალოგიური სამინისტროების სტრუქტურასა და ფუნქციებს (მაგალითად, აჭარაში შეიძლება დასაქმების საკითხების გადაწყვეტა მიენდოს განათლებისა და დასაქმების სამინისტროს და არა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, როგორც ამას ადგენს საქართველოს მთავრობის სტრუქტურა). რაც შეეხება, მაგალითად, განათლების სფეროში ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციის განხორციელებას აჭარის ტერიტორიაზე, ამას უზრუნველყოფენ საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული და ფუნქციური ქვედანაყოფები.

6. აჭარის ა.რ.-ის სტატუსის განსაზღვრის პროცესი

საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტმა უნდა მიიღოს აჭარის ა.რ.-ის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელიც დაადგენს, რომ აჭარის ა.რ.-ის ახალი მოწვევის პარლამენტის არჩევამდე აჭარის ა.რ.-ის პარლამენტში არჩევნები ტარდება ამ კონსტიტუციური კანონის საფუძველზე

ლეგალიზება კომპანიების შემცირებას გამოიწვევს

"24 საათი" უკვე არაერთხელ იუწყებოდა ნავთობპროდუქტების სეგმენტში არსებული მდგომარეობის შესახებ. მთავრობამ ნავთობპროდუქტების ბიზნესის გათეთრება პრიორიტეტად გამოაცხადა და გუშინ ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა სცადა.

სოფო გრძელიშვილი

გუშინ საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი გოდაბრელიძე ნავთობპროდუქტების იმპორტის ლეგალიზების ხელშეწყობის მიზნით შეხვდა ქართულ ბაზარზე მომუშავე ნავთობპროდუქტების ექვსი მსხვილი იმპორტიორი კომპანიის ("ეკო ჯორჯია", "ლუკოილი", "კანარგო სტანდარტ ოილი", "ტრანს ექსპრესი", "იბერ კომპანი" და "ავიასაწვავსერვისი") წარმომადგენლებს. შეხვედრას საბაჟო დეპარტამენტის საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭოსა და პარლამენტის წევრებიც ესწრებოდნენ.

გოდაბრელიძის თქმით, დაგეგმილია ამ ბიზნესის ლეგალიზაცია, თუმცა ამ პროცესს ნავთობპროდუქტების ბაზარზე მოქმედი სუბიექტების შემცირება მოჰყვება. საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, ამჟამად საქართველოში ნავთობპროდუქტების ბიზნესით 250-მდე კომპანიაა დაკავებული. შესაძლოა, ამ ბიზნესის ლეგალიზების შემდეგ საქმიანობა მათგან მხოლოდ რამდენიმე ათეულმა გააგრძელოს.

იმპორტიორებს საშუალება ექნებათ, რომ ლეგალიზაციის პროცესის გამჭვირვალობის მიზნით გაეცნონ ახალი საბაჟო-საგადასახადო კოდექსების პროექტთა "შავ ვარიანტებს" . საკუთარი მოსაზრებებისა და წინადადებების დაფიქსირებას იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლები უკვე მეორე შეხვედრაზე, სავარაუდოდ, 1 კვირაში შეძლებენ.

გოდაბრელიძემ გუშინ გამართულ შეხვედრაზე ქვეყანაში ნავთობპროდუქტების კონტრაბანდის გამომწვევ რამდენიმე მიზეზზეც ისაუბრა; კერძოდ, ქვეყანაში შემოსული ნავთობპროდუქტები ტრანზიტად ფორმდება, გადასახადებზე შეღავათით სარგებლობს, რეალურად კი ქვეყანაში რჩება.

"ამის გარდა, სერიოზული პრობლემაა შემოტანილი ნავთობპროდუქტების აღრიცხვასა და ფალსიფიცირების საკითხებთან დაკავშირებით. უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად ნავთოპროდუქტების ერთი მესამედი ისევ კონტრაბანდულია", - განაცხადა გოდაბრელიძემ.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ შეხვედრაზე მისულ იმპორტიორებს იმ მებაჟეთა გვარების დასახელება სთხოვა, რომლებიც მათთან გარიგებას აწარმოებენ და ქრთამს იღებენ.

გიორგი გოდაბრელიძე ნავთობპროდუქტების ექვს მსხვილ იმპორტიორს შეხვდა.

გიგი ბახარაძის ფოტო

"მებაჟეს ჭორის დონეზე ვერ მოვთხოვ პასუხს, უნდა მქონდეს კონკრეტული ფაქტები, რათა არასინდისიერი მებაჟეები სამსახურიდან გავუშვათ", - აღნიშნა მან.

საბაჟო დეპარტამენტის საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭოს წევრის გია ხუხაშვილის აზრით, საქართველოში ნავთობპროდუქტების კონტრაბანდის აღკვეთა და ამ ბიზნესის ლეგალიზება მხოლოდ საბაჟოს კომპეტენცია არ არის. მისი თქმით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საბაჟოსთან ერთად, ფინანსურმა პოლიციამ და საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა კოორდინირებულად უნდა იმოქმედონ. **"კოორდინაციის შედეგად ისინი ერთმანეთს ველარ გადააბრალებენ. იგივე მიდგომა სჭირდება ნავთობპროდუქტების ფალსიფიკაციის საკითხს. ამ მიმართულებით პასუხისმგებლობა "საქსტანდარტმაც" უნდა გაიზიაროს",** - მიაჩნია ხუხაშვილს.

მოკლედ

საინვესტიციო შემოთავაზებები საინფორმაციო ბანკში მოიყრის თავს

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში მუშაობა დაიწყო საინვესტიციო შემოთავაზებების საინფორმაციო ბანკმა. ამჟამად საინფორმაციო ბანკში უკვე 33 წინადადებაა, რომელსაც ბანკის თანამშრომლები ამუშავებენ. ეკონომიკის მინისტრის ირაკლი რეხვიაშვილის განცხადებით, ბანკში თავს მოიყრის საქართველოში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით ბიზნესმენების მიერ შემუშავებული წინადადებები.

"ჩვენი ინიციატივის მთავარი მიზანია ბიზნესმენებისათვის იდეების კვალიფიციურ დონეზე შეთავაზება. მიმდინარეობს მუშაობა, რომ სისტემაში იქნას მოყვანილი საინვესტიციო წინადადებებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია," - განაცხადა მინისტრმა.

საინვესტიციო შემოთავაზებების ბანკში განსათავსებლად საინვესტიციო წინადადებების ავტორებმა უნდა შეავსონ სპეციალური ფორმა. ამასთანავე, მათ საინვესტიციო ბანკში უნდა შეიტანონ პროექტი, სადაც აღწერილი იქნება საინვესტიციო ობიექტების მდგომარეობა, საჭირო ინვესტიციების მოცულობა, ინვესტიციების მოსალოდნელი შედეგები და სხვა ასპექტები.

"ჩვენ მიერ შემოთავაზებული ღონისძიებებით მივაღწევთ იმას, რომ მოხდება საინვესტიციო პროექტების კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონის შესაბამისად გადარჩევა და სექტორების მიხედვით დახარისხება, რაც დღემდე არ ხდებოდა", - განაცხადა მინისტრმა.

მისივე განმარტებით, სამინისტროში ამოქმედდება საკონტაქტო ტელეფონი, რომლის მეშვეობითაც ბიზნესმენებსა და დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება.

24 საათი

25 ევროპელი ბიზნეს-ლიდერი

"ფაინენშალ თაიმსმა" გამოაქვეყნა იმ 25 ევროპელი ბიზნეს-ლიდერის სია, რომლებიც, გაზეთის აზრით, ევროპული კაპიტალიზმის განვითარებას განაპირობებენ. ამ სიის სათავეშია Deutsche Telekom, რომელსაც Puma, Michelin, Axel Springer მოსდევს. ბიზნეს-ლიდერების სიაში ერთი რუსი ბიზნესმენიც აღმოჩნდა, ის "ალფა-ჯგუფის" პრეზიდენტია. სხვათაშორის, იმ ექსპერტებმა, რომლებიც გაზეთის გამოკითხვაში ღებულობდნენ მონაწილეობას, რუსი ბიზნესმენის დახასიათებისას იგი მოიხსენიეს, როგორც "მხიარული მეფუნთუშე". გაზეთი ბიზნესმენის მთავარ მიღწევად THK -ს აქციების "ბრითიშ-პეტროლიუმისთვის" 7.7 მილიარდ დოლარად მიყიდვას ასახელებს. ამ სიაში მოხვდა ჟან-ფილიპ კურტუა. იგი Microsoft ევროპული განყოფილების გენერალური დირექტორია; DaimlerChrys-ler სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვოლფლანგ ბერნარდი, "ბრითიშ პეტროლიუმის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ტონი ხეიუირიდი და სხვები. გაზეთის ინფორმაციით, სიაში შესული ბიზნესმენების ასაკი 30-40 წლამდე მერყეობს.

მოკლედ

თბილისი. "მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ნებისმიერი სახის შემოწმების შემთხვევაში, საწარმოს გაჩერება დაუშვებელია", — აცხადებს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე და დასძენს, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში შევა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, შემოწმების შემთხვევაში სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შეჩერება აიკრძალება. "მე საგადასახადო კოდექსზე მომუშავე სამთავრობო კომისიის წევრი ვარ და შევეცდები, რომ ეს პუნქტი საგადასახადო კოდექსში აუცილებლად შევიდეს", — განაცხადა რომან გოცირიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო ტურისტული გამოფენა "Caucasus Tourism Fair 2004" 29 აპრილიდან პირველ მაისამდე თბილისში, საგამოფენო კომპლექს "Expo-Georgia"-ში გაიმართება. გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობას მსოფლიოს 10 ქვეყნის ტურისტული კომპანია მიიღებს. საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველ სტენდებზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ქვეყნის რეგიონების ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ და ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა სანდრო რატიშვილმა თანამდებობები დატოვეს. საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა დააკმაყოფილა შუბლაძისა და რატიშვილის განცხადებები თანამდებობების დატოვების შესახებ. მინისტრმა არ დააკონკრეტა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც აღნიშნულ ვაკანტურ პოსტებს დაიკავებენ. "არსებობს რამდენიმე საკმაოდ ცნობილი კანდიდატურა," - განაცხადა რეხვიაშვილმა, თუმცა მათი დასახელებისგან თავი შეიკავა. **ინტერ-პრესი**

სს "თელას"-ს" ესაჭიროება შემდეგი მასალები: ს.ს."თელასი" ქვემოთჩამოთვლილ საქონელს შეისყიდის იმ ორგანიზაციისგან, ვინც საუკეთესო ფასს და მოწოდების საუკეთესო პირობებს შემოგვთავაზებს.

1.	ძაბვის მაჩვენებელი 2-10კვ	30 ცალი
2.	ფაზირების მაჩვენებელი	6 ცალი
3.	დიელექტრიკული ხელთათმანი	200 წყვილი
4.	დამცავი სათვალე	400 ცალი
5.	რესპირატორი	70 ცალი
6.	დამცავი ჩაფხუტი	153 ცალი
7.	უსაფრთხოების ზოლოვანი ლენტი	9000 მეტრი
8.	ელ.შემდუღებელი ნიღაბი	11 ცალი
9.	გადასატანი დამიწება ЗПЛ-1	40 ცალი
10.	გადასატანი დამიწება ЗПЛ-10	6 ცალი
11.	გადასატანი დამიწება ПЗРУ-1	40 ცალი
12.	მანქანის დამიწება	10 ცალი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში; თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

ხელისუფლებამ საბიუჯეტო ოპტიმიზმი დაიცხრო

პირველი გვერდიდან

ცხადია, საკითხის დასახელებამ ჟურნალისტები თბილისი-ბათუმის ურთიერთობის ახალ ფორმებზე კითხვების დასასმელად განაწყო, თუმცა, სახელმწიფო მინისტრმა მათი ინტერესი სხდომის დასრულებისთანავე "დააცხრო", განაცხადა რა, რომ ხელისუფლება აბაშიძესთან ურთიერთობას ცენტრი-რეგიონის ურთიერთობის კონტექსტში არ განიხილავს და ამიტომ, სხდომაზე აჭარის შესახებ საუბარი ამ კონტექსტში არ ყოფილა. მელიქიშვილმა დააზუსტა, რომ განსახილველი თემა, ზოგადად, ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობის საკითხები და, მათ შორის, ის ფინანსური ბერკეტები გახლდათ, რომლებიც მომავალი წლის შემოდგომაზე არჩეულ მერებსა თუ გამგებლებს რეგიონების მართვის საშუალებას მისცემენ.

გუშინდელ სხდომაზე სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, რომელმაც "ენგურჰესზე" ჩასატარებელ გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ისაუბრა. ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კი, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა. ეს ინფორმაცია საკმაოდ ზოგადი გახლდათ, სამაგიეროდ, კონკრეტული იყო 2004 წლის ის პარამეტრები, რომლებიც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საბოლოოდ შეჯერდა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, 2004 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 1 მილიარდ 52 მილიონ 10 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ხარჯები კი - 1 მილიარდ 359 მილიონ 180 ათასი ლარით. ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტმა 307 მლნ ლარი შეადგინა, რომლის შევსებაც საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით იგეგმება.

პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 1 მილიარდ 421 მლნ ლარით, ხოლო ხარჯები კი - 1 მილიარდ 728 მლნ ლარით განისაზღვრა.

ანუ, მარტივად ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ საბიუჯეტო ოპტიმიზმი შედარებით დაიცხრო და 2004 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის წინასწარი საპროგნოზო მონაცემი, რომელიც 2 მილიარდს "უკაკუნებდა", მინიმუმ, 200 მილიონი ლარით შეამცირა. ერთი მხრივ, ეს ხელისუფლების სოციალური დატვირთვის მქონე დაპირებებს გარკვეული ნიშნის ქვეშ აყენებს, მეორე მხრივ კი - ასეთი გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ თავისი შესაძლებლობების მეტ-ნაკლებად ფხიზლად შეფასება დაიწყო, რაც პოპულისტურ გამოხტომებზე გაცილებით იმედისმომცემი გახლავთ.

გუშინ საღამოს, უკვე ამ პარამეტრების საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმება მოხდა.

სემეკ-ი 28 აპრილს შეიკრიბება

პირველი გვერდიდან

განვითარებისთვის.

ამიტომაც, მიუხედავად იმ მოლოდინისა, რომლითაც ენერგოსუბიექტები კომისიის პირველ სხდომას ელიან, სემეკ-ი თავის პირველ სხდომაზე ქართული ენერგეტიკის საკვანძო საკითხების განხილვისგან, სავარაუდოდ, თავს შეიკავებს. ანუ, 28 აპრილს არ იგეგმება "მცირე ლიცენზიანტების" ლიცენზირების წესების გადახედვა, "ხადორჰესის" ტარიფის საკითხის განხილვა, პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმების წესში ცვლილებების შეტანა...

სემეკ-ის ახალი თავმჯდომარე გია თავაძე, მისივე განცხადებით, ამ თემებზე "ნაჩქარევად მსჯელობას" არ აპირებს.

შედეგად, კომისიის ახალი წევრები მუშაობას "ცეცხლის ჩაქრობით" დაიწყებენ და განიხილავენ მხოლოდ საჭირბოროტო თემებს ციკლიდან "ის, რაც ხანგრძლივ კონსულტაციებს არ მოითხოვს". ანუ, ესაა საკითხები, რომლებიც, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია და ახლა სემეკ-ის მხრიდან მხოლოდ დაკანონებას საჭიროებს.

მაგალითად, ამ საკითხებს შორისაა შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის ჩამორთმევა. ამ საკითხზე მსჯელობა დიდ დროს არ წაიღებს, რადგან ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნით "რკინიგზამ" თავად მიმართა კომისიას. სემეკ-ს დასამტკიცებელი აქვს საბითუმო ბაზრის 2004 წლის ბიუჯეტიც. გარდა ამისა, სავარაუდოდ, კომისია ენგურჰესის ტარიფში თაღოვანი კაშხლის კუთვნილ მარჯასაც გადახედავს.

სემეკ-ის ახალ თავმჯდომარეს წინ მძიმე დღეები ელის.

ბესო ბულაშვილის ფოტო

რაც შეეხება მთავარ ენერგეტიკულ თემებს - უკვე ცნობილია ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია. დარგის ოფიციოზს ლიცენზირებისა და პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმების წესების გამკაცრება სურს. "მცირე ლიცენზიანტებსა" და იმ ენერგეტიკულ ობიექტებს კი, ვისაც დღეს პირდაპირი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული, საპირისპირო მოსაზრება აქვთ. ბუნებრივია, ისინი შეეცდებიან, ოფიციოზის განზრახვას ხელი შეუშალონ.

სადავო იქნება "ხადორჰესის" საკითხიც: საბითუმო ბაზარსა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ სადგურისთვის დაწესებული ტარიფი "გონივრულ ჩარჩოებში" უნდა მოექცეს. ამას, რასაკვირველია, აპროტესტებს სადგურის ინვესტორი - ჩინეთის "სიჩუანის" ენერგოკომპანია.

მიუხედავად იმისა, რომ "მძიმე თემებს" სემეკ-ი სამომავლოდ შემოინახავს, კომისიის პირველმა სხდომამ, შესაძლოა, ორ დღეს გასტანოს. საქმე ბევრია - მანამდე, სანამ შეივსებოდა და გადაწყვეტილების მიღების უნარს დაიბრუნებდა, კომისიას უამრავი "წვრილმანი

საერთაშორისო ფონდის ტექნიკური მისია 30 აპრილამდე დარჩება საქართველოში

ორი დღეა, რაც საქართველოში მორიგი სამუშაო ვიზიტით იმყოფება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მისია, რომელსაც ჯოდი სკარლატა ხელმძღვანელობს. მისიაში წარმოდგენილი ათი წევრი გეგმიურად განახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას ზედამხედველობის, მაკროეკონომიკისა და სხვა საბანკო სფეროებში. დელეგაციის შემადგენლობაში საგანგებოდ არის ჩართული ორი ექსპერტი, რომლებიც უშუალოდ გაეცნობიან საქართველოს ახლად შექმნილი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მუშაობასაც და გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს.

მისია 30 აპრილამდე დარჩება საქართველოში და ამ პერიოდისთვის შეჯამდება განხორციელებული სამუშაოებისა თუ კონსულტაციების შედეგები, დაიწერება შესაბამისი დასკვნები. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის ნიკა გეგუჩაძის განცხადებით, სავალუტო ფონდის მისიის რეკომენდაციებსა და შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ფინანსურ სტრუქტურებთან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შემდგომი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მისია 1992 წლიდან რეგულარულად მუშაობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და მხოლოდ კონსულტაციებით შემოიფარგლება (ფონდის ფინანსური მისიისაგან განსხვავებით). რაც შეეხება ფინანსურ მისიას, რომლის მიერ საქართველოსათვის შემუშავებული რეკომენდაციები და ქართული მხარის მიერ მათი შეუსრულებლობა არაერთი უსიამოვნებისა თუ სკანდალის მიზეზი გამხდარა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის მოხსენებას საქართველოს შესახებ ვაშინგტონში მაისში დაგეგმილ სხდომაზე მოისმენს. ამავე სხდომაზე განისაზღვრება საქართველოსათვის სამომავლო დახმარებების საკითხი.

მანამდე კი, გუშინ ღამით აშშ-ში საქართველოს მთავრობის დელეგაცია გაემგზავრა პრემიერ-ნისტრის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით. ქართულ დელეგაციაში შედის ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც. ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებების წარმოებაა.

24 საათი

თურქმენბაში სტუდენტების გალამაზებას ცდილობს

თურქმენეთში პრეზიდენტის მიმართ მორჩილება აბსურდამდე მიდის. მაღალჩინოსნები თურქმენბაშის ნებისმიერ კომენტარს დაუწერელ კანონად აღიქვამენ.

IWPR

თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის კონტროლის ხარისხზე მეტყველებს ცოტა ხნის წინ თურქმენი მაღალჩინოსნების გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ნიაზოვის მიერ გამოთქმული ერთი შენიშვნა კანონად აქციეს.

პრეზიდენტის მიერ გამოთქმული ერთი უტაქტო შენიშვნის გამო, უნივერსიტეტებმა ის სტუდენტები გარიცხეს, რომლებსაც ოქროს კბილები აქვთ ჩასმული. ოქროს კბილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში საკმაოდ გავრცელებული იყო.

ყველაფერი 5 აპრილს დაიწყო, როდესაც პრეზიდენტი, რომელსაც თურქმენბაშს, თურქმენთა ლიდერს უწოდებენ, ნიაზოვის სახელობის სასოფლო მეურნეობის ინსტიტუტში მივიდა. თურქმენეთში უნივერსიტეტები, როგორც წესი, ნიაზოვის სახელს ატარებს.

როდესაც საგანგებოდ მოწყობილ ცერემონიალზე ერთ-ერთმა სტუდენტმა გოგონამ წინასწარ მომზადებული სიტყვის წარმოთქმა დაასრულა, პრეზიდენტი მას მიუბრუნდა და, მოულოდნელად, თურქმენეთის მოქალაქეების კბილების მდგომარეობაზე დაიწყო ლაპარაკი.

"ოქროს კბილები ახალგაზრდებს არ უხდებათ, - განაცხადა მან, - თეთრი კბილები აჩვენებს, რომ პიროვნება ჯანმრთელია. სთხოვეთ ჯანდაცვის მინისტრს. ის თავად დანტისტია და კარგ თეთრ კბილებს გაგიკეთებთ," - მიმართა ნიაზოვმა დამფრთხალ გოგონას.

მეორე დღეს ლექტორები უნივერსიტეტის შესასვლელთან ელოდნენ სტუდენტებს, რათა მათი პირის ღრუ შეემოწმებინათ - ჰქონდათ ოქროს კბილები, თუ - არა. ისინი, ვისაც ოქროს კბილები აღმოაჩნდა, ცენტრალურ სტომატოლოგიურ კლინიკაში გაუშვეს და უთხრეს, რომ მანამ ვერ დაესწრებოდნენ ლექციებს, სანამ ოქროს კბილებს თეთრი მასალით გაკეთებული კბილებით არ შეცვლიდნენ.

"რა უფლებით მიყურებენ პირში? - იკითხა ამავე უნივერსიტეტის აღშფოთებულმა სტუდენტმა აინამ, - შეურაცხმყოფელია, როდესაც აუდიტორიის წინ კბილების შესამოწმებლად გაჩერებენ, თითქოს, ცხენი იყო. ამის შემდეგ კი გეუბნებიან, უნდა მიხვიდე ექიმთან თუ არა."

აღნიშნული კამპანია სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც დაუყოვნებლივ გავრცელდა. 7 აპრილს აშხაბადის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები საგანგებოდ გააფრთხილეს, რომ იმათ, ვისაც ოქროს კბილები ჰქონდა ჩასმული, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაეცვალათ. ამ "თხოვნის" შეუსრულებლობის შემთხვევაში, სტუდენტებს გარიცხვით დაემუქრნენ.

თურქმენეთში ნიაზოვის სიტყვა კანონია

უმაღლესი განათლების მაკონტროლებელი სამთავრობო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა პრეზიდენტის ახალი პოლიტიკა დაიცვა და განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება უფრო იდეოლოგიურ ტენდენციას წარმოადგენს, ვიდრე ესთეტიკურ კაპრიზს. ამის დასადასტურებლად მან "რუხნამა" მოიხმო, პრეზიდენტ თურქმენბაშის მიერ დაწერილი ფილოსოფიური ოპუსი, რომლის სწავლება და კითხვა სკოლებსა და მეჩეთებში სავალდებულოა.

"პრეზიდენტისთვის მნიშვნელობა არ აქვს, როგორ გამოიყურება ახალგაზრდობა, - განაცხადა ხსენებულმა თანამდებობის პირმა, - მთავარი ის არის, რომ "რუხნამას" მიხედვით, ახალგაზრდა სუფთა, ზრდილობიანი და ჯანმრთელი უნდა იყოს. დადგა დრო, წარსულის ტვირთი მოვიშოროთ."

უნივერსიტეტის თანამშრომლების დიდი ნაწილი აღნიშნული წესის შესრულებისას თავს უხერხულად გრძნობს. თუმცა, ეს ამ ტიპის პირველი შეზღუდვა არ არის. თებერვლიდან სტუდენტებს წვერისა და ულვაშების ტარებაც აუკრძალეს.

"მე აქ დიდი ხანია, ვმუშაობ. ჩემი სტუდენტები პატივს მცემენ და მე მათ ვცემ პატივს, - ანონიმურობის პირობით განაცხადა სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა, - თუმცა, ახლა, ამ ახალი აბსურდული წესების გამო, მათთვის თვალებში შეხედვა მიჭირს. ახლა მე მათი პირის ღრუ უნდა შევამოწმო. ეს ყველა ჩვენგანისათვის შეურაცხმყოფელია."

თურქმენეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა თანამშრომელმა ასევე ანონიმურად განაცხადა, რომ ეს უცნაური კამპანია კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მაღალჩინოსნები მზად არიან, პრეზიდენტის საამებლად ყვლაფერი გააკეთონ.

"სავსებით შესაძლებელია, პრეზიდენტ ნიაზოვს არც სურდა, რომ მის კომენტარს ამგვარი გაგრძელება მოჰყოლოდა, მაგრამ მან მმართველობის ისეთი სისტემა შექმნა, სადაც საჯარო მოხელის კომპეტენცია იმის მიხედვით ფასდება, მზად არის ის თუ არა, პრეზიდენტის ნებისმიერი კაპრიზი უსიტყვოდ შეასრულოს, - განუცხადა მან IWPR-ს, - თურქმენეთში პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ ყველა სიტყვას დაუწერელი კანონის ძალა აქვს."

ოქროს კბილები განსაკუთრებით გავრცელებულია სოფლად. სტუდენტთა სამი მეოთხედი სწორედ სოფლიდან არის. ოქროს კბილებს მხოლოდ ჩამორჩენილი ტექნოლოგიის გამო კი არ იკეთებენ, არამედ - როგორც სიმდიდრის სიმბოლოს. ადგილობრივი ტრადიციის თანახმად, გასათხოვარ გოგოს უფრო მეტი შანსი აქვს, კარგი საქმრო იპოვოს, თუ ბევრი ოქროს კბილი აქვს.

ოქროს კბილების შეცვლა ძალიან მძიმე ტვირთად დააწვებათ ოჯახებს, რომლებსაც ისედაც უჭირთ თავიანთი შვილების უნივერსიტეტში გაშვება.

IWPR-ის ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მას ისედაც დიდი ვალი აქვს, რადგან შვილის უნივერსიტეტში მოსაწყობად ქრთამი მოსთხოვეს.

"დღეს ჩემი შვილი სახლში მოვიდა და მითხრა, რომ უნივერსიტეტში ვეღარ წავა. მას ორი ოქროს კბილი აქვს და სიცილის დროს უჩანს. უნივერსიტეტში კი სთხოვენ, რომ კბილები ამოიღოს. ოქროს კბილების ფაიფურით შეცვლა კი ძალიან ძვირი ჯდება, - აღნიშნა მან, - ჩვენ კიდევ ვალის აღება მოგვიწევს, რადგან ჩემი ქმარი ფიქრობს, რომ ჩვენმა შვილმა ნებისმიერ ფასად უნდა მიიღოს განათლება. ის ჩვენი ერთადერთი ვაჟია."

ისრაელი სახელმწიფო საიდუმლოს გამცემს ათავისუფლებს

ისრაელის ბირთვული საიდუმლოებების გამცემი, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, გუშინ აშკელონის ციხიდან გაათავისუფლეს. მორდეხაი ვანუნუ, სახელმწიფო ღალატის ბრალდებით, 18 წელი იმყოფებოდა პატიმრობაში.

ებრაელი ბირთვული ფიზიკოსი 1986 წელს იმის გამო დააპატიმრეს, რომ მან ბრიტანულ პრესასა ინფორმაცია მიაწოდა ქალაქ დიმონაში ისრაელის მიერ ბირთვული კვლევების მიმდინარეობის შესახებ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ბრიტანულ მედიაში გავრცელდა ბუნდოვანი ცნობები ისრაელში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ, რომელთა მიზანიც ბირთვული იარაღის დამზადება იყო. ეჭვებს მხოლოდ ირიბი მტკიცებულებები ადასტურებდა - ატლანტის ოკეანეში ბირთვული აფეთქება, ინგლისიდან საფრანგეთში მიმავალი ურანით დატვირთული სატვირთო მანქანების გაუჩინარება, ტვირთის დაკარგვა (ისევ ურანის) დასავლეთგერმანული გემიდან, 32 კგ ურანის უცნაური ქურდობა ამერიკული ქარხნიდან. ყველა კვალი, თითქოსდა, ისრაელისკენ მიდიოდა. თუმცა, ერთადერთი ხელმოსაჭიდი სამხილი 1960 წელს აშშ-ს მზვერავი თვითმფრინავის მიერ ნეგევის უდაბნოში გადაღებული სურათი იყო. სურათზე აღბეჭდილი იყო საეჭვო რკინაბეტონის ობიექტი, რომელიც, ებრაელთა განცხადებით, საფეიქრო ფაბრიკა იყო. და აი, 1986 წელს ინგლისურ გაზეთ "სანდი თაიმსში" გამოქვეყნდა სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ ამ "საფეიქრო ფაბრიკის" ქვეშ, მიწის სიღრმეში ატომური ბომბების მწარმოებელი საიდუმლო ქარხანა იმალებოდა.

ფოტოებით უხვად ილუსტრირებული სტატიის ავტორი მორდეხაი ვანუნუ აღმოჩნდა, რომელმაც აღნიშნულ ქარხანაში 10 წელი იმუშავა. მისი სიტყვებით, იმ დროისათვის ისრაელს უკვე 100-დან 200-მდე ბირთვული ქობინა ჰქონდა, რაც ნიშნავდა, რომ მაშინდელ მსოფლიოში ისრაელი ბირთვული შეიარაღებით მე-6 ადგილზე იმყოფებოდა. ვანუნუ აცხადებდა, რომ მას მხოლოდ იდეალისტური მისწრაფებები ამოძრავებდა და ფინანსური ანაზღაურება არ აინტერესებდა. "თუ ეს ჩემი ქვეყნის წინაშე მდგარ ბირთვულ საფრთხეს შეაჩერებს,

მორდეხაი ვანუნუ ისრაელს ბირთვულ იარაღზე უარის თქმისაკენ მოუწოდებს.

ბედნიერი ვიქნები," - ეუბნებოდა იგი ბრიტანელ ჟურნალისტებს. მართალია, გაზეთი მაინც აპირებდა მისთვის კუთვნილი ჰონორარის გადახდას, მაგრამ ვერ მოახერხა. ვანუნუ გაქრა. მიუხედავად იმისა, რომ რედაქციაში ვანუნუ გააფრთხილეს, აშკარა იყო - ასეთი სენსაციური განცხადებები ისრაელის სპეცსამსახურების მხრიდან დაუსჯელი ნამდვილად არ დარჩებოდა, ვანუნუს ამ გაფრთხილებამ არ უშველა. მოსადის აგენტებმა იგი გაიტაცეს და, ალბათ, სიკვდილიც არ ასცდებოდა, მაგრამ გარკვეული მიზეზებით, მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს. დღეს "მოსადი" აცხადებს, რომ ამ სასჯელისაგან ვანუნუ ისრაელის მოქალაქეობამ იხსნა.

გუშინ ციხიდან გამოსული პატიმარი თავის მომხრეებს გამარჯვების სიმბოლოთი ხვდებოდა. ვანუნუ იდგა ტელევიზის კამერების წინაშე და იმეორებდა: "ბედნიერი ვარ იმით, რაც ჩავიდინე." იგი ციხეში ცუდ მოპყრობაზე წუწუნებდა: "მე მხოლოდ იმის გამო ვიტანჯებოდი 18 წელი, რომ ქრისტიანი ვარ." თუმცა, აქვე უმატებდა, რომ მას აღარანაირი საიდუმლო აღარ დარჩა გასამჟღავნებელი.

ისრაელის ხელისუფლება კი სხვაგვარად ფიქრობს. მართალია, ვანუნუ ოფიციალურად თავისუფალი ადამიანია, მაგრამ მას ერთი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ გამგზავრება ეკრძალება. მკაცრი შეზღუდვები აქვს დაწესებული კონტაქტების დამყარებისას. მაგალითად, სპეცსამსახურების ნებართვის გარეშე ეკრძალება ჟურნალისტებთან ურთიერთობა. მისთვის აკრძალულია საზღვაო პორტებში და აეროპორტებში გამოჩენაც. ანუ ვანუნუს ცხოვრების დიდი ნაწილის მეთვალყურეობის ქვეშ გატარება მოუწევს.

დღესაც მიმდინარეობს კამათი იმაზე, იყო ვანუნუ მოღალატე, თუ მხოლოდ საკუთარ მოვალეობას ასრულებდა. ისრაელის თვალსაზრისით, იმან, რაც ვანუნუმ ჩაიდინა, სახელმწიფოს ინტერესებს დიდი ზიანი მიაყენა.

საფრანგეთიდან იმამი გააძევეს

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა და ერთ-ერთი მუსლიმი კლერიკი, რომელიც ქალების ცემის პრაქტიკას იცავდა, ქვეყნიდან გააძევა.

ალჟირში დაბადებულმა, აღმოსავლეთ ლიონში მოღვაწე იმამმა აბდელკადირ ბუზანმა ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალს განუცხადა, რომ ყურანი მოღალატე ცოლების ცემისა და ჩაქოლვის ნებას იძლევა.

აღნიშნულმა განცხადებებმა საფრანგეთში აღშფოთება გამოიწვია. საფრანგეთს ევროპაში ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმი მოსახლეობა (დაახლოებით, 5 მილიონი) ჰყავს, რომელთა უმრავლესობა წარმოშობით ჩრდილოეთ აფრიკიდანაა.

საფრანგეთში მცხოვრებმა მუსლიმმა ლიდერებმა, აგრეთვე, დაგმეს იმამის გამონათქვამები. მათი თქმით, ისლამი ძალადობას არ ქადაგებს. თუმცა, იქვე მოუწოდეს პრესას, რომ მუსლიმებისაგან მტრის ხატი არ შექმნან და ისე არ წარმოაჩინონ, თითქოს, მუსლიმების უმრავლესობა სწორედ ამგვარად ფიქრობს.

აღსანიშნავია, რომ იმამი ბუზანი საფრანგეთში, უკვე 25 წელია, ცხოვრობს. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, იგი სამშაბათს დაიკავეს. სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, ქალთა უფლებების წინააღმდეგ განცხადებებს ვერ შეურიგდებიან.

აბდელკადერ ბუზანი მეორე იმამია, რომელიც საფრანგეთიდან გააგდეს. გასულ კვირას, ბრესტში მოღვაწე მუსლიმი კლერიკი ალჟირში გააძევეს, რადგან მან მადრიდში მომხდარ აფეთქებებს ღიად დაუჭირა მხარი. მას შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტერორიზმის მხარდაჭერაში დასდო ბრალი.

იმამმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ ცოლის ცემას იწონებს "საგანგებო შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ცოლი ქმარს ღალატობს".

მოგვიანებით, ის ეროვნული ტელევიზიით თავისი განცხადებების განმარტების მიზნით გამოვიდა. მისი თქმით, ის ქალების ცემის პრაქტიკას არ იცავდა, არამედ ამბობდა, რომ "ყურანი ნებას რთავს ქმრებს, ცოლები სცემონ, თუ ისინი ერთგულები არ აღმოჩნდებიან".

საინფორმაციო საშუალებებმა, აგრეთვე, გაავრცელეს მისი გამონათქვამი, რომლის თანახმად, საფრანგეთს ისლამური რესპუბლიკა უნდა ეწოდოს. "ეს მხოლოდ საფრანგეთს არ ეხება. მე მინდა, რომ მთელი კაცობრიობა მუსლიმური გახდეს".

ამ გამონათქვამების შემდეგ, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმამის ქვეყნიდან გაძევება გადაწყვიტა.

ბოლო ხანებში რელიგიურ საკითხებზე საფრანგეთში გაცხარებული დებატები მიმდინარეობს. რამდენიმე თვის წინ, პრეზიდენტ შირაკის ინიციატივით კანონპროექტი შეიმუშავეს, რომელიც მოსწავლეებს სკოლაში რელიგიური ნიშნების, მაგალითად, თავსაბურავის, გამოყენებას უკრძალავს.

ხელისუფლების განცხადებით, საფრანგეთი სეკულარული სახელმწიფოა. სკოლებში რელიგიური ნიშნებით სიარული და რელიგიური რიტუალების აღსრულება ქვეყნის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება.

სადამ ჰუსეინს სასამართლო ტრიბუნალის წევრები დაუნიშნეს

ერაყში გუშინდელ დღესაც არ ჩაუვლია მშვიდობიანად. ბასრაში მომხდარმა აფეთქებებმა 68 ადამიანის, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვების სიცოცხლე შეიწირა. დაჭრილია ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. ამასთანავე, ბაღდადის აეროპორტთან ამერიკულმა სამხედრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ვარაუდობენ, რომ იგი თვითნაკეთი სარაკეტო დანადგარით დაჯდომისას ჩამოაგდეს. ვრცელდებოდა ცნობები შედარებით მცირემასშტაბიანი შეტაკებების შესახებაც. ერაყიდან მოსული ყველა ინფორმაცია, თითქოსდა, ომის ქრონიკას ასახავს.

თუმცა, გუშინდელ დღეს მარტო აფეთქებების ფონზე არ ჩაუვლია. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის სასამართლო ტრიბუნალის წევრების დანიშვნის შესახებ იტყობინებოდნენ.

ადრე აშშ-მ განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინს ერაყელები საკუთარი ხალხის და მეზობელი ქვეყნების წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო გაასამართლებდნენ. და აი, გუშინ ცნობილი გახდა სასამართლოს შემადგენლობა. სადამ ჰუსეინის მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ შვიდი მოსამართლე და ხუთი ბრალმდებელი იმსჯელებს. სასამართლო პროცესს სალემ ჩალაბი უხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ იგი ერაყის დროებითი მმართველთა საბჭოს წევრისა და, ამავდროულად, ერაყის ეროვნული კონგრესის ლიდერის ახმედ ჩალაბის ძმისწულია. "ბი-ბი-სი" ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ერაყის დედაქალაქში შენობაც კი შერჩეულია, სადაც სასამართლო სხდომები გაიმართება, თუმცა, ჯერჯერობით, სასამართლოს ჩატარების თარიღი უცნობია.

ბრალდებულის დაცვა ცნობილმა იორდანელმა ადვოკატმა მუჰამედ რაშდანმა ითავა, რომელსაც არაბ და სხვა უცხოელ იურისტთა ჯგუფი დაეხმარება. ზოგიერთი ცნობით, იგი იორდანიაში თავშეფარებულმა, სადამ ჰუსეინის ქალიშვილებმა დაიქირავეს. სხვა ინფორმაციით, სადამ ჰუსეინს ფრანგი ადვოკატი ჟაკ ვერჟე დაიცავს.

ერაყის ყოფილი დიქტატორი გასული წლის დეკემბერში ამერიკელებმა დააკავეს. მასთან ერთად, ერაყული სასამართლოს წინაშე ჰუსეინის რეჟიმის სხვა მაღალი თანამდებობის პირებიც წარდგებიან. ჰუსეინის სასამართლო პროცესის გასამართავად საჭირო 7,5 მლნ. დოლარს აშშ-ს ბიუჯეტი დაფარავს.

მოკლედ

აფეთქება საუდის არაბეთში

აფეთქებების ტალღამ ერაყიდან მეზობელ ქვეყნებშიც გადაინაცვლა. გუშინ საუდის არაბეთის დედაქალაქში ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. დაღუპულთა რიცხვმა უკვე 10-ს მიაღწია და, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს, რადგან ათეულობით მძიმედ არის დაჭრილი. აფეთქებამ ძლიერი ხანძარი და მახლობელი შენობების ნგრევა გამოიწვია. თვითმხილველთა თქმით, ადგილობრივი დროით 2 საათზე, ქალაქის ცენტრში, იმ შენობის მახლობლად, სადაც ქვეყნის უსაფრთხოების ძალების გენერალური შტაბია განლაგებული, ავტომანქანა აფეთქდა. საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ეჭვი არ არის, რომ ეს ტერორისტული აქტი იყო.

გასულ წელს, საუდის არაბეთში ტერაქტის შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა. მაშინ საუდის არაბეთის ოფიციალური წყაროები "ალ-ქაიდას" კვალზე მიანიშნებდნენ. ცოტა ხნის წინ პოლიციამ ერ-რიადში ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი ხუთი მანქანა აღმოაჩინა. გასულ კვირას, აშშ-ს ხელისუფლებამ თავის მოქალაქეებს ურჩია, საუდის არაბეთი დაეტოვებინათ. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ამერიკის ხელისუფლებამ სარწმუნო წყაროებიდან მიიღო ინფორმაცია ქვეყანაში ტერორისტული აქტების მზადების შესახებ.

დიპლომატიური მიმოსვლა მოსკოვსა და პეკინს შორის

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლი ჭაოსინი გუშინ მოსკოვში ჩავიდა. სამდღიანი ვიზიტის მთავარ მიზანს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისის რუს პარტნიორებთან ერთობლივად დარეგულირება წარმოადგენს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მოსკოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან აზრთა გაზიარებას. ჩინელი დიპლომატის ეს ვიზიტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მას პეკინში ჩრდილოეთ კორეის ლიდერის გასაიდუმლოებული სტუმრობა უსწრებდა წინ.

ვიზიტის ფარგლებში ლი ჭაოსინი შანხაის ორგანიზაციის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს სხდომაშიც მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნულ ორგანიზაციაში ჩინეთსა და რუსეთთან ერთად შედიან ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი.

ჩინელი დიპლომატის მოსკოვში ვიზიტის პარალელურად, პეკინში შეხვედრებს მართავს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. გუშინ იგი აცხადებდა, რომ კორეის ნახევარკუნძულის გარშემო შექმნილ ძალიან რთულ და სერიოზულ კრიზისთან დაკავშირებით, ჩინეთისა და რუსეთის პოზიციები ერთმანეთს სრულად ემთხვევა. "ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა ალტერნატივას, გარდა პოლიტიკურ-დიპლომატიური საშუალებებისა და მივესალმებით პეკინში კორეის პრობლემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებთა მესამე რაუნდის გამართვას მიმდინარე წლის ზაფხულში," - განაცხადა სერგეი ივანოვმა.

ივანოვისვე მტკიცებით, რუსეთისა და ჩინეთის პოზიციები ტერორიზმთან ბრძოლის საკითხშიც ემთხვევა. ივანოვი საკუთარ თავს ამჯერადაც არ ღალატობს და ტერორიზმთან დაკავშირებით, ორმაგი სტანდარტების გამოყენებაზე აკეთებს აქცენტს. მისი თქმით, ზოგიერთი ქვეყანა ამ საკითხს პოლიტიკური მიზნებით იყენებს. სხვა საქმეა რუსეთი და ჩინეთი, ისინი ამ სფეროში სრულ უნისონში თანამშრომლობენ, - ამაყობს მინისტრი. "რუსეთი და ჩინეთი ტერორისტული აქტების მსხვერპლნი არიან. ჩვენ გვესმის, საფრთხე საიდან მომდინარეობს და არა მარტო ტერორიზმის გამოვლინებას, არამედ მის ფესვებსაც შევებრძოლებით," - ხაზს უსვამს ივანოვი.

პენსიონერებს მინისტრის მოადგილე შეეწირა

"საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დაკავებული თანამდებობა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს. კონსტიტუციურად, მისი გათავისუფლება პრემიერ- მინისტრს ევალება. თუკი ზურაბ ჟვანია ამას არ გააკეთებს, მაშინ მე ქვეყნის პრეზიდენტს მივმართავ თხოვნით, რომ მინისტრთა კაბინეტი დაითხოვოს", - ასეთი მკაცრი განცხადებები გუშინ საოლქო სასამართლოში პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა გააკეთა. იგი ფინანსთა სამინისტროს გაყინული პენსიების გაუცემლობაში ადანაშაულებდა. დავითაშვილის პროტესტს უშედეგოდ არ ჩაუვლია - დღის ბოლოს, ზურაბ ნოღაიდელის ნაცვლად, თანამდებობა მის მოადგილეს ნოდარ ხადურს დაატოვებინეს.

თამარ დვალი

გასული წლის ნოემბერში "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა რამდენიმე რაიონული სასამართლო პროცესი მოიგეს. ისინი მთავრობისაგან 1997-98 წლებში გაყინული პენსიების გაცემას ითხოვდნენ. პენსიების გაზრდისა და დავალიანებების დროულად გასტუმრების შესახებ მიხეილ სააკაშვილმა პენსიონერებს ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე აცნობა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ხუთმა "ნაციონალმა" იუსტიციის სამინისტროსთან საშიმშილო აქციაც გამართა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრო პენსიონერებისთვის ვალის გადახდას აჭიანურებდა. მათ საოლქო სასამართლოში სააპელაციო სარჩელი შეიტანეს, რითაც "ნაციონალური მოძრაობის" მიერ მოგებული გადაწყვეტილებები გაასაჩივრეს.

ლევან ნარჩევლიძის ფოტო

კობა დავითაშვილი პენსიონერებს ესარჩლება.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე კობა დავითაშვილმა ფინანსთა სამინისტროს პოზიციას შევარდნაძისეული უწოდა.

"ფინანსთა სამინისტრო შევარდნაძის გეგმას ახორციელებს. ყოფილი პრეზიდენტი მიიჩნევდა, რომ პენსიების გასტუმრება 2008 წლამდე უნდა მომხდარიყო. ისინი, პენსიების გასტუმრების პოლიტიკას კი არა, პენსიონერთა საიქიოში გასტუმრების პოლიტიკას ამუშავებენ. შევარდნაძის დროს დაწყებულ პოლიტიკას ახლა ნოღაიდელი აგრძელებს. მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, პენსიების სამი ლარით გაზრდა კი არ მომხდარა, არამედ ამ განაკვეთით ძველი დავალიანების გასტუმრება ხდება", - აღნიშნა დავითაშვილმა.

გუშინ სასამართლო პროცესზე მისულმა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა მურთაზ ქავზინაძემ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, შესაძლოა, ფინანსთა სამინისტრომ სარჩელის განხილვაზე უარი განაცხადოს. სასამართლო პროცესი 30 აპრილისთვის გადაიდო. ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მომდევნო პროცესზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი სარჩელის განხილვის უარყოფაზე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. ამის საფუძველს დღის ბოლოს ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იძლევა. ნოღაიდელმა, დავალებული საქმის შეუსრულებლობის გამო, თავისი მოადგილე ნოდარ ხადური გაათავისუფლა. როგორც გაირკვა, ნოდარ ხადურს საოლქო სასამართლოდან ის სარჩელი უნდა გამოეტანა, რომლითაც გაყინული პენსიების გაცემას აპროტესტებდა.

ჩართავენ თუ არა საქართველოს ათასწლეულის ფონდში?

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ვარდების რევოლუციის შემდეგ დიდი ცვლილებები განიცადა. სამინისტროს შეუერთდა რამდენიმე დეპარტამენტი, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი - სატყეო დეპარტამენტი. შეძლებს თუ არა ახალი მინისტრი ე.წ. ტყის მაფიის განადგურებას, დარჩება თუ არა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი, არსებული სახით, ძალაში და მიუერეთებენ თუ არა კორუფციის გამო სახელგატეხილ საქართველოს ათასწლეულის ფონდს? ეს გახლავთ კითხვები, რომლებზეც "24 საათმა" ახალ მინისტრს თამარ ლებანიძეს სთხოვა პასუხის გაცემა.

ოთარ ქირია

- რითი დაიწყეთ საქმიანობა?

- დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაციის საკითხია. ერთ კვირაში დებულებასაც წარვადგენთ დასამტკიცებლად. ამას, რა თქმა უნდა, ყველაზე მტკივნეული პროცესი, საკადრო გადაწყვეტილებები მოჰყვება. მაისის ბოლოსთვის ეს პროცესი დასრულებული იქნება. შემდეგ ეტაპზე რესტრუქტურიზაცია ცალკეულ დეპარტამენტებსა და უწყებებში გაგრძელდება. სამინისტროს საქმიანობა კი ჩვეულებრივ გრძელდება და მისი გაჩერება შეუძლებელია.

- ბევრჯერ ითქვა იმის შესახებ, რომ სამინისტროში გარემოსდაცვითი ნებართვები დარღვევით გაიცემოდა. უკვე ნახეთ ასეთი?

- ეს, ალბათ, ქვეყნის მაშინდელ საერთო მდგომარეობას უნდა მივაწეროთ. ალბათ, ხარვეზები აქაც იყო, თუმცა, ჯერჯერობით, ჩვენ იმის საშუალება არ მოგვცემია, რომ ყველა ნებართვა ამოგველო და გადაგვეხედა. მას შემდეგ, რაც სამინისტროს სტრუქტურული ჩამოყალიბების პროცესი დასრულდება, რა თქმა უნდა, ყველა მოქმედ ნებართვას გადახედავთ - თუ პირობები არ სრულდება, მაშინ მოგვიწევს მისი შეჩერება.

- ახლად შემოსული სტრუქტურებიდან რამოდენიმე საკმაოდ დიდ სკანდალებს უკავშირდება; თუ გაერკვიეთ მდგომარეობაში?

- მარტო სატყეო დეპარტამენტის პრობლემები იმიტომ ჩანდა ზედაპირზე, რომ ტყის ჩეხვა თვალსაჩინო პროცესი იყო. პრობლემები აბსოლუტურად ყველა დეპარტამენტშია, როგორც სტრუქტურული ისე საკადრო და ნორმატიული თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, ყველა უწყებაში რეორგანიზაცია დავიწყეთ.

- რაც შეეხება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს, რამდენადაც ვიცით, არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" ხელისუფლებას სასამართლოში უჩიოდა ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებით...

- სასამართლო პროცესი სამინისტროს სასარგებლოდ დასრულდა.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, ნებართვა კანონიერად არის გაცემული?

- ნებართვა კანონიერია. თუმცა, მარშრუტს არც მე ვეთანხმები.

- გახსოვთ, ალბათ, ის ინციდენტი, რომელიც თქვენ წინამორბედს ნებართვასთან დაკავშირებით ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, იმის გამო, რომ მარშრუტს არ ეთანხმებით, წინააღმდეგობა არ გექნებათ?

- მოდით ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რა იყო წარსულში. ვთქვათ, რაც არის დღეს და რა იქნება ხვალ. მდგომარეობა ასეთია - მშენებლობა უკვე მივიდა იმ ზონამდე, რომელზეც უზარმაზარი დავა ატყდა. დღეს ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ მარშრუტი შეიცვალოს, ამიტომაც ის დაგვრჩა, რომ რისკები, პრაქტიკულად, ნულს მივუახლოვოთ.

- და როგორ?

- BP-სთან თანამშრომლობით, სამინისტროსა და სხვადასხვა ექსპერტის დასკვნებით, იმ მრჩეველთა რეკომენდაციებზე დაყრდობით, რომლებიც მსოფლიო ბანკის პროგრამით არის გათვალისწინებული და ა.შ. ამის შესაძლებლობას სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა იძლევა.

გიორგი ბუხარის ფოტო

თამარ ლებანიძე.

- რამდენადაც ვიცით, საუბარი ეხება მეწყერსაშიშ ზონას...

- ამჟამად მეწყერი მოძრავი არ არის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მშენებლობის დროს არ დაიძრება. BP ვალდებულია, წარმოადგინოს ტექნიკური გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი. სწორედ ამ პროექტის წარმოდგენის დროს მივიღებთ სრულ სურათს. ჩვენ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ არჩეული გზა არ დააზარალებს არც ერთ მხარეს და ასეც იქნება. ეს აუცილებლად გახდება საჯარო განხილვის საგანი.

- ბოლო დროს დამკვიდრდა ტრადიცია, რომ ყველგან ახალგაზრდები ინიშნებიან. თქვენც იგივეს აპირებთ?

- ამ შემთხვევაში მდგომარეობა ნამდვილად არ არის ასე. საექსპერტო დასკვნები, რომელთაც მე გავეცანი, ნამდვილად არაა ერთგვაროვანი. აქ იგულისხმება, როგორც მხრცოვანი ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნები, ისე ახალგაზრდა სპეციალისტების შეხედულებებიც. იმისთვის, რომ ამ აზრების შეჯერება მოხდეს, შეიქმნა სამთავრობო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან იმ უწყებების წარმომადგენლები, რომლებსაც შეხება აქვთ ამ საკითხებთან, ასევე - არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. არასამთავრობოებს უკვე შევხვდი და შევთავაზე, თავად აირჩიონ ის ორი წარმომადგენელი, რომლებიც სამთავრობო ჯგუფში გაერთიანდებიან.

- თუ მოასწარით გაცნობა, ეკოლოგიის თვალსაზრისით, რა მდგომარეობაა ქვეყანაში - ვგულისხმობ დაბინძურების, ტყის ხმობის, ლაგოდეხის ნაკრძალისა და სხვა საკითხებს...

- ზოგადად, შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ჰაერი და ნიადაგი ისე არაა დაბინძურებული, როგორც სხვა ქვეყნებში და, ამ კუთხით, მდგომარეობა ნამდვილად არაა მძიმე. რაც შეეხება კონკრეტულ საკითებს, პრობლემები ნამდვილად იყო ლაგოდეხის ნაკრძალთან დაკავშირებით. ინვესტორს სურს ნაკრძალის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის აშენება. თუმცა, კონკრეტულად, ეს ტერიტორია სახელმწიფოს მიერ აღკვეთილად არის აღიარებული, ანუ - ისეთ ტერიტორიად, სადაც მშენებლობა დასაშვებია. თუმცა, ჯერ ყველაფერი თავად მათზეა დამოკიდებული - იმაზე, თუ რამდენად პროფესიონალურ საპროექტო გეგმასა და გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიშს წარმოადგენენ. ეს ერთ-ერთი ურთულესი დოკუმენტია, რომელიც კომპლექსურად მოიცავს ყველა საკითხს. რაც შეეხება ტყეს და, კონკრეტულად, წაბლის ხმობას, მდგომარეობა, მართლაც, რთულია. მქონდა ამაზე საუბარი და ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ ამას განვიხილავ. მიზეზი, ზოგადად, მწირი დაფინანსებაა, რისი ერთი ხელის მოსმით მოგვარებაც, დამერწმუნებით, შეუძლებელია. პირველ ეტაპზე ვაპირებთ, რომ ის თანხები, რაც სამინისტროსთვისაა გამოყოფილი, პროირიტეტულ უბნებზე გაიწეროს, ტყის პრობლემა აუცილებლად პრიორიტეტული იქნება.

- სამინისტროს თავისი თანხები არ გააჩნია?

- არა, არავითარი სპეცსახსრები არ არსებობს - პირდაპირ ბიუჯეტიდან ფინანსდება.

- კიდევ რა იქნება პრიორიტეტი?

- პირველ ეტაპზე შემიძლია, მხოლოდ ზოგადად გითხართ, ვინაიდან რესტრუქტურიზაციით ვართ დაკავებული და თანაც ბიუჯეტი არაა დამტკიცებული. როგორც კი ბიუჯეტი დამტკიცდება და გვეცოდინება ზუსტი თანხა, სახსრებს საჭიროების მიხედვით გავწერთ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იქნება ისეთი პრობლემები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ვფიქრობ, მწირი თანხების პირობებში უმჯობესია, ერთი კონკრეტული საკითხის გადაჭრა, ვიდრე ეს თანხები ყველა მიმართულებით გავფანტოთ და შედეგი არსად არ მივიღოთ. მოქმედ სახელმწიფო პროგრამებს აუცილებლად გადავხედავთ და, შესაძლოა, რამდენიმე მათგანი შეჩერდეს კიდეც დროებით.

- რამდენადაც ვიცით, საქართველოში უცხოელი ინვესტორები რამდენიმე პროექტს გეგმავდნენ; წალკის წყალთან დაკავშირებით თუ გქონდათ საუბარი და დარჩება თუ არა ის ძალაში?

- ძველი პროექტები ყველა მუშაობს და არავითარი შეფერხება არ ჰქონიათ, არც ექნებათ. თუმცა, უწყებების გაერთიანებით მოხდა რამდენიმე პროექტის გადაფარვა, რაც აუცილებლად გამოსწორდება. რაც შეეხება წყალს, აქამდე იდგა ის პრობლემა, რომ ქვეყანაში არსებული კორუფციის გამო, საქართველოს ათასწლეულის ფონდთან ხელი არ მიუწვდებოდა. რევოლუციის შემდეგ შანსი გაჩნდა. მაისში მოხდება განხილვა და თუ საქართველომ დააკმაყოფილა კრიტერიუმები, მაშინ პროექტი აუცილებლად განხორციელდება.

- დაბოლოს, სამინისტროს შენობა არა აქვს. რას აპირებთ?

ამჟამად ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს შენობების ინვენტარიზაციას, რათა სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები ნორმალურად განთავსდნენ. იმედია, ჩვენც და კიდევ რამდენიმე "დაჩაგრულ" სამინისტროსაც გვეშველება.

"კბილები" ქუჩაში

ზაურა ფაჩკორიას ფოტო

ცოცხალი კბილი "მარიოტში".

მაისამდე დედაქალაქის ქუჩებსა და სკოლებში ივლიან "კბილები", რომლებსაც ზურგზე "ბლენდ-ა-მედი" ეწერებათ. ეს იქნება კარიესის საწინააღმდეგო აქცია და მინერალიზებული კბილის პასტების მოხმარების მოწოდება - "შეაჩერე კარიესი - დაამატე მინერალები".

აღნიშნულ საგანმანათლებლო აქციასთან დაკავშირებით სასტუმრო "ქორთრიარდ მარიოტში" გაიმართა სტომატოლოგების, პედაგოგებისა და ჟურნალისტების შეხვედრა.

ითქვა, რომ კბილის პასტებს პრევენციულ დანიშნულებასთან ერთად დამხმარე სამკურნალო საშუალების ფუნქციაც აკისრიათ. ამიტომ, რეკომენდებულია კბილების ორჯერ გამოხეხვა. თუმცა, პირის ღრუს ჰიგიენისთვის მხოლოდ ეს არ არის საკმარისი.

ყოველივე ამის შესახებ "ბლენდ-ა-მედის" საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში მომზადდება დამხმარე საინფორმაციო მასალები, რომლებიც მშობლებს დაურიგდებათ.

კარიესისათვის ყველაზე სახიფათო ასაკი ყოფილა 5-8 და 10-13 წლები.

24 საათი

სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს დენი აღარ გაეთიშებათ

გუშინ კომპანია "თელასი" "საქტელერადიომაუწყებლობისა" და თბილისის 65 სამედიცინო დაწესებულებისგან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაუყოვნებლივ გადახდას ითხოვდა. თუკი ეს ორგანიზაციები დავალიანებას არ დაფარავდნენ, ელექტროენერგიის მიწოდება მათ დღის პირველ საათზე შეუწყდებოდათ. თბილისის მერიამ თელასის გენერალურ დირექტორთან დანგილას ნიკალაევთან დღის ბოლოს მიაღწია შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, მერია თავდაპირველად - 200 ათას ლარს, თვის ბოლომდე კი 700 ათას
ლარს გადაიხდიდა.

თამარ დვალი

გუშინ ქალაქის ახლად დანიშნული მთავრობა რამდენიმე საათის განმავლობაში კომპანია "თელასის" გენერალურ დირექტორს დანგილას ნიკოლაევს ეთათბირებოდა. ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, პრემიერი ბიძინა ბრეგაძე და ვიცე-პრემიერი თემურ ქურხული პირობას იძლეოდნენ, რომ ვალების გადახდას ერთი წლის განმავლობაში შეძლებდნენ. იმისათვის, რომ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს ელექტროენერგია გუშინ არ გათიშვოდათ, მერიამ თელასს 200 ათასი ლარი გადაურიცხა. როგორც ქალაქის ვიცე-პრემიერმა თემურ ქურხულმა განაცხადა, ქალაქის მერია ვალდებული არ იყო, ეს ვალი თავად დაეფარა.

" მერიის პრობლემა არ არის, როდესაც ჯანდაცვის ობიექტებს ელექტროენერგია ეთიშებათ. მერიიდან მათ ყოველწლიურად თანხები ერიცხებათ და ისინი ვალდებულები არიან, ამ თანხით ელექტროენერგიის საფასური დაფარონ. რადგანაც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ობიექტებისთვის დენის გათიშვა ისევ ჩვენს მოქალაქეებს დააზარალებდა, ჩვენ იძულებულები გავხდით, ეს ნაბიჯი გადაგვედგა, " - აღნიშნა ქურხულმა.

ქალაქის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის თქმით, იმისათვის, რომ მერიიდან გადარიცხული თანხების მიზნობრივი ხარჯვა მოხდეს, მერიაში ახალი დამატებითი ორგანო შეიქმნება.

" დღეისათვის მერიაში არ არსებობს ორგანო, რომელიც თანხების განკარგვას გააკონტროლებს. ჩვენი უპირველესი მიზანია, შევქმნათ ისეთი ორგანო, რომელიც ფულის მოპარვის საშუალებას არავის მისცემს. ამისთვის კი დროა საჭირო", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ქალაქის პრემიერმა. მისივე თქმით, ქალაქის მთავრობა ელექტროენერგიის პრობლემის მოსაგვარებლად დილის 10 საათიდან მუშაობდა და საღამოს ხუთი საათისთვის, როგორც იქნა, შეთანხმებას მიაღწიეს.

მოლაპარაკების შედეგად გუშინ ქალაქის მერიამ თელასს 200 ათასი ლარი გადაურიცხა. თვის ბოლომდე მერია კიდევ დამატებით - 700 ათას ლარს გადაიხდის. სამედიცინო დაწესებულებების მთლიანი დავალიანება ორი მილიონ 200 ათას ლარს შეადგენს. როგორც ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ამ ვალის გადახდის თარიღი უკვე გაწერილია. მერის თქმით, საავადმყოფოებში ადმინისტრირების საკითხი ძალზე სუსტია.

"ჩემი ინფორმაციით, საავადმყოფოების დიდ ნაწილში უამრავი კომერციული დაწესებულება ფუნქციონირებს. ისინი ელექტროენერგიის საფასურს არ იხდიან, რის გამოც, მათი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაც მერიას უწევს", - განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ქალაქის ახალი მთავრობის გაცნობითა და მოლაპარაკების შედეგებით კმაყოფილი დანგილას ნიკოლაევი აცხადებდა, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს ელექტროენერგია აღარ გაეთიშებოდათ. ნიკოლაევი იმედოვნებს, რომ თუკი მთავრობასთან კონსტრუქციული მუშაობა კვლავაც გაგრძელდება, პრობლემები აღარ შეექმნებათ.

მკვლელობა ფოთში

ეჭვმიტანილი დაკავებულია, ვერსიები არ სახელდება

ფოთის პოლიციის სამმართველოს ახალდანიშნულმა უფროსმა თენგიზ მიქაძემ, რომელიც ამ თანამდებობაზე გუშინწინ დაინიშნა - თავი უმალ ისახელა. გუშინ ფოთის პოლიციამ ოპერატიულად, დანაშაულის მოხდენიდან სულ რამდენიმე წუთში მოახერხა მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავება.

გუშინ დილით, დაახლოებით 10 საათზე ფოთში, მშვიდობის ქუჩაზე, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მახლობლად, მდინარე რიონის სანაპიროზე მკვლელობა მოხდა. უცნობმა ავტომატიდან ცეცხლი გახსნა "ოპელის" მარკის ავტომანქანის მიმართულებით, რომელშიც ორი ადამიანი იჯდა. სროლის შედეგად ადგილზევე დაიღუპა აფხაზეთიდან დევნილი ხვიჩა გვარამია, მასთან ერთად მანქანაში მყოფი, მძიმედ დაჭრილი ნიკა ჟვანია კი ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, ჟვანია კისრის არეშია დაჭრილი და სერიოზული ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. ამჟამად კი მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მკვლელობიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის მახლობლად პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავება მოახერხა. ასევე შემთხვევის ადგილის მახლობლად იპოვეს მიტოვებული "გაზ 24" მარკის ავტომანქანა; ვარაუდობენ, რომ ბოროტმოქმედებმა სწორედ ამ მანქანით იმგზავრეს. მანქანის ჩხრეკისას პოლიციამ სალონში დამალული ცეცხლსასროლი იარაღი - კარაბინი აღმოაჩინა. მომხდარის გამო მუშაობა მოუწიათ მყვინთავებსაც, რომლებმაც მდინარე რიონის ფსკერიდან, სავარაუდოდ, მკვლელის მიერ გადაგდებული ჩანთა ამოიღეს. ჩანთაში კი სამართალდამცველებმა "აკს"-ის სისტემის ავტომატი და ტყვიები აღმოაჩინეს.

ხვიჩა გვარამიას მკვლელობის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ფოთის საქალაქო პროკურატურა იძიებს. თვითმხილველებისა და ეჭვმიტანილის დაკითხვა იქ გუშინვე დაიწყეს, ასევე დაინიშნა ნაპოვნი იარაღისა და ტყვიების ექსპერტიზა.

"ექსპერტიზის შედეგები გამოძიებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან უნდა დადგინდეს მოკლულის სხეულიდან ამოღებული ტყვიისა და მდინარეში ნაპოვნი ტყვიების იდენტურობა, აგრეთვე ისიც, ხომ არ არის იმავე იარაღებით ჩადენილი სხვა დანაშაული", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ფოთის პროკურორმა მამუკა პაპასკირმა, რომელიც არ აზუსტებს თავდამსხმელთა რაოდენობას: **"ფაქტია, რომ სროლით ერთი კაცი ისროდა. ჩვენც, ჯერ-ჯერობით, ერთი ეჭვმიტანილი გვყავს დაკავებული, გამოძიების მსვლელობისას კი გაირკვევა, ჰყავდა თუ არა მას თანამზრახველები"**, - ამბობს პაპასკირი.

მკვლელობის ადგილი.

ფოთის პროკურორი ასევე სიფრთხილეს იჩენს მკვლელობის ვერსიებზე საუბრისას და გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა, არც უარყოფს და არც ადასტურებს: "გამოძიება რამდენიმე ვერსიას ამუშავებს", - ამბობს იგი და კონკრეტულ ვერსიაზე საუბარს თავს არიდებს.

ჩვენი ინფორმაციით კი, მკვლელობის ძირითადი ვერსია სწორედ შურისძიებაა, მოკლული კი - შემთხვევითი მსხვერპლი. გავრცელებული ხმების თანახმად, მკვლელს (თუ მკვლელებს) ერთ-ერთ ფირმაში, კერძოდ "ალმარში", რომლის თანამშრომელიც გახლდათ გვარამია, 2 წლის წინათ მომხდარი მკვლელობის გამო სურდათ შურისძიება. მაშინ "ალმარის" ხელმძღვანელმა მერაბ ალანიამ ვინმე გელა სურმავა მოკლა. არაოფიციალური ვერსიით, ბოროტმოქმედს ავტომანქანა "ოპელის" საჭესთან მჯდომი გვარამია სწორედ "ალმარის" ხელმძღვანელ მერაბ ალანიაში შეეშალა. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ალანია მკვლელობის ადგილთან ახლოს ცხოვრობს.

24 საათი

"გამომძიებელი ბრალდებულის ადვოკატობას კისრულობს"

სიღნაღის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებმა დირექტორი კორუფციაში ამხილეს

42 ათასი ლარი - ეს ის თანხაა, რომელიც თავის დროზე სახელმწიფომ სიღნაღის რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სხვადასხვა პროექტების, განსაკუთრებით კი, მალარიის პროგრამის განსახორციელებლად გამოუყო, მაგრამ, ცენტრის თანამშრომელთა თქმით, ამ თანხას ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლუიზა ბერიაშვილი საკუთარ ოჯახს ახმარდა. ამ საქმესთან დაკავშირებით მასალების მოკვლევას კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი ვახტანგ ბალარჯიშვილი აწარმოებს, რომელსაც ბერიაშვილთან დაპირისპირებული ჯანდაცვის ცენტრის ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები უნდობლობას უცხადებენ და საქმის ობიექტურად გამოძიებაში დახმარებას გენერალურ პროკურატურას სთხოვენ; უფრო მეტიც, ისინი შველას პრეზიდენტისგანაც ითხოვენ.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

მას შემდეგ, რაც საქართველოში დიქტატორულ რეჟიმს ბოლო მოეღო, კახელებმა ნამდვილად გამოიღვიძეს. ამის მაგალითია მათ მიერ გადადგმული ის თამამი ნაბიჯები, რომლითაც ისინი რეგიონში კორუმპირებული ჩინოვნიკების მხილებას ცდილობენ. კორუფციის წინააღმდეგ ამჯერად ქიზიყელებმა გაილაშქრეს. მათი პირველი სამიზნე გახდა სიღნაღის რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ლუიზა ბერიაშვილი. ყველაფერი ცენტრის აწ გარდაცვლილი თანამშრომლის მარგო ოტიაშვილის გაუცემელი ხელფასიდან დაიწყო.

ლუიზა ბერიაშვილს ვალის გასტუმრებას მარგო ოტიაშვილის მემკვიდრეები ჯერ კიდევ მის გარდაცვალებამდე სთხოვდნენ, მაგრამ, როგორც ოტიაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, ბერიაშვილი მათ ნათქვამს არაფრად აგდებდა. ოტიაშვილის გარდაცვალების შემდეგ კი ეს საკითხი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა საერთოდ უგულებელყო და მხოლოდ მას შემდეგ დაფაცურდა, როცა ოტიაშვილის ერთადერთმა მემკვიდრემ თამარ ბაგალიშვილმა პოზიცია არ დათმო და იანვარში განცხადებით უკვე გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს თენგიზ ბეჟაშვილს მიმართა. ამის შემდეგ ბერიაშვილი ბაგალიშვილს იბარებს და მას ფულის ნაცვლად მარგო ოტიაშვილის საფლავის გაკეთებას სთავაზობს: **"ასე მითხრა, ამ ფულით საფლავს გავაკეთებო. მე კიდევ ვალი მქონდა მარგო დეიდას მკურნალობიდან გამოყოლილი. ამის შემდეგ გავხდი იძულებული, რომ დახმარებისთვის ბატონ თენგიზისთვის მიმემართა"**, - ამბობს თამარ ბაგალიშვილი. საქმის შესასწავლად შედგა კომისია, საქმეში კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის რეგიონალური სამსახურიც ჩაერთო. მანამდე კი ლუიზა ბერიაშვილის ფინანსურ-სამეურნეო მდგომარეობის შესწავლას თავად ჯანდაცვის ცენტრის ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები იწყებენ. შედეგად კი ირკვევა, რომ ბერიაშვილს, ოტიაშვილის ხელფასი თავად ჰქონდა აღებული, რადგან უწყისზე ხელი მას ჰქონდა მოწერილი: **"რომელი მესაფლავე ბერიაშვილი იყო, რომ საფლავებს აკეთებდეს? ყველაზე საინტერესო კი აქ ის არის, რომ ჩვენი უფროსი თანხებს ითვისებდა"**, - ასე განმარტავს ბერიაშვილის საქციელს ჯანდაცვის ცენტრის მთავარი ბუღალტერი ქეთევან ალავერდაშვილი. ის, რომ ლუიზა ბერიაშვილი ფინანსებს არამიზნობრივად ხარჯავდა, ამას ორგანიზაციის მოლარეც ატყობდა, მაგრამ სამსახურიდან გათავისუფლების შიშით ხმას ვერ იღებდა. ახლა კი აცხადებს, რომ ბერიაშვილს ბანკიდან გამოტანილი თანხები ყოველთვის სახლში მიჰქონდა: **"მიუხედავად იმისა, რომ ხელფასის გაცემა მე მევალებოდა, ამ მისიას თავად ბერიაშვილი იღებდა თავზე. მე მხოლოდ ფურცლებზე ხელს მაწერინებდა. ხელფასების გაცემა კი მის ოთახში ხდებოდა"**, - გვითხრა მოლარე მაია ნადირაშვილმა. მთავარი ბუღალტერი და მოლარე აქვე იმასაც იხსენებენ, თუ როგორ უქვითავდა ბერიაშვილი თანამშრომლებს მუნიციპალური და ფედერალური პროგრამებიდან დაფინანსებულ მათ კუთვნილ ხელფასებს. ამის მაგალითად ალავერდაშვილსა და ნადირაშვილს ექიმებისთვის გამოყოფილი თანხები მოჰყავთ: **"მაგალითად, როდესაც მალარიის პროგრამა ხორციელდებოდა, ექიმებს ხელფასი ოფიციალურად 120 ლარი დაენიშნათ, მაგრამ დირექტორი მათ 50 ლარს აძლევდა. როცა რაიმეს შევეკითხებოდით, ასე გვპასუხობდა - ისინი ჩემთან ხელშეკრულებით მუშაობენო. კი მაგრამ, ჩვენი სამსახური სახელმწიფო დაწესებულებაა და რა შუაშია აქ ხელშეკრულება? თუმცა რაღა გასაკვირია, მას სამსახურში თავის დაქალები და ძმაკაცები ჰყავდა გაფორმებული, რომლებიც წელიწადში ორჯერ თუ ახერხებდნენ მოსვლას, ხელფასს კი ბერიაშვილი იღებდა"**, - ამბობს მთავარი ბუღალტერი.

ამ ფაქტების შესახებ კომენტარისთვის "24 საათი" ლუიზა ბერიაშვილს ტელეფონით დაუკავშირდა, მაგარამ მან ჩვენთან შეხვედრა და საუბარი არ ისურვა. მეტიც, პროვოკატორები და შანტაჟისტები გვიწოდა, მისი ოჯახის წევრებისგან კი ჩვენი მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვებიც გაისმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმეში კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურიც ჩაერთო. მათ მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ ლუიზა ბერიაშვილმა სამსახური მართლაც ბოროტად გამოიყენა. განყოფილების უფროსის, ოთარ ბოღლოციშვილის განცხადებით, ბერიაშვილს 42 ათასი ლარის მითვისებასა და სხვადასხვა მაქინაციებში ედება ბრალი: **"ჩვენ გვქონდა ოფიციალური ბრძანება აღნიშნული ორგანიზაციის შემოწმების შესახებ, სწორედ ჩვენი კომისიის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით აღიძრა ლუიზა ბერიაშვილის წინააღმდეგ საქმე. მას ბრალად ედება 42 ათასი ლარის მითვისება და სხვადასხვა მაქინაციები; მაგალითად, ავტომანქანა "ოპელ ვექტრა" მას ორგანიზაციის სახელზე შესყიდული აქვს 13 ათას ლარად, როცა მისი საბაზრო ღირებულება სულ 6 ათასია"**, - ამბობს ოთარ ბოღლოციშვილი. ავტომობილი კი თავდაპირველად ლუიზა ბერიაშვილის ოჯახის საკუთრება იყო. "ოპელ ვექტრას" მსგავსად, როგორც ჯანდაცვის სიღნაღის ცენტრის თანამშრომლები აცხადებენ, ბერიაშვილს ასეთ არარეალურ ფასად სხვა მანქანებიც შეუძენია, შემდეგ კი ჩამოუწერია და ახლობლებისთვის "უჩუქნია": **"სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ, თუ არა ჩუქება. მანქანას 2 ათას დოლარად იყიდდა, შემდეგ საბუთებით აფორმებდა, თითქოს 50 ლარად გაყიდა. თუ რა ფასად ურიგდებოდა იგი მყიდველს, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის"**, - აცხადებს ბუღალტერი ქეთევან ალავერდაშვილი.

კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ ამჯერად საქმე კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელს ვახტანგ ბალარჯიშვილს გადაულოცა, რომელსაც ჯანდაცვის ცენტრის ეკონომიკური სამსახური უნდობლობას უცხადებს. ისინი შველას პრეზიდენტისა და გენერალური პროკურორისგან ითხოვენ: **"ჩვენ მოვითხოვთ, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე გამომძიებელ ვახტანგ ბალარჯიშვილის მიმართაც თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო. იმის ნაცვლად, რომ ბერიაშვილი პასუხისგებაში მისცეს, მისი ადვოკატობით არის დაკავებული. ჩვენ კიდევ ელემენტარულად არ გვაქვს ფული, რომ ვიმოძრაოთ, ადვოკატის დაქირავება ხომ ჩვენთვის ფუფუნებაა. ამიტომ მივმართავთ ქვეყნის პრეზიდენტსა და გენერალურ პროკურორს, რომ გვიხსნან დამნაშავე დირექტორისა და უსამართლო გამომძიებლისგან"**, - თხოულობენ მომჩივანნი.

თუმცა, კახეთის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის ზაზა მალუძის განცხადებით: **"გამომძიებლის მიმართ წარდგენილი ასეთი ბრალდებები სინამდვილეს ნამდვილად არ შეესაბამება. შემიძლია გითხრათ, რომ ამ საქმეზე მიმდინარეობს რევიზია, რომლის აქტიც, ჩვენი ინფორმაციით, 2-3 დღეში ხელთ გვექნება და სწორედ ამ აქტის მიხედვით გაგრძელდება გამოძიება"**.

შესაძლოა, ევროკავშირის გაფართოებას დამნაშავეობის ზრდა მოჰყვეს

გერმანული გაზეთის Handelsblatt-ის ცნობით, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებასთან ერთად იზრდება დამნაშავეობის მკვეთრი ესკალაციის საფრთხე. "ევროკავშირის გაფართოება დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ახალ შესაძლებლობებს მიანიჭებს", - ნათქვამია ევროკავშირის უკანასკნელ მოხსენებაში, თუმცა ექსპერტები დამნაშავეობის მკვეთრ ზრდას არ ელიან.

გაზეთის ცნობით, ამჟამად ევროკავშირის საზღვრებს უკვე კვეთს კონტრაბანდული ნარკოტიკების ტონობით პარტიები. გარდა ამისა, ადამიანებით ვაჭრობა, სასაზღვრო რაიონებსა და დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქთა ბორდელებში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ქალების იძულებით მუშაობა, იარაღით ვაჭრობა და კორუფცია - დამნაშავეთა სამყაროს უსაზღვრო მასშტაბები შიშის ზარს სცემს მათ მსხვერპლთ. საერთაშორისო დამნაშავეობაში ჩართული, ძვირფას კოსტუმებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილი ბოროტმოქმედები მილიონებს ათეთრებენ და შენელებული მოქმედების ნაღმზე დებენ ლეგალურ საქმიან შეთანხმებებს.

"დსთ-ს ქვეყნებიდან გამოსული დანაშაულებრივი სინდიკატები ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნებში კარგად გრძნობენ თავს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ორგანიზებული დამნაშავეობა ისე მკვეთრად მზარდი არ არის, როგორც პოსტკომუნისტურ ცენტრალურ ევროპაში, რომელიც დანაშაულებრივმა სინდიკატებმა პლაცდარმად აირჩიეს, რათა იქიდან შეუტიონ დასავლეთ ევროპას", - წერს თავის ახალ წიგნში - "განგსტერები აღმოსავლეთიდან. დამნაშავეობის ახალი გზები" - ცნობილი ჟურნალისტი, მაფიის შესახებ არაერთი წიგნის ავტორი იურგენ როტი.

ევროკავშირი 1 მაისისთვის დაგეგმილი გაფართოების მოლოდინშია და თავადვე მიუთითებს ევროკავშირის ზოგიერთ მომავალ წევრ ქვეყანაში კორუფციის ფაქტების მომრავლებაზე, ადამიანებით ვაჭრობასა და ორგანიზებული ეკონომიკური დამნაშავეობის ზრდაზე. ამჟამინდელ საზღვრებში კი ევროკავშირი უკვე ოთხი ათასამდე დანაშაულებრივ დაჯგუფებას ითვლის, რომლებშიც, სულ ცოტა, 40 ათასი წევრია გაერთიანებული.

რაზე მიუთითებს დანაშაულებრივი სინდიკატების გავლენის ზრდა და დამნაშავეების მხრიდან ლეგალური სტრუქტურების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება? ეს მხოლოდ "საფრთხობელაა", თუ ყოველდღიური რეალობა? ამ შეკითხვას სვამს გაზეთი Handelsblatt და გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ჰოლგერ ბერნზეს კომენტარს აქვეყნებს. მისი თქმით: **"მომავალზე ლაპარაკი უადგილოა - ორგანიზებული დამნაშავეობის სახის მქონე სიმსივნე უკვე ევროპაშია. შლაგბაუმს მისი გავრცელებისთვის ხელი არ შეუშლია".**

თუმცა, იგივე ბერნზე მიიჩნევს, რომ ახლა ამ საშიშროებაზე ლაპარაკი მოჩვენებების ხატვას ჰგავს, რადგანაც სასაზღვრო კონტროლი ახალი წევრი ქვეყნების საზღვრებზე 1 მაისის შემდეგაც შენარჩუნდება, თუმცა ტვირთების ეფექტური შემოწმება დღესაც კი პრაქტიკულად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ჰოლგერ ბერნზე მიიჩნევს, რომ ევროკავშირში 10 ახალი წევრის მიღება გაზრდის ორგანიზებული დანაშაულის შანსებს.

აღმოსავლეთის ბანდების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რადიკალურ ზრდას არ მოელიან არც გერმანიის ფედერალურ კრიმინალურ პოლიციაში, თუმცა ვარაუდობენ, რომ ორგანიზებული დამნაშავეობის უკვე ჩამოყალიბებული ქსელი მომძლავრდება და განვითარდება. შესაბამისად, ფედერალური პოლიცია უკვე თანამშრომლობს ევროკავშირის გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნების სამართალდამცველებთან და დადებულიც კი აქვთ მთელი რიგი შეთანხმებები. ბევრ ქვეყანაში გერმანელმა პოლიციელებმა კოლეგებთან პირადი კონტაქტების საფუძველზე დაამყარეს საქმიანი ურთიერთობა. ამასთან, ყველა მეზობელ ქვეყანასთან გერმანიას დადებული აქვს შეთანხმება სახელმწიფოთაშორის პოლიციურ თანამშრომლობაზე.

მიუხედავად ამისა, სამართალდამცველები მიიჩნევენ, რომ ორგანიზებულ დანაშაულსა და მაფიასთან ბრძოლაში ბევრი პრობლემა რჩება მოუგვარებელი.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. ლევან თხელიძე პოლიციელებმა ფიროსმანის ქუჩაზე ყაჩაღობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს. თბილისის დიდუბე - ჩულურეთის რაიონის პოლიციის მტკიცებით, თხელიძემ ავტომანქანა "ვაზ 2107-ის" მფლობელ ვახტანგ ჩიხლაძეს დანის მუქარით 18 ლარი წაართვა. პოლიციელებმა დაკავებულს გატაცებული თანხის კუპიურები უპოვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დავით სტეფანიშვილი, ზურაბ ბოჭორიშვილი და ირაკლი სილაგაძე პოლიციელებმა სხვისი ქონების დაზიანების ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, დაკავებულებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს 23 წლის გიორგი ჩოჩიშვილს და დაუზიანეს ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა". ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში ბოჭორიშვილს, სილაგაძესა და სტეფანიშვილს ჯარიმის გადახდა ან 3 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

მესტია. პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა დაბა მესტიაში მცხოვრები თამაზ ნიგურიანი, რომელმაც 2003 წლის 10 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაიქცა. ბრალდების თანახმად, ნიგურიანმა 1998 წლის 7 ოქტომბერს დაბა მესტიაში გიორგი ხერგიანი მოკლა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, სანზონის (თბილისი) პირველ კორპუსში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 39 წლის გოჩა კოხრეიძე, რომლისგანაც ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული, 4 პაკეტად დაფასოებული 1.200 გრ ყაყაჩოს თესლი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი ზაალ ჭყოიძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.46 გრ ჰეროინი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის მარნეულის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ს/ს "თელასის" გლდანის რაიონის ფილიალის მომსახურების ცენტრის ტექნიკოსი, 25 წლის ზურაბ ბიწაძე პოლიციელებმა მოქალაქისაგან 100 ლარის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ბიწაძემ გლდანის მე-3 მიკრორაიონის ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრებ პაატა კაპანაძეს თაღლითური გზით 100 ლარი გამოსძალა და მრიცხველის გვერდის ავლით ელექტროგაყვანილობის დამონტაჟებას დაჰპირდა.

დაკავებულისაგან პოლიციელებმა სპეციალური ფხვნილით დამუშავებული 10 ცალი ათლარიანი კუპიურა ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

ბავშვებო, თბილისსაც ჰქონდა ფუნიკულიორი

პირველი გვერდიდან

დღეს ფუნიკულიორზე მხოლოდ მანქანით თუ მოხვდებით ან ოქროყანაში მიმავალი სამარშრუტო ტაქსით მიუახლოვდებით. გზაც გაუთავებელი გეჩვენება უკვე ნაცნობი კონტრასტებით: თანამედროვე ვილები და ლტოლვილებით დასახლებული ყოფილი სამთავრობო აგარაკები, ალაგ-ალაგ გაკაფული ტყე და მეფუტკრეობის სამეცნიერო ინსტიტუტი, შეყვარებული წყვილები და ნახირს გამოდევნებული მენახირეები... მას შემდეგ, რაც საბაგირო გზის ბაგირი ჩამოწყდა, მოგვიანებით კი ტრამვაი გამოვიდა მწყობრიდან და იაპონელი ტურისტები სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ, მანძილი თბილისსა და მთაწმინდის პარკს შორის (ასე ჰქვია ფუნიკულიორს ოფიციალურად) ერთიორად გაიზარდა. საანძლეოს ჩამოვდივარ, დღევანდელი ბავშვები ვერც კი დაუშვებენ, რომ ერთ დროს აქ ამოსასვლელად გინდაც საბაგიროთი, გინდაც ტრამვაით, გრძელ რიგში უნდა ჩამდგარიყავი. ზოგჯერ გვეჩვენებოდა, შუა გზაზე ვაგონები ერთმანეთს შეეჯახებოდნენ და ეს შიში ფუნიკულიორს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა. დღევანდელ ბავშვებს აქაურობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. საუკეთესო შემთხვევაში გეოგრაფიის სახელმძღვანელოებიდან იციან, რომ ეს მთა თრიალეთის ქედის ნაწილია, მაგრამ არ იციან, თბილისის ომის დროს ფუნიკულიორი ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტი თუ იყო.

ყველაფრის მიუხედავად, აქაურობა გავერანებული არ არის. არა იმიტომ, რომ ამ სიშორეზე ერთ დროს ცნობილი პარკის დასარბევად ვერავინ მოიცალა. მოიცლა და მერე როგორ! ომის დროს ორივე მხარე პირველ რიგში ტელეანძას იცავდა, თუმცა აქედან არც დანარჩენი სტრატეგიული ობიექტების მიზანში ამოღებაა ძნელი. ტელეანძას დღესაც იცავენ და მისი დაზიანების შემთხვევაში მესიჯსაც კი ვეღარ გავუგზავნით ცივილიზებულ სამყაროს. თბილისის ომის დროს მობილური ტელეფონები ჩვენში არ არსებობდა, მაგრამ იყო ტელევიზია, ტელევიზიის კიბეებზე გაშხლართული ოპოზიციონერები და ფუნიკულიორიც ლოკალური ბრძოლების შედეგად ხელიდან ხელში გადადიოდა. შედეგი: გახშირებული "საქმის გარჩევები", ქალაქში საკუთარი ფეხით იშვიათად დაბრუნებული მოქალაქეები და მოგვიანებით აქედან გატანილი ხუთასამდე ნაგვის მანქანა.

ფუნიკულიორის ისტორია საუკუნის წინათ დაიწყო, როცა 1900 წელს თბილისის თვითმმართველობამ ბელგიელი ალფონს რობის პროექტი დაამტკიცა და მთაწმინდის პლატოზე მამადავითის ზემოთ ფუნიკულიორის გახსნა გადაწყვიტა. უკვე ხუთი წლის თავზე აქაურობა პირველ მნახველებს მასპინძლობდა. როგორი იყო მაშინდელი ფუნიკულიორი, ამაზე ხელოვნების მუზეუმში დაცული ფიროსმანის ტილოთითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ. უკვე საბჭოთა პერიოდში ორჯერ მოხდა ფუნიკულიორის რეკონსტრუქცია: პირველად 1936-38, მეორეჯერ - 1968-69 წლებში. მესამე რეკონსტრუქციას აწიღა ელიან, ისიც იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი ან აქაური ინვესტორი გამოჩნდება.

შეუძლებელია, აქ ამოხვიდე და გუნება არ გაგიფუჭდეს. "რომ იყოს ახლა, ვიცი, ჩემს სევდას ბარათაშვილიც ვერ გაიგებდა" (ეს ტერენტი გრანელია). სევდა კი იმითაა გამოწვეული, რომ აქაურობა ფანტასტიკური ფილმების პეიზაჟს წააგავს: თითქოს ეკოლოგიური კატასტროფა მოხდა და ადამიანები სადღაც გადაიხვეწნენ. მერე მოდის ვიღაც ენთუზიასტი და აქა-იქ შემორჩენილ სკაფანდრიან სამხედროებთან კონტაქტის დამყარებას ცდილობს. სკაფანდრიანების რა მოგახსენოთ, მაგრამ ფორმიანებს მეც გადავეყარე. ისინი ამჯერადაც ანძას იცავენ და ძალაუნებურად პარკის პატრულირებაც უხდებათ. პარკს რაც შეეხება: დასაცავია ე. წ. წითელი ზოლი, რომლის შიგნითაც ხეებს აღარ ჩეხავენ და ერთ დროს ცნობილი რესტორანი კოკა იგნატოვის პანოთი "ფიროსმანის გახსენება", რომლის წყალობითაც ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ საზკვების ობიექტს საბჭოთა სტანდარტებით დათრგუნული ინტელიგენციაც და პარტიული ნომენკლატირაც ერთნაირად ეტანებოდა. დღეს ეს დარბაზი საგულდაგულოდ ჩაკეტილია. ამაზე ალბათ ადრე უნდა ეზრუნათ, თუმცა ეჭვი მღრღნის, ხსენებულ პანოს იმიტომ ჩამოაჭრეს ნაწილი (უფრო სწორად, ცენტრალური ქვედა ნაწილი ამოაჭრეს სიმეტრიულად), რომ ვიღაცას ვიღაცის გამწარება უნდოდა. ვინ ვინაა საქართველოში, ახლა კიდევ უფრო ძნელი დასადგენია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მსგავსი ვანდალიზმი მხატვრის სიყვარულით არაა ნაკარნახევი.

რით განსხვავდება ოპტიმისტი პესიმისტისაგან? ბევრით, მაგრამ ამჯერად შ.პ.ს. "მთაწმინდის პარკის" გენერალური დირექტორის თეიმურაზ კიკნაძის განმარტებას შემოგთავაზებთ: თუ პესიმისტი ხარ და გინდა, ფუნიკულიორზე ამოსვლისას ყველაფერი მუქ ფერებში დაინახო, პირით თბილისისაკენ უნდა დადგე და დედაქალაქს რესტორნის ნანგრევებიდან გახედო. ოპტიმისტი თუ ხარ, ზურგი უნდა აქციო, სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქო და სიჩუმით დატკბე. მეც საკუთარ თავს ომახიანად შევუძახე: ზურგისაკენ და დანგრეულ შენობას გვერდი მშვიდად ავუარე.

"თიბისი სითი" - ვლაპარაკობთ წარმატებულ პროექტებზე და ვგულისხმობთ საეჭვო გარიგებებს სახელმწიფოსა და გარკვეულ ბიზნესწრეებს შორის. კაცმა რომ თქვას, მერა მესაქმება ყოფილი "მხატვრის სახლის" ტერიტორიასთან. ან რა ჩემი გასარკვევია, სასტუმრო "თბილისის" "მარიოტით" ჩანაცვლება ვის რამდენი დაუჯდა. მაგრამ ფუნიკულიორზე ყოფნისას უბრალოდ მომშივდა და ძალაუნებურად გამახსენდა რესტორანი, რომლის აღდგენა არც ისე დიდ კაპიტალდანახარჯებთანაა დაკავშირებული. 1992 წელს ეს მსუყე ლუკმაც "თიბისი სითის" გადაეცა, თუმცა, როგორც ჩანს, არარენტაბელურად ჩათვალეს და საზოგადოება "თბილისელს" უფეშქაშეს. "თბილისელებს" იმ დროს ფუნიკულიორისთვის სად ეცალათ, ქალაქში გაცილებით სერიოზული საკითხები წყდებოდა, მაგალითად - ზემო ვერელები უფრო მაგრები იყვნენ თუ ქვემო ვერელები? რაც შეეხება მთაწმინდელებს, ერთი მათგანი ("მთაწმინდის პარკის" გენერალურ დირექტორს ვგულისხმობ) დღემდე ვერ ეგუება იმ ფაქტს, რომ ადრე თუ გვიან რესტორანი აუცილებლად სხვას და არა აქაურ პერსონალს გადაეცემა.

ფუნიკულიორი, ისევე როგორც ზოოპარკი, მუშტაიდი და ვაკის პარკი თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს ეკუთვნის და როგორც ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია, სახელმწიფოზეა დამოკიდებული. ეს კი ნიშნავს, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის ნაწილი - ასე, 170 000 ლარი, - ქაღალდზე რჩება და მხოლოდ 50 000 ხმარდება 60-კაციანი პერსონალის შენახვას. ეს პერსონალი ბაღს კარგად უვლის, მაგრამ ფუნიკულიორი ნაკრძალი არ არის, იგი კულტურისა და დასვენების პარკია და იქ, ბუნებრივია, ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებელია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფუნიკულიორზე თუ ამოხვალ, შენმა შვილმა ატრაქციონებიცთაც უნდა იჯეროს გული და თუ მოშივდება, ფენოვან ხაჭაპურსაც გაუსინჯოს გემო. თუ საცურაო აუზიც იქნება ან ჩოგბურთის კორტები, მთლად კარგი. რაც მთავარია, აქ ამოსასვლელად ტაქსი არ უნდა გჭირდებოდეს - სხვა თუ არაფერი, შუა გზაზე მთაწმინდის პანთეონია და ერთხელ მაინც ხომ მოგინდება იქაურობისთვის თვალის შევლება? საბაგიროც და ტრამვაის ხაზიც, ისევე როგორც მთლიანად პარკი (მინუს ყოფილი რესტორანი), თბილისის მერიას ეკუთვნის, ოღონდ არა კულტურის სახმსახურს. იყო შ.პ.ს. "თბილტრანსი", იყო ტრანსპოტრის მართვისა და ორგანიზების სამსახურიც, მაგრამ ეს ყველაფერი იყო. ახლა ამ სტრუქტურას რა ჰქვია, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. სამაგიეროდ ვიცი, რომ ტრამვაის რელსების გაყოლებაზე კიბეებს რკინის საყრდენი დამძვრალი აქვს და მამადავითზე ფეხით ჩასვლას არ გირჩევთ. ასევე არ გირჩევთ მერიის კულტურის სამსახურში სიტყვა ჩამოაგდოთ ფუნიკულიორის შესაძლო ქართველ ინვესტორზე, რომელსაც ბოლო დროს, ჩვენი პრეზიდენტისა არ იყოს, ერთი უცნაურობა დასჩემდა: ბაღებისა და პარკების მოწყობას მიეძალა. მერიის კულტურის სამსახურში გაგიღიმებენ, კიბეებზეც ჩამოგაცილებენ და ერთი პირობა დაგარწმუნებენ, რომ ამ ინფორმაციის პირველწყარო შენ ხარ - მაგარი ჟურნალისტი! დიდი-დიდი გითხრან, რომ თბილისის ყველაზე დიდი "ეშმაკის ბორბალი" უცნაურად დაპატარავდა და ამჟამად ზოოპარკში დგას. ფუნიკულიორზე კიდევ მიმტკიცებდნენ, რომ "ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი" (ეს უკვე გალაკტიონია), "ეშმაკის ბორბალი" საშიში ხდებოდა და მისი დემონტაჟი აუცილებელი გახდა. იქვე დასძინეს, რომ უვარგისი რკინის არმატურა სადღაც ტერიტორიაზე ეწყო, ოღონდ სად, არავის დაუკონკრეტებია.

მერიის კულტურის სამსახურში მყარად სჯერათ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პარკები აღარ გაიყიდება და ბოლოს და ბოლოს ამოქმედდება 1997 წელს მიღებული კანონი პრივატიზაციის შესახებ. მაგრამ პირადად მე ისევ იმ ბიზნესმენის გამჭრიახობის იმედი მაქვს და ასე მგონია, თუ აქაურობა კვლავაც ფუნიკულიორს დაემსგავსება, საბაგიროს და ტრამვაის გაჩერებებზე ისევ რიგი გაიჭიმება. როცა 1900 წელს თბილისის თვითმმართველობა ხელს აწერდა პროექტს, იმ დოკუმენტში ასეთი პუნქტები იყო ჩადებული: მშენებლობის დამთავრების შემდეგ ფუნიკულიორზე მიმავალი გზა ქალაქს გადაეცემოდა და 5 წლამდე ასაკის ბავშვები, ფოსტის დამტარებლები და ჟანდარმერიის წარმომადგენლები უფასოდ იმგზავრებდნენ. რაც შეეხება ბელგიის ანონიმურ საზოგადოებას, იგი 45 წლის განმავლობაში ექსპლუატაციას გაუწევდა ფუნიკულიორს, რის შემდეგაც უსასყიდლოდ გადასცემდა ქალაქს. აი, ასე ფიქრობდნენ საუკუნის წინ ჭკვიანი ქართველები და რომ არა რევოლუცია, ალბათ ფუნიკულიორს ინკოგნიტო ბელგიელები ქართველ კომუნისტებზე უკეთ მოუვლიდნენ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მხოლოდ 5 თვე გავიდა და არა მგონია, ახალმა ხელისუფლებამ ფუნიკულიორისთვის ასე ერთბაშად მოიცალოს. მაგრამ თუ მაინც მოიცლიან, შესაძლოა, ასი წლის წინანდელი გამოცდილებაც გაიხსენონ. იქნებ ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ "საბას" ნომინანტების მთაწმინდის პლატოზე დაჯილდოება ტრადიციად იქცევა, ოღონდ ფუნიკულიორზე ასვლის აუცილებლობას სულ სხვა მიზეზი განსაზღვრავს.

ეს ხერგილი გადაგიღობავთ გზას კოკა იგნატოვის ცნობილი პანოსკენ.

ფუნიკულიორის პლანეტარიუმი დღეს.

ნაშთი იმ დღეთა, რომელთა გახსენებაც მძიმეა.

მერისა აბულაძისა-ბერიძის ფოტოები

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

www.24hours.ge 24 B

თბილისის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება

მაკა ჯაიანი

ჩვენ, არქიტექტურულ-სამშენებლო, ქალაქმშენებლობით-გეგმარებითი და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის საქმიანობითა და საკითხებით პროფესიულად და მოქალაქეობრივად დაინტერესებული კერძო პირები, ვართ რა თანამედროვენი საქართველოში განვითარებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენებისა, მიზნად ვისახავთ კონკრეტული პრობლემების მოგვარებას... - ასე იწყება დეკლარაცია, რომელიც არქიტექტურულ საქმიანობაში ჩართულ ადამიანთა ერთმა ჯგუფმა იანვარში მიიღო. სამი თვის თავზე იანვრის დეკლარაციის ჯგუფი ამ პრობლემების მოგვარების კარგ შესაძლებლობებს ხედავს და მათზე უფრო დაწვრილებით საუბრობს. არაფრით არ შეიძლება დავრჩეთ ინდეფერენტულნი და არ გამოვხატოთ კონკრეტული პოზიცია, როცა ვხედავთ, სადამდე მიგვიყვანა იმ განუკითხაობამ, კორუფციამ და ადამიანთა ვიწრო წრის პირად ინტერესებზე აწყობილმა სისტემამ, რომელიც მშვენივრად მუშაობდა ქალაქისა და მთლიანად ქვეყნის სივრცითი განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში, - აცხადებენ ჯგუფის წევრები.

შეხვედრა ´24 საათის´ რედაქციაში.

- რამ განაპირობა ეს ოპტიმიზმი?

გიორგი სულაბერიძე: ჩვენ ვთვლით, რომ ქალაქის განვითარების მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა - დაინიშნა ახალი მერი, ახალი პრემიერი. დიდი ოპტიმიზმით ველით შემდგომ ნაბიჯებს. იმედი გვაქვს, თბილისის სივრცითი მოწყობის თვალსაზრისითაც რეალური ცვლილებები განხორციელდება.

- დეკლარაცია, ზოგადად, გამოხატავს თქვენს შეხედულებებს ამ ცვლილებებთან დაკავშირებით. რას გულისხმობს იგი უფრო კონკრეტულად?

თემურ ჯაფარიძე: დეკლარაციით ჩვენ გამოვთქვით მზადყოფნა, მივიღოთ მონაწილეობა ქალაქმშენებლობის სფეროს პრობლემების გადაწყვეტაში. ჯგუფის სტრატეგია ასეთი გახლავთ: პირველ ყოვლისა, დარგი უნდა გახდეს სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანი და ამ ფონზე უნდა მოხდეს მისი სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმირება. რაც შეეხება კონკრეტიკას, მიგვაჩნია, რომ, პირველ ყოვლისა, უნდა ჩატარდეს არსებული ვითარების კრიტიკული ანალიზი და ქალაქის განვითარება ევროპული გამოცდილების გაზიარებით უნდა დაიგეგმოს.

ამის კარგი შესაძლებლობა გვაქვს, რადგან რამდენიმე საერთაშორისო პროგრამაში ვმონაწილეობთ, მათ შორის - GTZ-ის, პარიზის დაგეგმარების ინსიტიტუთან მოქმედ პროგრამებში. ეს გვაძლევს შედარებითი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას, რაც თავიდან აგვაცილებს ევროპული მოდელების მექანიკურ გადმოტანას ჩვენს სინამდვილეში. GTZ-ის პროგრამის ფარგლებში, ჩვენ ხელთა გვაქვს, ფაქტობრივად, ყველა მოწინავე ქვეყნის გამოცდილება; დამუშავებულია დიდი თეორიული ნაწილი; მუშაობა გრძელდება.

გარდა ამისა, ჩვენ - აქ მყოფები და სხვა სპეციალისტებიც, უშუალოდ, ვართ ჩართულნი საკანონმდებლო დოკუმენტაციის შექმნაში გეგმარებით დონეზე. ამ ხუთი წლის წინათ, როცა პარიზის დაგეგმარების ინსტიტუტის დირექტორი იყო ჩამოსული და ნახა ჩვენს მიერ გაწეული სამუშაო, გაუკვირდა და აღნიშნა, რომ ანალოგიური გამოკვლევა გაკეთდა სამი თვით ადრე პარიზში, ერთ-ერთ უბანზე. შემდეგ ჩვენ მოგვეცა საშუალება, ჩავსულიყავით საფრანგეთში და მისი შედეგები გვენახა. ამ მაგალითით, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ქვეყანას ნამდვილად აქვს საკმარისი ინტელექტუალური და შემოქმედებითი ბაზა იმისთვის, რომ, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ევროპულ სტანდარტებს მივუახლოვდეთ.

გარდა იმისა, რომ, GTZ-ის პროგრამის ფარგლებში, ზონირების გეგმების დამუშავების თეორიული დოკუმენტაცია დამუშავდა, მიმდინარეობს მუშაობა სრულყოფილი საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად. მონაცემთა ბაზა უკვე არსებობს და ამ ეტაპზე მიმდინარეობს, უბნების მიხედვით, მათი ქსელში შეტანა. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გვქონდეს არსებული მდგომარეობის ამსახველი სურათი, რათა საჭირო გადაწყვეტილების მიღება არ გაგვიძნელდეს.

- რა არის, პირველ რიგში, გასაკეთებელი საკანონმდებლო თვალსაზრისით?

გიორგი სულაბერიძე: პირველ ყოვლისა, იმ საკანონმდებლო ბაზის ამოქმედებაა საჭირო, რომელიც უკვე არსებობს. შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, მათი ამოქმედებაც მოგვცემდა გარკვეულ შედეგს, თუმცა აქამდე ასე არ მოხდა.

- გინდათ, თქვათ, რომ ჩვენ დღესაც გვაქვს კანონები, რომელთა არსებობა იმ დარღვევების არსებობას უნდა გამორიცხავდეს, რაც სახეზეა?

ზაზა თარგამაძე: გარკვეული რეგლამენტი, რასაკვირველია, არსებობს. უბრალოდ, იგი მუშაობდა მაშინ, როცა უნდოდათ.

- დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ თბილისის დამახინჯების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქალაქს გენგეგმა არ აქვს.

თემურ ჯაფარიძე: გენგეგმა, თავისთავად, არ არის დოკუმენტი, რომელიც ქალაქის ამა თუ იმ მონაკვეთის განვითარების ზუსტ რეცეპტს გვთავაზობს. ეს არის სტრატეგიული, ძირითადი დოკუმენტი; კონკრეტული საკითხების დარეგულირება კი მის საფუძველზე შემუშავებული სხვა დოკუმენტებით ხდება. ამ დოკუმენტაციის დამუშავების მეთოდები განსხვავებულია საბაზრო და გეგმიური ეკონომიკის ქვეყნებში. იმას, რომ ჩვენთან არ არსებობდა ეს დოკუმენტაცია, თავისი ობიექტური საფუძველიც ჰქონდა - ქვეყანაში არ არსებობდა შესაბამისი მეთოდოლოგია. დღეს ეს მეთოდოლოგია არსებობს.

გიორგი სულაბერიძე: საფუძველი ამ საფუძველსაც აქვს - ქვეყნისთვის ეს არ ყოფილა პრიორიტეტი, ამის გაკეთების სურვილი არავის ჰქონდა. შესაბამისად, იმის განცხადება, რომ ჩვენი უბედურების მიზეზი ის არის, რომ ქალაქს გენგეგმა არ აქვს, ცოტა სპეკულანტურია. თანამედროვე მეთოდოლოგიისა და შესაბამისი დოკუმენტაციის არარსებობა ძალიან ბევრს აძლევდა ხელს. ამ პირობებში, სახელმწიფო მოხელეების უდიდესმა უმრავლესობამ შესანიშნავად გამოიყენა თავისი საქმიანობა. მოხელის შტამპს მიეცა ფასი, იმაზე მეტი - ვიდრე არქიტექტორის, ქალაქმგეგმარის, სხვათა შრომას. როდესაც წესები არ არსებობს, გარკვეული საფასურის ხარჯზე, ყველაფერი დაშვებულია. ეს არის კორუფციის ტიპური სახე. მას კარგად აქვს გადგმული ფესვები ჩვენ სინამდვილეში და მის საწინააღმდეგოდ უნდა არსებობდეს გამჭვირვალე კანონმდებლობა, რაც მთავარია - ტერიტორიების ზონირება. ახლავე შეიძლება თამაშის ელემენტარულ წესებზე შეთანხმება. მთავარია, ამის სურვილი იყოს.

- ქალაქის ზონირების აუცილებლობის ხაზგასმა აშკარაა. რატომ?

თემურ ჯაფარიძე: ზონირების რუკები წარმოადგენს კონკრეტულ რეცეპტს მიწის კონკრეტული მონაკვეთისთვის. იგი განსაზღვრავს, რა ფუნქციისა და პარამეტრების შენობის აშენება შეიძლება მოცემულ ადგილას. ეს არის ის, რაც დღეს ქალაქს ყველაზე მეტად სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დოკუმენტი აქამდეც არსებობდა, მოქმედებდა დროებითი წესებიც, რომლებიც აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ, მშენებლობები მათი სრული იგნორირებით მიმდინარეობდა.

დიმიტრი მოსიაშვილი: ქალაქმშენებლობის დისციპლინა აბსოლუტურად მოშლილია. ამის ბრალია, რომ ურბანიზაციის პროცესი ჩვენთან პირიქით წავიდა. მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ბალტიისპირეთში საქმისადმი სულ სხვა დამოკიდებულებაა და შედეგებიც სხვაა. მაგალითად, ვილნიუსში, სწორი ურბანული და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, 600 ათასიდან 400 ათასამდე შემცირდა მცხოვრებთა რაოდენობა. საქართველოში კი ყველა თბილისისკენ მოიწევს.

გიორგი სულაბერიძე: მიუხედავად ამისა, ფაქტია, ის მრავლსართულიანი სახლები, რომლებიც ახლა შენდება, თბილისს არ სჭირდება. არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ მათზე შესაბამისი მოთხოვნილებაა. როგორც ჩანს, ერთი და იგივე ხალხი ყიდულობს ამ კორპუსებში ბინას, კეტავს მას და ჰგონია, ფულს აბანდებს; ცდებიან - ის უბნები ამ მშენებლობებით იმდენადაა შეცვლილი, რომ იქ დასახლება ის თანხა აღარ ღირს, რასაც იხდიან. იქ გაჩნდა ისეთი განაშენიანება, რომელიც მალე იმ უბნების პრესტიჟულობას საეჭვოს გახდის.

- შეიძლება იმის გამოსწორება, რაც უკვე გააფუჭეს თბილისში?

ზაზა თარგამაძე: მცხეთის ქუჩა, მაგალითად, უბრალოდ, მოკლეს, ასევე - ზემო ვერა, ბევრი სხვა უბანიც. ამის გამოსწორება უკვე ნაკლებად შეიძლება, მაგრამ შესაძლებელია, შევაჩეროთ პროცესი, მსგავსი რამ რომ აღარ განმეორდეს. თბილისის გადარჩენა ჯერ ისევ შეიძლება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს დღეიდანვე, სწრაფად და ეფექტურად. ყოველი უქმად გასული დღე უკვე დაკარგულია. ზონირების რუკებს დავუბრუნდები - მათი გაკეთება ძალიან სწრაფად შეიძლება.

- ბუნებრივია, ამას გარკვეული თანხებიც დასჭირდება.

ზაზა თარგამაძე: რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არ არის ასტრონომიული თანხა, რომელსაც ქალაქი ვერ შესწვდება. ბოლოს და ბოლოს, უცხოური გრანტი შეიძლება მოვიზიდოთ. იქამდე კი, ვიდრე ეს საკითხი მოგვარდება, უნდა შევთანხმდეთ, რომ არ დაირღვევა ის წესები, რომელიც დღეს უნდა მოქმედებდეს. ვადა, რომელიც უკვე იყო დასახელებული - ექვსი თვე, სავსებით საკმარისი იქნება საამისოდ, რომ მომზადდეს ყველაფერი პირველი ნაბიჯების გადასადგმელად.

დიმიტრი მოსიაშვილი: რაც ამ ხუთ-ექვს წელიწადში მოხდა, ქალაქმშენებლობის დისციპლინის მოშლას უკავშირდება. საოცარი ამბების მომსწრენი გავხდით - ინვესტორი აშენებდა შენობას, რომელზეც არქიტექტურის სამსახურს ნებართვა არ ჰქონდა გაცემული. მერია ამაზე სრულიად შეგნებულად ხუჭავდა თვალს. შედეგად, მივიღეთ სახლი №28 - ჯანაშიას ქუჩაზე, მშენებლობები ზემო ვერაზე, სახლები ბარნოვზე... პარიზს ჰყავდა მერი, გვარად ოსმანი, რომელიც ამბობდა, - არქიტექტურა, პირველ ყოვლისა, არის სწორი ადმინისტრირება, მხატვრულ სახეზე მერე ვილაპარაკოთო. ქალაქის ტერიტორიებისა და სივრცის სწორი მართვა სწორი ადმინისტრირების შედეგია. სამი ძირითადი ელემენტი აქვს თბილისს: ძველი უბნები, ლანდშაფტი, მტკვრის სანაპირო; სამივე დარღვეულია.

თემურ ჯაფარიძე: ცნობილი თეზისია - ქალაქი არის საზოგადოების სახე. ეგვიპტის ქალაქი იყო სასახლეებისა და ბარაკების მონაცვლეობა, ბერძნული ქალაქი - თანაბრად განვითარებული. ჩვენი ქალაქიც ცხოვრების იმ წესის ამსახველია, რითაც აქამდე ვიცხოვრეთ. თუ გვინდა, სხვა მიმართულებით ვიაროთ, კაპიტალიც, უძრავი ქონებაც და ფინანსური რესურსებიც თანაბრად უნდა განაწილდეს და ქალაქსაც თანაბარი სახე ექნება. ეს ის მიზანია, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივუახლოვდეთ.

- მაგალითად, როგორი ნაბიჯებით?

დიმიტრი მოსიაშვილი: არსებობს ასეთი ცნება - სოციალური საცხოვრისი, ანუ - მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს ბაზა, კომპლექსი, უნდა აშენოს და აქირაოს სახლები მათთვის, ვისაც დიდი თანხების გაღება არ შეუძლია. ამ გზით, შეიძლება იგივე მიწისძვრით დაზარალებულები, სხვებიც დაკმაყოფილდნენ. გაქირავების ამ სახით მერიის ბიუჯეტშიც შევა თანხები და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩება. ქალაქს შეუძლია, აიღოს სესხი, ააშენოს ასეთი სახლები და ამოგებული თანხა ნელ-ნელა დააბრუნოს.

თემურ ჯაფარიძე: ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს შემუშავებული პროგრამა, რომელიც პარიზის დაგეგმარების ინსტიტუტში მოინონეს. იგი ეყრდნობა ქალაქში ჯერ კიდევ არსებულ რესურსებს. უცხოელი სპეციალისტების აზრით, ამ მიმართულებით სიარულით ქალაქმა, შეიძლება, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. პროგრამა გულისხმობს, რომ იმ ტერიტორიული რესურსებით, რომელიც ქალაქს აუთვისებელი აქვს და ჯერ გაყიდულიც არ არის, შევიდეს წილით იმ კომპანიებთან, რომელიც თბილისში მშენებლობებს აწარმოებენ. ამის შედეგად, მას დარჩეს ბინები, რითაც მოკლე ხანში სერიოზულ საბინაო ფონდს შექმნის. ქალაქს ჰქონდა ასეთი შემთხვევები და ისინი ხელიდან არის გაშვებული. თბილისის მერიას ახლა, წესით, კარგი საბინაო ფონდი უნდა ჰქონდეს. ასე იქცევიან მუნიციპალური სამსახურები საზღვარგარეთ - მოგებას ისევ ამ საქმეში აბანდებენ. GTZ-ის წარმომადგენლები რომ ჩამოვლენ, ჩვენ გვექნება საუბარი ამგვარი სამსახურის ჩამოყალიბების თაობაზეც. როცა ამგვარ წამოწყებაში მერიაც მონაწილეობს, დაინტერესებას უცხოელი ინვესტორებიც გამოთქვამენ - ქალაქის ხელისუფლება მათთვის დიდი გარანტია.

- ეს არის ის, რაც უნდა გაკეთდეს. სხვა საკითხია, ვინ უნდა გააკეთოს ეს. რა უნდა შეიცვალოს, ამ კუთხით, ქალაქის შესაბამის სამსახურში და როგორი უნდა იყოს ხელფასი, რომ ჩინოვნიკს აღარ ჰქონდეს კანონის დარღვევის სურვილი?

გიორგი სულაბერიძე: უკანასკნელით დავიწყებ. ბევრი ფორმა არსებობს ფინანსური პრობლემის მოსახსნელად. წინასაპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული უამრავი სახის მომსახურება შეიძლება გახდეს ფასიანი. მათ მისაღებად ხალხი დღესაც იხდის ფულს, მაგრამ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაოფიციალური გადასახადია და ბიუჯეტში არ შედის. მთელი მსოფლიო ასე იქცევა და ჩვენ რატომ უნდა დავიწყოთ ველოსიპედის გამოგონება? ეს შესაძლებლობას შექმნის, ადეკვატური ხელფასები მიიღონ ადამიანებმა. შეიძლება, პირველ ხანებში იგი არ იყოს ისეთი მაღალი, როგორიც დასავლეთის ქვეყნებშია, მაგრამ თანდათან მოიმატებს.

თემურ ჯაფარიძე: ფასიანი შეიძლება იყოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით გასცემს. დღეს ქალაქი ამ თანხებს კარგავს და დოტაციაზე ჰყავს სამსახურები, რომელთაც თავად შეუძლიათ შემოსავლის მოტანა. ამასთან, უნდა დამტკიცდეს ნებართვების გაცემის ვადები. როცა ადამიანს უკვე ეცოდინება, როგორი ნაგებობის აგება შეიძლება კონკრეტულ ტერიტორიაზე და რა ვადებში უნდა მიიღოს ამაზე ნებართვა, როცა ოფიციალურ გადასახადს გადაიხდის, ნებისმიერი ჩამოთვლილი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, შეეძლება სასამართლოს მიმართოს. ამ შემთხვევაში კორუფცია, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ეს იდეალური ვარიანტია და აქამდე ჩვენ აუცილებლად უნდა მივიდეთ.

- რა უნდა შეიცვალოს თავად არქიტექტურის სამსახურში?

გიორგი სულაბერიძე: სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მიუღებელია თავად მთავარი არქიტექტორის სტატუსი. ეს საბჭოური გადმონაშთია. შეიძლება, პარიზს, ან მილანს ჰყავდეს მთავარი არქიტექტორი? ასეთი თანამდებობა მოსკოვშიც კი აღარ არის. საკმარისია, ერქვას სამსახურის ხელმძღვანელი. ამასთან, უპრიანი იქნებოდა, ამ სამსახურს ერქვას ქალაქსივრცითი განვითარების და არა არქიტექტურის სამსახური. მისი ძირითადი მოვალეობა ხომ ქალაქის მენეჯმენტი, ადმინისტრირება და არა კონკრეტული ობიექტების მშენებლობაზე ნებართვის გაცემაა..

ზაზა თარგამაძე: კონკრეტულ ობიექტებს რაც შეეხება, ჩემი აზრით, მათზე ნებართვის გაცემაში არანაირი საბჭო არ უნდა ერეოდეს. ეს უნდა იყოს მხოლოდ არქიტექტორის საქმე, მისი გადასაწყვეტი. ეს გემოვნების საკითხია და მასზე მოთხოვნებს ბაზარი თავად დაარეგულირებს. მით უმეტეს, რომ არანაირი ლეგიტიმური ძალა დღემდე მოქმედ საბჭოს არ გააჩნდა. მისი შექმნის მიზანი იყო, საჭიროების შემთხვევაში, მთავარი არქიტექტორის პასუხისმგებლობა უფრო ფართო სპექტრზე გადანაწილებულიყო, ისიც - სიტყვით. რაღაც საბჭო, ალბათ, უნდა არსებობდეს, მაგრამ იმ შემთხვევებისთვის, როცა საქმე რაიმე განსაკუთრებულ მოვლენას ეხება, დანარჩენს არსებული რეგლამენტი უნდა არეგულირებდეს.

- რაც შეეხება კადრებს?

გიორგი სულაბერიძე: საკმარისია, სისტემა გამჭვირვალე გახდეს, ის ხალხი, რომელიც ამ სამსახურში მხოლოდ ფულის საშოვნელადაა მისული, თავისით წავა.

ზაზა თარგამაძე: გამჭვირვალე სისტემის პირობებში, ეს სამსახური გახდება ნამდვილი ჩინოვნიკური სამსახური და არანაირი დაინტერესება მასში არ იქნება. შესაბამისად, აუცილებლად გახდება ისეთი, როგორიც უნდა იყოს - მცირერიცხოვანი და მოქნილი.

გიორგი სულაბერიძე: ყველაფერი ეს - სისტემის სტრუქტურული, საკანონმდებლო თუ სხვა სახის ცვლილებები ახალი პოლიტიკური რეალობის ჭრილში უნდა იქნას განხილული. არქიტექტურა, არქიტექტურული საქმიანობა და, განსაკუთრებით, არქიტექტურის მოხელეები საზოგადოებას, მის ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ, და არა - პირიქით. კატეგორიულად მიუღებელია ის ჩახლართული კორუფციული სისტემა, რომელიც სპეციალურად იყო შექმნილი. ამისთვის საჭიროა, უმოკლეს ვადაში შეიქმნას მარტივი და გასაგები საკანონმდებლო ბაზა - ინვესტორების, მოსახლეობის, არქიტექტორებისათვის - პროცესის ყველა მონაწილისათვის ერთიანი, კონკურენტუნარიანი, გახსნილი საინვესტიციო სივრცის ჩამოყალიბებისათვის. საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, სასწრაფოდ უნდა გადაიდგას ნაბიჯები სრულყოფილი, თანამედროვე ტიპის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შექმნისათვის, რომელთა შორის, უმთავრესია ქალაქის გენერალური გეგმა.

გენგეგმა შემდეგ პრინციპებზე უნდა იყოს ორიენტირებული: საქართველოს კონსტიტუციის, მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების მოთხოვნათა დაკმაყოფილება; მუდმივმოქმედი, დროში უწყვეტი სამუშაო პროცესი; მონიტორინგი; დაგეგმვისა და მოქმედების გაერთიანება; თანამედროვე მიდგომები ქალაქთმშენებლობაში; ადგილობრივი ბუნებრივ-ეკოლოგიური და კულტურულ-მემკვიდრეობითი გარემოს შენარჩუნების გათვალისწინება; სივრცითი განვითარების ინტერეს-სუბიექტების - მოქალაქეების, ადგილობრივი თვითმმართველობის, იურიდიული პირების, სახელმწიფოს თანაბარსუბიექტურობა, გამჭვირვალეობა, მოსახლეობის მონაწილეობა; თანამედროვე ინფორმაციული სისტემის დანერგვა. ამისთვის აუცილებელია: მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი, საქმეში ჩაერთოს ყველა პატიოსანი, პროფესიონალი კადრი; შესწავლილი და დანერგილი იქნას წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილება, მათი კანონმდებლობა ქალაქებისა და განსახლებული ტერიტორიების განვითარების დარგში. საქალაქო მეურნეობის მოწყობისა და ეფექტური მართვის, მენეჯმენტის კუთხით. სასურველია უცხოელი კონსულტანტ-მენეჯერების, კოორდინატორების მოწვევა და მათი უშუალო ჩართვა მუშაობაში.

ამასთან, სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებისა და საინვესტიციო პროგრამების დახმარებით, უნდა მოხდეს შესაბამისი მატერიალური რესურსების მოზიდვა; საპროექტო და სამეცნიერო კვლევითი ჯგუფებისა და ფორმების შერჩევა უნდა ხდებოდეს ობიექტური კონკურსებისა და ტენდერების საფუძველზე; ყველა სახის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ქალაქგანვითარებაში უნდა იყოს გახსნილი, საჯარო, შეთანხმებული და კოორდინირებული ქალაქის მთავრობასთან, საკრებულოსთან, შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან და ფართო საზოგადოებასთან. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს საეჭვო გარიგებებისა და კორუფციული ურთიერთობების პროცესი.

იმედი მაქვს, პატიოსნება, პროფესიონალიზმი, ურთიერთპატივისცემა, საქმისადმი და ქვეყნისადმი სიყვარული გაიმარჯვებს, რომ, კეთილი პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, მონდომებითა და შრომით ნელ-ნელა ყველაფერი გამოვა.

კონცერტები

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი
კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი
ვოლფგანგ ბორხერი
"რექვიემი კარს მიღმა"
რეჟისორი: ალეკო ესვანჯია
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე
"სამი ნოველა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19.00 საათზე

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

ძველი სახლი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
"ბეღურები"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

ამირანი
“მონსტრი”
დას: 13:30; 20:00; 22:30 სთ.

“ელფი”
დას: 16:00; 18:00 სთ.

გამოფენა

"კოპალა"
ნეონის ნამუშევრების გამოფენის გახსნა
დას: 19 საათზე

ძველი გალერეა
დათო ხიდაშელისა და ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრების გამოფენა

სალონი "ხელოვნება"
ხელოვნების ნიმუშებისა და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

"ქარვასლა"
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ევოლუცია"

"ჰობი"
ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა
ბავშვთა ნამუშევრების საალდგომო გამოფენა

ლექციები და ვორქშოპები
თბილისის გოეთეს ინსტიტუტი
გერმანელი ფოტოხელოვანი ახიმ რიხერსის ლექცია
და ვორქშოპი თემაზე: “ცხოვრების აღქმა - ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნების მედიუმი”
დას: 11:00 სთ.

ლიტერატურული საღამოები
ლიტერატურის მუზეუმი
ჯემალ აჯიაშვილის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი
ლიტერატურული საღამო
დას: 16 საათზე

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

შანსი ახალგაზრდა ფოტოგრაფებს

ვერა ნეფარიძე

მემკვიდრეობის საერთაშორისო ფოტოგამოცდილების კონკურსს საქართველო წელს მესამედ შეუერთდება. ახალგაზრდა ფოტოგრაფებს საქართველოდან კიდევ ერთხელ მიეცემათ შანსი, საკუთარი შესაძლებლობები საერთაშორისო მასშტაბით წარმოაჩინონ. კონკურსში მონაწილეობისა და გამარჯვების გამოცდილება საქართველოდან შარშან ექვსმა ახალგაზრდა ფოტომოყვარულმა მიიღო. თბილისში გამართულ კონკურსზე ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო ფოტონამუშევრები კი, ესპანეთში დაბეჭდილ კატალოგში მოხვდა.

ბოლო დროს თბილისში აშკარად შეიმჩნევა სხვადასხვა სახის ფოტოკონკურსების სიმრავლე. მათგან ზოგიერთი ფოტომოყვარულებზეა გათვლილი, ნაწილი კი, ახალგაზრდა ფოტოგრაფებზე. ეს კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენში ფოტოგრაფიის პოპულარობას. ვინც ამ კონკურსებსა და გამოფენებს ადევნებდა თვალს, იცის, რომ არაპროფესიონალი ფოტოგრაფების საკმაოდ საინტერესო ნამუშევრები გამოჩნდა ასეთ ღონისძიებებზე. კონკურსი, რომლის შესახებაც დღეს ვისაუბრებთ განსხვავებულია იმდენად, რამდენადაც ის კონკრეტულად - 23 წლამდე ახალგაზრდა ფოტოგრაფებისთვისაა განკუთვნილი; ასევე, განსაზღვრულია თემატიკა - კულტურული მემკვიდრეობა, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი ლანდშაფტები და ხედები. როგორც ადგილობრივი კონკურსის ორგანიზატორები ამბობენ, კონკურსის მთავარი თემატიკა უკავშირდება ფოტოგრაფის მიერ კულტურული მემკვიდრეობის აღქმას და ამიტომაც ჯდება "ევროპის მემკვიდრეობის დღეების" ჩარჩოში.

კონკურსს თბილისში მემკვიდრეობის საერთაშორისო ფოტოგამოცდილების საქართველოს ოფისი ორგანიზატორობს. მის გარდა, ღონისძიებაში ჩართულია: საქართველოს კულტურის სამინისტრო - ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, კომპანია "ფოტოსამყარო" და საერთო კოორდინატორის კატალონიის (ესპანეთი) კულტურული მემკვიდრეობის გენერალური დირექტორატი. კონკურსს ეხმარება საქართველოს ისტორიის მუზეუმი "ქარვასლაც".

წინა კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული ნამუშევარი

მემკვიდრეობის საერთაშორისო ფოტოგამოცდილების (IHPE) რიგით მე-9 კონკურსი 1994 წლიდან ყოველწლიურად იმართება. ღონისძიება შედის ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივის - ევროპის მემკვიდრეობის დღეები" - ფარგლებში. მისი საერთაშორისო ორგანიზატორია კატალონიის (ესპანეთი) კულტურული მემკვიდრეობის გენერალური დირექტორატი. კონკურსში ევროპის 40-მდე ქვეყანასთან ერთად კანადა და მაროკოც მონაწილეობს. თითოეულ ამ ქვეყანაში მუშაობს კონკურსის საორგანიზაციო ოფისები, რომლებიც ადგილობრივ კონკურსებს აწყობენ. ამ კონკურსებში გამარჯვებული ფოტოსურათები იგზავნება კატალონიაში, სადაც მათ საბოლოოდ არჩევენ, გამარჯვებულებს კი, კატალოგში ბეჭდავენ (კატალოგები მზადდება ესპანეთში, კომპანია AGFA-ს პატრონაჟით და კონკურსის შემდგომ იგზავნება ყველა მონაწილე ქვეყანასა და სპეციალიზირებულ ბიბლიოთეკებში).

სექტემბრის ბოლოს თითოეულ მონაწილე ქვეყანაში იმართება გამოფენა, სადაც წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა ქვეყნებში გამარჯვებული კონკურსანტების ნამუშევრები. კონკურსის დასკვნით ნაწილს მასპინძლობს ბარსელონა, სადაც საერთაშორისო დონეზე გამარჯვებული ნამუშევრების გამოფენის ოფიციალური გახსნისას, გამარჯვებულ კონკურსანტებს გადაეცემა საერთაშორისო დიპლომები და კატალოგები. მაგრამ, მანამდე არის გარკვეული ეტაპი, რაც კონკურსში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა გაიაროს. მსურველებმა ადგილობრივ კონკურსში გასავლელად მემკვიდრეობის საერთაშორისო ფოტოგამოცდილების საქართველოს ოფისში უნდა შეიტანოს არაუმეტეს 10 ნამუშევრისა (ფოტოსურათის ზომა ესპანური მხარის მოთხოვნის თანახმად, უნდა იყოს 18X24 სმ.); ნამუშევრებს უნდა ჰქონდეს დართული გარკვეული ინფორმაცია (კონკურსანტის ვინაობა; ასაკი; გადაღებული ძეგლის ან ხედის დასახელება და მდებარეობა). ფოტონამუშევრებს შეარჩევს ჟიური (რომლის შემადგენლობა უახლოეს დღეებში დაზუსტდება). გამარჯვებული შვიდი ავტორის ნამუშევრები კი, საბოლოოდ შესარჩევად კატალონიაში გაიგზავნება. გამარჯვებული ნამუშევრები იმის გარდა, რომ შევა კატალოგში, ისინი გამოიფინება კონკურსში მონაწილე ყველა ქვეყანასა და კატალონიის გამოფენებზე. კატალონიის მიერ წარმოდგენილი წესების თანახმად, კონკურსში მონაწილე ფოტოსურათებზე საავტორო უფლებები გადაეცემა ორგანიზატორებსა და კოორდინატორებს, რომელთაც შეუძლიათ მათი არაკომერციული მიზნებით გამოყენება და დაბეჭდვა. მსურველებმა საკონკურსო განაცხადები 20 მაისამდე უნდა წარადგინონ მემკვიდრეობის საერთაშორისო ფოტოგამოცდილების საქართველოს ოფისში. იმედია, ეს კონკურსიც გარკვეულ წვლილს შეიტანს ჩვენთან პროფესიული ფოტოგრაფიის განვითარებაში.

გაზაფხულ-ზაფხულის კოლექცია "გაბრწყინებულ საქართველოში"

თეონა ჯაფარიძე

მე მინდა, ჩემი საქართველო ისეთივე გაბრწყინებული იყოს, როგორიც ეს გოგას ფოტოებზეა გამოსახული - ქართულმა ელიტამ მყისვე აიტაცა ახალი ჰიმნის ფრაზეოლოგია და რესტორან ემიგრანტში, დიზაინერ თათა ვარდანაშვილის ახალი კოლექციის სანახავად მისულები სწორედ ასე ალაპარაკდნენ. თემატურად ჩემი ახალი კოლექცია და ფოტოხელოვან გოგა ჩანადირის ფოტოები გავაერთიანეთ და დღევანდელ ჩვენებას ჩემი საქართველო ვუწოდეთ - უფრო დეტალურად ამიხსნა საქმის ვითარება ფეხსაცმლის დიზაინერმა. ექსპოზიციურად კი ჩემი საქართველო ასე გამოიყურებოდა: ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის მისაღებ დარბაზში, (მოგეხსენებათ რესტორანი სწორედ აქ მდებარეობს) ბუხრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს განლაგებული იყო თათა ვარდანაშვილის ახალი კოლექცია. ფეხსაცმელებს შორის კი მიმობნეული იყო გოგა ჩანადირის ფოტოები დავით გარეჯის ხედებით. შთამბეჭდავი და პატრიოტულია, არა?

თათა ვარდანაშვილი

- ვისთვის, როგორი ტიპაჟებისთვის აკეთებ კოლექციას? - ვეკითხები დიზაინერს. ნებისმიერი კატეგორიის მომხმარებლისთვის - მპასუხობს ის. იქვე კი მისი ერთ-ერთი მომხმარებელი, ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია იპყრობს ჟურნალისტთა არმიის ყურადღებას.

თავად კოლექცია საკმაოდ საინტერესოა და ნამდვილად არ შეესაბამება ნებისმიერი კატეგორიის მომხმარებელს. დიზაინერმა საგაზაფხულოდ მსუბუქი ტონები, კომბინირებული მასალა (ფერადი ტყავი, გობელენი) და დახვეწილი ქალური ფორმები შემოგვთავაზა. კოლექცია სრულიად მოკლებულია სპორტულ სტილს ან კიდევ მკაცრ ელეგანტურობას და ის მკვეთრად და ხაზგასმით ინფანტილურია. მაგრამ, გარემო, სადაც კოლექციაა წარმოდგენილი, კონცეფცია (ჩემი საქართველო დავით გარეჯის ხედებით) სრულიად ამოვარდნილია ამ სტილის კონტექსტიდან. თათა ვარდანაშვილის ამ ახალი კოლექციის მაგალითზე ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია: ქართველმა ხელოვანებმა იციან, როგორ უნდა გააკეთონ ნამუშევარი, მაგრამ არ იციან როგორ უნდა შეფუთონ ის. საგამოფენო სივრცე და საგამოფენო კულტურა კვლავ აუთვისებელი რჩება. ჯერჯერობით ხელოვნებაც და პატრიოტიზმიც ჩვენთან ისეთივე სალონურია, როგორც გაბრწყინებული საქართველო.

ჯადოსნური საყელო პიანისტისათვის

ანა გოგავა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა

მადი სერებრიაკოვა

11 წლის პიანისტ ანა გოგავას სცენაზე გასვლის არ ეშინია. ასაკისთვის შეუფერებლად საპასუხისმგებლო გამოსვლებზე მას თილისმა იცავს: ჯადოსნური საყელო, რომელიც მას საკუთარი მასწავლებლისგან ერგო მემკვიდრეობით და რომელმაც პიანისტთა რამოდენიმე თაობის ხელში გამოიარა. ცოტა ხნის წინათ ანა გოგავა ხარკოვში, ცნობილი პიანისტისა და მუსიკალური მოღვაწის ვლადიმირ კრაინევის პიანისტთა მე-7 საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი გახდა და კონცერტებით კიევი და მოსკოვი მოიარა. ხარკოვში ანა გოგავას "კონკურსის პრინცესაც" უწოდეს.

ანა გოგავას შემოქმედებითი ბიოგრაფია ძალზედ ხანმოკლეა, თუმცა - საკმაოდ წარმატებული. 2002 წელს იგი ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი გახდა. 2003 წელს მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე რესპუბლიკური კონკურსის კონკურსგარეშე მონაწილე იყო (პატარა პიანისტს ჯერ ასაკი არ უწყობდა ხელს), თუმცა 10 საუკეთესო მუსიკოსს შორის აღმოჩნდა და ჯილდოდ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართა კონცერტი. ამავე წელს კამერული ანსამბლების კონკურსზე მიაღწია წარმატებას და ძალზედ მახვილგონივრული და ასაკისთვის შესაფერისი ჯილდოც მიიღო: მოსკოვის მერმა ლუჟკოვმა პატარა პიანისტი მოსკოვში საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე დასასწრებად მიიწვია. ამჟამად ანა გოგავა ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლეა და ცნობილი პედაგოგის დოდო ცინცაძის კლასში ეუფლება საფორტეპიანო ხელოვნებას. თავის დროზე სწორედ მის კლასში აღიზარდნენ დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი პიანისტები თამარ კორძაძე, ვალერიან შიუკაშვილი, დები ბერაიები. დოდო ცინცაძე ანას სტილისტი და მრჩეველიც გახლავთ - ანა მას "სულიერ დედასაც" უწოდებს.

ანა გოგავა და ამერიკელი დირიჟორი გაბრიელ ჰაინესი

რამდენიმე ეროვნული კონსურსის ლაურეატი პიანისტისთვის ხარკოვში გამართული კრაინევის კონკურსი პირველი და ძალზედ საპასუხისმგებლო საერთაშორისო გამოცდილება იყო. ხარკოვში პატარა პიანისტი "თბილავიამშენისა" და მისი ხელმძღვანელის ზურაბ ლომიძის დახმარებით გაემგზავრა. წელს ცნობილ პიანისტსა და სახელმწიფო მოღვაწეს ვლადიმირ კრაინევს სამაგი იუბილე ჰქონდა: მას 60 წელი შეუსრულდა; ასევე, მისი შემოქმედებითი კარიერის 40 წელი და მისი სახელობის ძალზედ გავლენიანი საერთაშორისო ფონდის დაარსებიდან 10 წელი შესრულდა. წელს მას კიევში სპეციალური პრემია და "ადამიანი-ლეგენდას" წოდებაც მიანიჭეს. ჰანოვერის უმაღლესი მუსიკალური სკოლის პროფესორმა კრაინევმა ხარკოვის საერთაშორისო კონკურსი 14 წლის წინათ დააარსა. დღეს იგი საკმაოდ პრესტიჟულ კონკურსად ითვლება. ჟიური უკრაინის, საფრანგეთის, ა.შ.შ-ს, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ცნობილი მუსიკოსი-პედაგოგებით იყო დაკომპლექტებული. ჟიურის უცვლელი თავმჯდომარე კი თავად ვლადიმირ კრაინევი იყო.

კონკურსში 30 ახალგაზრდა პიანისტი მონაწილეობდა. მეორე ტურში მათი შემადგენლობა განახევრდა. საბოლოოდ კი პირველი პრემია და სპეციალური პრიზი არტისტიზმისათვის ანა გოგავამ მოიპოვა. მან კონკურსზე შეასრულა ბახის, ბეთჰოვენის, შოპენის, მაშკოვსკის, გაბუნიას და თანამედროვე არგენტინელი კომპოზიტორის ჰინასტერას ნაწარმოებებით შემდგარი პროგრამა. განსაკუთრებული აღფრთოვანება ამ უკანასკნელმა გამოიწვია. როგორც კრაინევი აღნიშნავდა, მას საქართველო მხოლოდ დაძაბული პოლიტიკური დაპირისპირებების არენად წარმოედგინა, სადაც საზოგადოება მხოლოდ პრეზიდენტების ცვლითაა დაკავებული. მას, თურმე, ვერ წარმოედგინა, რომ საქართველოში ჰინასტერას შესახებ ეცოდინებოდათ. კრაინევი თავად ატარებდა ჰინასტერას შესახებ მასტერ-კლასებს და არგენტინელი კომპოზიტორის პოპულარიზაციას ეწეოდა ევროპაში.

კონკურსის ფარგლებში ანამ დასკვნითი ტური და კონცერტი ხარკოვის სიმფონიურ ორკესტრთან და ამერიკელ დირიჟორ გაბრიელ ჰაინესთან ერთად 29 მარტს გამართა. დაჯილდოების ცერემონიალზე მან ხარკოვის საოპერო თეატრში დაუკრა. თუმცა, ამით პატარა პიანისტის მუსიკალური თავგადასავალი არ დამთავრებულა. კონკურსის შემდეგ იგი კიევში მიიწვიეს, რათა კიევის ფილარმონიაში კრაინევის პატივსაცემად გამართულ კონცერტში მიეღო მონაწილეობა. შემდეგ კი კრაინევმა იგი მოსკოვში მიიპატიჟა. აქ 3 აპრილს ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორიის დარბაზში კრაინევი და მისი კონკურსის ლაურეატები კონცერტს მართავდნენ. პირველ განყოფილებაში უკანასკნელი გამარჯვებულები წარდგენენ, მათ შორის - ანა გოგავაც; მეორე ნაწილში - თავად კრაინევი. საკუთარი სიმპათია კრაინევმა იმითაც დაადასტურა, რომ მეორე განყოფილებაში ანა გვერდით მოისვა და ნოტების გადაშლაში დახმარება სთხოვა. პატარა პიანისტი სამშობლოში დაბრუნდა და უკვე ახალ პროგრამაზე აგრძელებს მუშაობას.

მწერალთა კავშირში გაიხსენეს...

გუშინ მწერალთა კავშირში მორიგი შეკრება გაიმართა. კავშირის წევრებმა ამჯერად 1970 წელს გარდაცვლილი მწერალი მამია ასათიანი გაიხსენეს. მამია ასათიანს წელს დაბადებიდან 95 წელიწადი შეუსრულდებოდა.

ეს საღამო მწერლის დაბადების დღეს, 10 მარტს უნდა გამართულიყო, მაგრამ “ზამთარში აქ ისეთი საყინულეა, ვინ მოვიდოდა”, - გვითხრა მწერლის შვილმა. გუშინ მწერალთა კავშირში, მამია ასათიანის მოსაგონრად შეკრებილ კოლეგებთან ერთად, მწერლის ოჯახის წევრებიც იყვნენ. შეკრებას კავშირის ახალი თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი უძღვებოდა.

“მწერალთა კავშირი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო უნდა იყოს. გვინდა ჩავიდეთ შორეულ კუთხეებში”, - ახალმა თავმჯდომარემ კავშირის ლიტერატურული შეხვედრების “მოძრავი” ტრადიციების დამკვიდრება უკვე დაიწყო. პირველი გასვლა მწერალთა კავშირის წევრებს პანკისში ჰქონდათ. პანკისში პოეტებმა პირველი ქართულ ენაზე მწერალი ქისტი პოეტი სულეიმან გომაშვილი მოინახულეს. ამას გარდა, მაყვალა გონაშვილის აზრით, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე ხნის წინათ მწერალთა კავშირში ოტია იოსელიანის შემოქმედებითი საღამო. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ოტია იოსელიანი კავშირის შენობაში პირველად მაყვალა გონაშვილის მიწვევით მივიდა.

გუშინ კი, მწერალთა კავშირში უფრო მეტად კავშირის ხშირი სტუმრები შეიკრიბნენ. “არანაირი უფლება არ მქონდა დღეს არ მოვსულიყავი აქ. არ განიკითხო, - ხშირად ამბობდა მამია ასათიანი. ბრწყინვალე ადამიანი იყო, მე ამას ხაზს ვუსვამ. ბევრი არაფერი ემატება ქართულ მწერლობას, თუ არ აკლდება. ძალიან მიხარია, რომ მწერალთა კავშირში ასეთი ადამიანი გაიხსენეს”, - მამია ასათიანის შესახებ საუბარი გუშინ მწერალთა კავშირში ჯანსუღ ჩარკვიანმა დაიწყო. მის გარდა უფროს კოლეგას იგონებდნენ: ემზარ კვიტაიშვილი, რევაზ მიშველაძე, ჯაბა ასათიანი... ისაუბრეს მამია ასათიანის გარემოცვაზე (აკაკი გაწერელია, ირაკლი აბაშიძე, ლევან თოდუა, გრიგოლ აბაშიძე, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე). გაიხსენეს მამია ასათიანის დამსახურება, როდესაც ლიტერატურის მუზეუმიდან გოგლა ლეონიძის გაშვებას ცდილობდნენ და ა.შ. განსაკუთრებით კი, მწერლის პიროვნულ თვისებებზე საუბრობდნენ. მწერალთა კავშირში მსგავსი საღამოების გამართვას მეტი სიხშირით აპირებენ.

24 საათი

ბონდის ქალების კლასიკა და პოპიზმის საფრთხე



მარიამ დ'აბო ბონდის ქალებს იკვლევს

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ ბრიტნი სპირსი პუსი გელორი ვერასდროს გახდება; დახვეწილი და სუპერმომხიბვლელი აგენტი 007 პოპ-ვარსკვლავ მეგობარ ქალს ვერასდროს შეეგუება. თუმცა, მოდით, წუთით დავუშვათ, რომ ბრიტნის სურს, ურსულა ანდრესი გახდეს. მით უფრო, რომ მსგავსი გეგმების შესახებ ხმები ერთ-ერთი ამერიკული ტელეგადაცემის შემდეგ რეალურადაც დაირხა. აცხადებენ, რომ სპირსმა ბონდის ფილმების პროდიუსერს ბარბარა ბროკოლის მიმართა და სთხოვა, მისთვის ბონდის გოგონას როლი მიეცა (საგულისხმოა, რომ ბროკოლი უკვე მუშაობს ბონდიანას 21-ე ფილმზე, რომლის პრემიერაც 2005 წლის ნოემბერში იგეგმება).

ერთი სიტყვით, რაღაც "საფრთხე" იმისა, რომ სპირსი ჯეიმს ბონდის ახალ ფილმში პირს ბროსნანის გვერდით მოგვევლინება, მართლაც, არსებობს. ამ ფონზე, კი, ალბათ, უფრო მეტ ინტერესს იძენს ერთი "მარადიული" საკითხის გახსენება – სინამდვილეში როგორები არიან ჯეიმს ბონდის ქალები.

ვისაც ხელი მიუწვდება, შეუძლია თემის არსში უკეთ გასარკვევად უხვად ილუსტრირებულ და "ყავაზე მისაყოლებელ", 40-დოლარიან წიგნს, "ბონდის გოგონები – სამუდამოდ: ჯეიმს ბონდის ქალები" მიმართოს. ამ 192-გვერდიანი კვლევის ავტორი ბონდიანას ცნობილი ექსპერტი ჯონ კორკი და ბონდის ყოფილი გოგონა, ქართული წარმოშობის მარიამ დ`აბო არიან. ისინი ერთად ამოგზაურებენ მკითხველს აგენტი 007-ის 50-წლიან ისტორიაში და იკვლევენ, თუ როგორ ყალიბდებოდა ბონდის თანმხლები ქალი სოციალურ კერპად. კორკი ერთგან წერს კიდეც: "ამ ტიპის ქალებს მანამდე გამოსულ ფილმებში ვერსად შეხვდებით".

მარიამ დ`აბო და ჯონ კორკი ბონდიანას თითოეულ ფილმს ცალ-ცალკე მიმოიხილავენ, თითოეულ მათგანში ქალის როლს გამოჰყოფენ, გვთავაზობენ უნიკალურ ფოტომასალას, ბონდის ცნობილი ქალების (ურსულა ანდრესი, ჯეინ სეიმური, ჰონორ ბლექმენი, ჰალი ბერი...) მოგონებებსა და თემის ძირფესვიან ანალიზს. ერთი სიტყვით, მოგვითხრობენ, თუ როგორ შეიცვალა მსოფლიო მას შემდეგ, რაც წელზე დანა შემორტყმული, საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ურსულა ანდერსი პირველად ამოვიდა ზღვიდან...

სანამ ბრიტნი სპირსის ამბავი გაირკვეოდეს, ბონდიანას ექსპერტები აგენტი 007-ის ქალების "ამოხსნას" გაზეთის ფურცლებიდან ცდილობენ. მათი აზრით, ამ მანდილოსნების მარტივ სექსუალურ სათამაშოებად განხილვა დიდი დანაშაულია. ამით კომპლექსური პერსონაჟების მრავალ საინტერესო ასპექტს ვაყენებთ ჩრდილს. ბონდის ქალები ნამდვილი ალფა-ქალები არიან – მამაკაცური თვითრწმენითა და ქალური მომხიბვლელობით სავსე.

ერთ-ერთი ექსპერტი და ბრიტანული ჟურნალის "007"-ის გამომცემელი გრემ რაი აცხადებს: "ბონდის გოგონა რთული, კოპლექსური პერსონაჟია. ის დამოუკიდებელია, ინტელექტუალური, ძლიერი და ამავე დროს გამოირჩევა ისეთი სხეულითა და გარეგნობით, რომ ქუჩაში მოძრაობას აჩერებს".

სწორედ ასეთი ქალის განსახიერება სურს ბრიტნი სპირსს, რასაც იგივე რაი სასონარკვეთილი ხმით აპროტესტებს: "ბრიტნი შეიძლება ძალიანაც მოუხდეს "ქოუდი ბენქსის" ფილმს, შეუძლია დიდ-დიდი ყლუპებით გემრიელად სვას "პეპსი" პირდაპირ ქილიდან, მაგრამ ბრიტნი "ჯეიმს ბონდში?" – არასოდეს! თუ, რა თქმა უნდა, აგენტი 007 ერთ-ერთი ოპერაციის დროს ჰომოსექსუალის იმიჯს არ შეეფარება". მისივე აზრით, ბრიტნი ბონდიანაში წამგებიანი არჩევანი იქნება, რადგან საზოგადოებაში უკვე არსებობს მკაცრად ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, თუ როგორია ბრიტნი სპირსი და როგორია ჯეიმს ბონდის რჩეული ქალი.

და მართლაც, რა შინაგან და გარეგნულ ხიბლს ფლობს ბონდის საყვარელი ქალი ასეთს, რომ ბრიტნი სპირსი მას ვერასდროს მოერგება. ამაში გასარკვევად, "ლოს ანჯელეს ტაიმსის" მიმომხილველის, სამანტა ბონარის მიერ შედგენილი ეს "შედარებითი დახასიათება" გამოგვადგება:

ბონდის გოგონა სექსუალური ხიბლით გამოირჩევა. მისი ქარიზმა სილამაზის კლასიკური სტერეოტიპიდან მომდინარეობს – ის მაღალია, თხელი, მოქნილი და ელეგანტური. როდესაც ურსულა ანდერსი ჯეიმს ბონდის პირველ ფილმში "დოქტორ ნოუში" წყლიდან ამოდის, ის აფროდიტეს ჰგავს. მეორე გოგონა, სილვია თრენჩი (მის როლს იუნის გეისონი ასრულებს) კი სცენარში ასეა აღწერილი: "ელასტიური, დიდებული და შეუვალი გარეგნობის, მუდამ დახვეწილ კაბებში გამოწყობილი, ცივი, კლასიკური სილამაზის ქალი". ახლა გაიხსენეთ, როგორია ბრიტნი. როგორც ბონარი აცხადებს, ის გაცილებით კომფორტულად თავს იმ ამერიკელის როლში იგრძნობდა, ხუთი შვილი რომ ჰყავს და ტრეილერში ცხოვრობს.

ბონდის გოგონა ეგზოტიკურია. მას ხშირ შემთხვევაში აქვს აქცენტი და სამ ენაზე მაინც საუბრობს – მშობლიურ, ინგლისურ და სიყვარულის ენებზე. ის ხან შანხაიდან არის, ხან სტამბულიდან და ხან ბრიუსელიდან. ამასობაში, გავიხსენოთ, სად დაიბადა ბრიტნი. ის ლუიზიანას შტატის პროვინციულ ქალაქ კენტვუდში გაიზარდა.

ბონდის გოგონა ჭკვიანია. მოლი პიტერსი (Thunderball, 1965 წ.) ოსტეოპათია, ლუის ჩაილსი – ასტრონავტი და "ცეერუს" საიდუმლო აგენტი (Moonraker 1979 წ.). ბრიტნი სპირსს კი, უნდა ვაღიაროთ, რომ დოსტოევსკი კოლეჯის დამთავრების შემდეგ აღარ გადაუშლია.

ბონდის გოგონა ძლიერია. თავის რომანში Live and Let Die იან ფლემინგი სოლიტერს (მის როლს 1973 წლის ფილმში ჯეინ სეიმური ასრულებს) ასე აღწერს: "ბევრს ამ ქალში მისი შეუვალი გამომეტყველება ხიბლავდა. ეს მშვენიერი სახე იმიტომ იყო გაჩენილი, რომ მბრძანებელი ყოფილიყო". ბრიტნი კი, მართალია, "პეპსის" რეკლამაში თამაშობს და კომპანიას გამდიდრებაში ეხმარება, მაგრამ ეს მას ძლიერ და გავლენიან ქალად მაინც არ აქცევს.

ბონდის გოგონა მახვილგონიერებით გამოირჩევა. სარკაზმი მისი ერთ-ერთი იარაღია. Thunderball-ის მკვლელი ქალი ფიონა ვოლპი აგენტ 007-ს ეუბნება: "ჯეიმს ბონდ, არსებობს კიდევ ისეთი კაცი, რომელთან სექსის დროსაც ქალებს ზეციდან ანგელოზთა გუნდის გალობა ესმის?" ბრიტნი სპირსი და მომაკვდინებელი სარკაზმი კი ძალზე შორს დგანან ერთმანეთისგან.

ბონდის გოგონა ფლობს შინაგან ეტიკეტს. მან იცის, რა უნდა ჩაიცვას, რათა მოხიბლოს კაცი; და რა უნდა ჩაიცვას, როცა უნდა მოკლას ის. მან იცის სუფრაზე განლაგებული რამდენიმე ჩანგლიდან რომელი როდის გამოიყენოს; ის არასდროს მიირთმევს კერძს მოღებული პირით. ბონდის გოგონა ხან დიპლომატის ქალიშვილია, ხან მეცნიერის, ხანაც სამეფო ოჯახიდან მოდის. ბრიტნი კი... ბრიტნი ფიქრობს რომ პითონის ტყავის კაბა და კორსეტი შესანიშნავი აქსესუარებია, ხოლო ელიტარულ წვეულებაზე არ არის გამორიცხული, ბარდის მარცვლებს დანის წვერით მიირთმევდეს.

ბონდის გოგონა ნიჭიერია. მას შეუძლია ცალი ხელით ბოროტმოქმედი განგმიროს, ცალით შოკოლადის სუფლე ათქვიფოს და ყველა თავის კულინარიულ ნიჭზე აალაპარაკოს. თუნდაც, მარიამ დ`აბოს გმირი კარა მილოვი გავიხსენოთ – ეს ქალბატონი მსოფლიოში აღიარებული ჩელისტია. ამ დროს, რაში ვლინდება ბრიტნის ნიჭიერება? ამ საკითხზე ან დიდ ხანს უნდა იჭყლიტოთ ტვინი, ანდა მაშინვე დანებდეთ და აღიაროთ, რომ, ალბათ, ყველაზე უკეთ მას მუცლის ცეკვა გამოსდის.

დაბოლოს, მწერალი და ბონდიანას გამოცდილი ექსპერტი ანდრეა ლი აგენტ 007-ის ქალს ასე ახასიათებს: "ის არ არის უბრალო სექს-ბომბა. მეტიც, ეს მომხიბვლელი ქალბატონი მმართველი კლასის ქალღმერთი გახლავთ".

ყოველივე ამის ფონზე კი, "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ფურცლებიდან ბრიტნი სპირსს ურჩევენ: ბრიტნი, იცხოვრე და ბონდიანაზე ოცნება დაივიწყე. მანამდე კი დახვეწილი და სუპერმომხიბვლელი აგენტის თაყვანისმცემლები 2005 წლის ნოემბერს და 21-ე ფილმის პრემიერას გულდამშვიდებით დაელოდებიან.

ქართული მშვიდობა და არაძალადობა ბასკეთში

გერნიკას სიმბოლო

გერნიკას კულტურისა და მშვიდობის საერთაშორისო კონვენციას, რომელიც 2004 წლის 25-დან 28 აპრილამდე ჩატარდება ბასკეთში, საქართველოდან ოფიციალურად ესტუმრება ირაკლი კაკაბაძე.

Gernika Gogoratuz-ის კვლევითი ცენტრი არის დინამიკური და დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის მიზანია სოციალური ცვლილებების განხორციელება. მშვიდობის კულტურის გავრცელებისთვის ცენტრი აბსოლუტურად ახალ მექანიზმებს იყენებს. მისი ისტორიაც, ახლანდელი საქმიანობაც და სამომავლო გეგმებიც ცხადყოფს, რომ ცენტრი მშვიდობის შენარჩუნებასა და გავრცელებაზე მუშაობს.

"ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული ისიც, რომ მშვიდობის კულტურის ჩარჩოების შექმნა დიდი პასუხისმგებლობაა და ეს პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, საზოგადოების წინაშე გვაკისრია. ამიტომაც, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ გულისყურით მოვისმენთ თქვენს იდეებს, წინადადებებს და საჭიროების შემთხვევაში დახმარების ხელსაც გამოგიწვდით".

Gernika Gogoratuz-ი მშვიდობის კვლევითი ცენტრია. ის ბასკეთის პარლამენტმა ანონიმური კენჭისყრის საფუძველზე 1987 წელს დააფუძნა. პარლამენტარებმა იმთავითვე განსაზღვრეს, რომ ცენტრის გახსნა გერნიკას დაბომბვის 50 წლისთავს ეძღვნებოდა.

დღეს ცენტრს ფინანსურად უზრუნველყოფს Gernika Gogoratuz-ის ფონდი. მისი საბჭოს წევრები კი გერნიკა-ლუმოს მერიის და კულტურისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები არიან. საბჭოში, ასევე, შედიან ბასკეთის მთავრობის უნივერსიტეტის და კვლევითი განყოფილების წევრები, ბასკეთის უნივერსიტეტების რექტორები, დეუსტოს უნივერსიტეტი, მონდრაგონის უნივერსიტეტი და Gernika Gogoratuz-ის ასოციაცია.

Gernika Gogoratuz-ის მისია ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: გერნიკას ისტორიის ხსოვნის პატივისცემა, მისი, როგორც უდიდესი სიმბოლოს შესახებ საზოგადოებრივი აზრის გავრცელება, და სამეცნიერო მოსაზრებების გათვალისწინებით, მშვიდობის დამკვიდრება, როგორც ბასკეთში, ისე მთელ მსოფლიოში.

ფილოსოფია და კონცეფცია:

გერნიკა – მშვიდობის, შერიგების და ინდივიდუალურობის სიმბოლო.

კონფლიქტის გარდაქმნა, შეთანხმების, შერიგების ჰორიზონტი.

პოზიტიური მშვიდობა – ლოკალური და გლობალური. ხსოვნა. მედიატორის უნარჩვევების გავრცელება, მშვიდობის კულტურა, მშვიდობის სწავლება, დიალოგები ქალაქებსა და ქვეყნებს შორის.

საქართველოდან მიწვეული სტუმრის ირაკლი კაკაბაძის მოხსენება, როგორც თავად აღნიშნა ჩვენთან საუბარში, იქნება მშვიდობიანი ურთიერთობების შემოქმედებით როლზე და ზოგადად მშვიდობის მოპოვების შესახებ: - "მშვიდობის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნორვეგიელი მეცნიერის იოჰან გალტუნგის ფორმულა არის, რომ მშვიდობას ქმნის სამი ელემენტი: შემოქმედებითობა - შემოქმედებითი მიდგომა ანუ ახლის შექმნის უნარი, თანაგრძნობა და არაძალადობა. ამ სამი ელემენტის გარეშე შეუძლებელია, ჩიხური სიტუაციიდან მშვიდობიანად გამოსვლა, მე თამამად შემიძლია მოვიყვანო ვარდების რევოლუციიდან ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც მოიფიქრეს რკალის შემორტყმა და შემდეგ დაშლა იმისათვის, რომ პირველი შეტაკება თავიდან აეცილებინათ. ასევე, ყველა სხვა დაპირისპირებას სჭირდება შემოქმედებითი აზროვნება, იმისათვის, რომ გამოუვალი ანუ ჩიხური სიტუაცია არ გადაიზარდოს სისხლისღვრაში. ამგვარი შემოქმედებითი მიდგომის შედეგად შეიძლება გამოჩნდეს ახალი გამოსავალი, რომელიც იქნება არა აუცილებლად კომპრომისი, სადაც ერთი მხარე თმობს და მეორე იგებს, არამედ მოგება-მოგების ვარიანტი, სადაც ორივე მხარე იკმაყოფილებს თავის ძირითად ადამიანურ მოთხოვნილებებს გარკვეული დოზით.

ასეთი შემოქმედებითი აზროვნებისათვის აუცილებელია, რომ მეორე მხარესაც ადამიანები დავინახოთ და თანაგრძნობის უნარი გვქონდეს, ანუ ამ შემთხვევაში ვგულისხმობ, საკუთარი თავის მათ მდგომარეობაში ჩაყენების უნარს. ამის გარეშე შეუძლებელია შემოქმედებითი მიდგომა.

აგრეთვე აუცილებელია არაძალადობა – განდის ტერმინით რომ ვთქვათ – Ahimsa – ანუ უარის თქმა მკვლელობაზე და ძალადობაზე, რომელშიც აგრეთვე შედის მეორე ადამიანის ჩაგვრა – სტრუქტურული თუ პირდაპირი.

ხელოვნების როლი ძალიან დიდი იყო ვიეტნამის ომის გაჩერებაში და აგრეთვე ანტი-იმპერიალისტურ მშვიდობიან მოძრაობაში 1960-იან წლებში ევროპაში. ასევე, ინგლისის იმპერიის დეკოლონიზაციის პროცესში განდისთან ერთად ჩაბმულნი იყვნენ ჩარლი ჩაპლინი, რომენ როლანი, რაბინდრანატ თაგორი და სხვა გამოჩენილი ხელოვანები. საერთოდ პაციფიზმის, ისევე როგორც ანარქიზმის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი როლი მიუძღვის ლევ ტოლსტოის და მის ლიტერატურულ ნაწარმოებებს. თანამედროვე ავტორებისგან შეგვიძლია დავასახელოთ პოეტი და მომღერალი ბობ დილანი, ალენ გინზბერგი, ჯეკ კერუაკი, გრებენშიკოვი და ა.შ."

ამგვარი იქნება მოკლედ იმ მოხსენების შინაარსი, რომელსაც ირაკლი კაკაბაძე გერნიკას საერთაშორისო კონვენციაზე წარმოთქვამს. კიდევ რა შეიძლება ითქვას წინასწარ? მკითხველისათვის, შესაძლოა, საინტერესო იყოს იმ ლექსების ტექსტი, რომელსაც ირაკლი კაკაბაძე გერნიკაზე წარმოადგენს. გთავაზობთ ერთ-ერთი ლექსის ტექსტს ინგლისურად სახელწოდებით "Rose Revolution N?" ("ვარდების რევოლუცია N ?")

When there is a silly war (როდესაც უაზრო ომია)

There is never either or (არასდროს ვკითხულობთ ღირს თუ არა)

And whole world opposes (და მთელი მსოფლიო წინააღმდეგია)

Opposes with red roses (წინააღმდეგია წითელი ვარდებით ხელში)

სვეტი

მალხაზ ხარბედია

პირადი ბიბლიოთეკა

პასკალ კინიარი, "ყოველი დილა ქვეყანაზე" (1991)

პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია ამ შესანიშნავი წიგნის კითხვისას, არა იმდენად მოთხრობილ ამბავთან იყო კავშირში, რამდენადაც სხვა, უცხო ფენომენთან. საქმე იმაში გახლავთ, რომ წიგნში გადმოცემული სევდიანი ისტორიის ფონზე განუწყვეტლივ რაღაც ხმიანობს, ავტორს არც ერთი ხმოვანი დეტალი არ ეპარება და ეს ე.წ. აუდიო-ეფექტები გარკვეულ საზრისადაც კი ყალიბდება. მთავარ გმირს, სენტ-კოლომბს, მეუღლის გარდაცვალებიდან ხუთი წლის მერეც, მუდამ ყურში ჩაესმის ქალის **ჩურჩული**, დაკვრისას კი ცდილობს ზუსტად გაიმეოროს ადამიანური ხმის ყველა "მიმოხრა": "ყმაწვილი ქალის **ოხვრიდან** ბერიკაცის **ქვითინამდე**, მეფე ანრი ნავარელის **საბრძოლო დაძახილიდან** ბავშვის უნაზეს **ფშვინვამდე**, ოდნავ რომ მოთრთის და მოისახება, ნეტარების სუნთქვაარეული **ხრიალიდან ხმაგარინდებამდე**, სულ ორიოდე აკორდით, ორიოდე მიმოსმით, ლამის **მუნჯ გარინდებამდე** ლოცვაში წასული კაცისა." აქვე გაიგონებთ ხოჭოებისა და ღრაჭების **სკდომის ხმას**, სენ-ჟერმენ-ლ`ოქსერუას **ზარების რისხვას**, **ცხელი შარდის ხმას**, თოვლს რომ ხვრეტს და კრისტალთა **დნობის ხმაში** თანაზომიერად რომ ირევა (ამას პერსონაჟები ქრომატიულ დაღმასვლას უწოდებენ), ისმის კართა ხათქა-ხუთქიც.

რომანში რამდენიმე ამბავი გადაიკვეთება და ერწყმის ერთმანეთს. ერთი მხრივ, ესაა მეუღლის გარდაცვალებით მწარედ შეძრული სენტ-კოლომბის ისტორია, საწუხარის გამო კიდევ უფრო მელანქოლიური რომ გახადა თავისი ინსტრუმენტის ჟღერადობა. ნაწარმოებში მთელ მის ცხოვრებას ერთი თარიღი განსაზღვრავს, 1650 წლის გაზაფხული, როცა მისი მეუღლე გარდაიცვალა. ამ დროიდან მოყოლებული იგი დღეში თხუთმეტ-თხუთმეტ საათს ვარჯიშობდა ვიოლაზე და ამის გამო შეუდარებელ მევიოლედ იქცა. ამ დროიდანვე მოყოლებული შეიჯავრა მან პარიზი, "ქვაფენილებზე **საბოების პაკაპუკი, დეზების ჟღარუნი, ეტლების ღერძთა ჭრიალი, ფურგონების რკინათა რახრახი**" და ფიცრულში განმარტოვდა, თავის მუსიკასა და მეუღლის სახეალეწილი აჩრდილის **დაბალ ხმას** უსმენდა, გოფრეტებით უმასპინძლდებოდა აჩრდილს.... მეორე მხრივ კი, რომანში მოთხრობილია ყმაწვილი მარინ მარეს ამბავი, ვინც ექვსი წლისა **ხმის გამო** გაუწვევიათ მეფის უწყებაში, შემდეგ საეკლესიო გუნდშიც გაუმწესებიათ, მაგრამ **ხმა გაებზარა** თუ არა, გაუძევებიათ. ეს მოვლენა მის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილიყო, სენტ-კოლომბივით მასაც ჰქონდა თავისი ზღურბლი, 1672 წლის 22 სექტემბერი, როცა "თავი ისე მარტო იგრძნო, როგორც **აყმუვლებულმა ნადირმა**, როგორც გასიებულმა და დაფანჩულმა ასომ, ლაჯებშუა დაკიდებულმა" და გადაწყვიტა **შური ეძია საკუთარ ხმაზე** და ვიოლაზე დაკვრის ხელოვნების დასაუფლებლად სენტ-კოლომბთან მივიდა: "როგორღაც ასე ხდება ხოლმე, **ყმაწვილი, რომელიც პირის გაღებასაც ვერ ბედავს, მაინცადამაინც სულ უენო კაცს უნდა გადააწყდეს**".

ანუ რომანში მოწაფე-მასწავლებლის კლასიკური წყვილი ჩნდება, მოდელი, რომელიც პლატონის "გამოქვაბულის ანალოგიიდან" მოყოლებული მართავს კულტურას და რომელიც კინიართანაც რისხვითა და ეროტიზმით ივსება. თუკი თანატოსს სენტ-კოლომბი განასახიერებს (მისი ყველა ნაწარმოები სიკვდილის თემაზეა შექმნილი: "მოთქმანი", "ჯოჯოხეთნი", "ენეასის აჩრდილი", "ქარონის ნავი"), ეროსი მის ქალიშვილებს, მადლენსა და ტუანეტს უკავშირდებათ. თავდაპირველად მადლენი, უფროსი და შეუყვარდება მარეს, მოწაფეს (მადლენი მალე "გაილევა", თავს ჩამოიხრჩობს), და როცა მის ხელს თხოვს გოგონას მამას, აღმოჩნდება, რომ ისიც, სენტ-კოლომბიც შეყვარებულის ცხოვრებით ცხოვრობს და ეს ყველაფერი მისთვის ხელოვნებას აღემატება, "მეტია, ვიდრე თითები, მეტია, ვიდრე ყურები, მეტია, ვიდრე წარმოსახვა". სწორედ ამ დროს წამოსცდება სენტ-კოლომბს რომანის, ალბათ, ცენტრალური ფრაზა: "ბატონო ჩემო, თქვენ ხილული მეფის სმენას ეალერსებით. მე არ შემიძლია სმენას ვეალერსო. ჩემი ხელი უხილავის გამოხმობას ცდილობს" და აქედან მოყოლებული მოწაფე და მასწავლებელი იმ დასკვნითი დიალოგისკენ მიისწრაფიან, სადაც მუსიკა უკვე კატაფატიკურად ხასიათდება.

სიტყვა "ხასიათდება" ძალზე პირობითად აღნიშნავს ვითარებას, რომლითაც ნაწარმოები სრულდება. ეს დიალოგი ერთგვარი სქოლასტიკური თამაშით იწყება (ალკუინისა და პიპინუსის ყაიდაზე), პოეზიით მთავრდება და სწორედ ამ ბოლო ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ ვაცნობიერებთ ამ რომანის თარგმნასთან დაკავშირებულ სირთულესა და მთარგნელის, დავით წერედიანის დამსახურებასა თუ გამბედაობას, რომელმაც ჩვენი ენისთვის აბსოლუტურად უცხო სიტყვიერი რეალობა გადმოაქართულა (ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას ვიიონის წერედიანისეულ თარგმანზეც):

"ძნელია ეს ხელობა, ჩემო ბატონო. მუსიკა მხოლოდ იმის გამოსათქმელად არსებობს, რაც ენით უთქმელია. ამ მხრივ მთლად ადამიანურსაც ვერ უწოდებ. მიხვდით ბოლოსა და ბოლოს, რომ იგი მეფისთვის არ ყოფილა?

- მივხვდი, ღმერთისთვის ყოფილა.
- ცუდად მიმხვდარხართ, ჩემო ბატონო, რადგან ღმერთი მეტყველებს.
- მაშ რისთვის არის, ყურისთვის?
- ის, რაც ვერ გამოგითქვამს, შეუძლებელია ყურისთვის იყოს.
- ოქრო?
- არა, ოქრო ყურამდეც ვერ აღწევს.
- სახელი?
- არა. სახელი, ეგ მხოლოდ ხშირ-ხშირი ხსენებაა კაცისა.
- დუმილი?
- არა. დუმილი გაწყვეტილი ლაპარაკია.
- მეტოქე მუსიკოსები?
- არა.
- სიყვარული?
- არა.
- სიყვარულის გამო სინანული?
- არა.
- განშორება?
- არადა არა.
- გამოდის გოფრეტებისთვის ყოფილა, რომელსაც უხილავს ვაწვდით.
- არც ეგ. რა არის გოფრეტი? ხედავ, გემოს უსინჯავ, ჭამ. იგი არაფრისაგან არაფერია.
- მეტი აღარ ვიცი, ჩემო ბატონო. მე ისა მწამს, რომ მიცვალებულებს ჭიქა უნდა დაუდგა...
- თქვენც ცეცხლი გდებიათ.
- მცირე რამ სასმელი მიაწოდო იმათ, ვინც უენოდ დარჩა. ბავშვების აჩრდილებს, სახარაზო ჩაქუჩების დაგადუგს, იმას, რაც ბავშვობას წინ უსწრებდა, როცა სუნთქვა გიჭირდა, როცა სინათლეს ვერ ხედავდი."

P.S ეს წიგნი ორიოდე წლის წინ წავიკითხე პირველად, მანამდე ალენ კორნოს ფილმი მქონდა ნანახი, ამ ფილმის მიხედვით შექმნილი - ჟერარ დეპარდიეთი და ჟან-პიერ მარიელით მთავარ როლებში. პირველი, რამაც მომნუსხა, მუსიკა იყო, ჩემთვის აქამდე უცნობი სენტ-კოლომბისა და მარინ მარეს ვიოლასთვის დაწერილი მუსიკა. მეორე დღესვე შევუდექი ჩანაწერების ძიებას, მაშინ Audiogalaxy-ს სახელი ჯერ კიდევ ჰქუხდა ინტერნეტში. ჰოდა, მეც ადვილად, სულ რაღაც საათნახევარში გადმოვწერე ამ ორი მუსიკოსის ყველა ნაწარმოები, რომელიც კი მოიძებნებოდა მსოფლიო აბლაბუდაში. იმავე დღეს დავაზუსტე, რომ სენტ-კოლომბის ხელნაწერი (ფრანგულად ასე ჰქვია თურმე: 67 pieces a deux violes esgales) 1966 წელს აღმოუჩენია ალფრედ კორტოს და იგი 1973 წელს გამოუციათ გერმანელებს.

პასკალ კინიარმა სენტ-კოლომბის მუსიკა პირველად 1976 წელს აღმოაჩინა, როცა ხორდი სავალის მიერ შესრულებული ჩანაწერები მოისმინა, 1991 წელს უკვე რომანი გამოვიდა და იმავე წელსვე გადაიღეს ფილმი, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ხორდი სავალისვე დაკრული მუსიკა აჟღერდა.

ფეხბურთი

რა დროს სანახაობაა

პორტუ - დეპორტივო 0:0

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი ნახევარფინალი ყველაზე უფერული გამოდგა წლევანდელ გათამაშებაში. ასეთი მობილიზებული დაცვა არც პორტუსა და არც დეპორტივოს მიმდინარე ტურნირში არ ჰყოლიათ. არადა, პორტუგალიელთა მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო მატჩის წინ აცხადებდა, რომ დეპორტივოს ყველაზე სუსტი წერტილი სწორედ დაცვაა და ჩვენ ამ სისუსტის გამოყენებას შევეცდებითო. თუმცა, საბოლოოდ ისე მოხდა, რომ პორტუგალიელებმა კარის მიმართულებით მხოლოდ სამჯერ დაარტყეს, ხოლო დეპორტივოს საერთოდ არ შეუწუხებია ვიტორ ბაია.

ასეა თუ ისე, ესპანელებმა შეძლეს პროგრამა მინიმუმის შესრულება. მათ პორტუგალიაში, სტუმრად არ წააგეს. დეპორტივომ მოახერხა პორტუს ქაოსური შეტევების ნეიტრალიზება.

შემტევი ნახევარმცველის პედრო მუნიტისის არყოფნაში, სტუმართა შეტევის ხაზი ვალტერ პანდიანიმ, ვიქტორ სანჩესმა და ალბერტო ლუკემ შეადგინეს - მილანის განადგურების მთავარმა შემოქმედებმა. მცველი ჟორჟე ანდრადე, რომელიც მატჩის ბოლოს არბიტრმა, მარკუს მერკმა, უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევა, თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გამოვიდა მოედანზე. კიდევ ერთი მცველი ლიონელ სკალონი კი ტრავმის გამო თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამის საპასუხოდ, ჟოზე მოურინიომ სათამაშოდ ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანა. რიკარდუ კარვალიუს ჩათვლით, რომელმაც ხელის ტრავმა მოიშუშა. ამას გარდა, გუნდის თითქმის ყველა ლიდერმა დაისვენა პორტუგალიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში ბეირა მარის წინააღმდეგ.

თამაშის დასაწყისი უაღრესად ნერვიულ და ქაოტურ ატმოსფეროში წარიმართა. ორივე გუნდი ცდილობდა მაქსიმალურად ხისტად ეთამაშა, რაც ხშირად უხეშობაში გადაიზრდებოდა. ეფექტური კომბინაციები გუნდებს მეტისმეტად იშვიათად გამოსდიოდათ. ამასთან პორტუმ ვერაფრით მოახერხა სარგებელი მოეძებნა ტერიტორიული უპირატესობიდან, რომელიც გუნდს პირველ ტაიმში ჰქონდა.

პორტუს შემოქმედებითი ფანტაზია აშკარად ღალატობდა. მასპინძლებს აკლდა სისწრაფე და მინდვრის ცენტრში გააზრებული კომბინაციები. გუნდის დირიჟორი დეკუ ბევრს სცოდავდა და ვერ შეძლო მოედნის ცენტრალურ ზონაში შემოქმედებითი თამაში ეწარმოებინა. მეტოქისგან არც დეპორტივო განსხვავდებოდა. მარტო ის ეპიზოდი რად ღირს, როცა ვიქტორმა თავისი დაუდევრობით ჩაშალა კომბინაცია სამი-ორზე. სამი ესპანელი ფეხბურთელი ორი მცველის წინაშე იმყოფებოდა, მაგრამ ვიქტორმა თანაგუნდელთა მოძრაობა ვერ შეამჩნია და საჯარიმო მოედანზე ინერციით ჩაჰკიდა ბურთი, რომელსაც მასპინძელთა მეკარე ვიტორ ბაია იოლად დაეუფლა. შედეგად პირველ ტაიმში არც ერთ გუნდს კარში არ დაურტყამს. საბოლოო ჯამში კი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სამი დარტყმა წავიდა კარის მიმართულებით და ისიც პორტუს ფეხბურთელებმა შეასრულეს.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელმა დაძაბულობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველაფერი განმეორებით შეხვედრაში, რიაზორის სტადიონზე გადაწყდება.

იანკაუსკასი და ფერეირა იმედგაცრუებულნი დარჩნენ

მარადონას უჭირს

მარადონას საავადმყოფოში ყურყუტი მოუწევს

ნიკა ამირეჯიბი

კვირას დიეგო მარადონა მაღალმა წნევამ და გულის შეტევამ შეაწუხა. იგი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ლეგენდარული ფეხბურთელი იმავე დღეს გამოკეთდა და ორშაბათს თავი უკეთ იგრძნო, თუმცა, ექიმები ფიქრობენ, რომ კიდევ კარგა ხანს მოუწევს საავადმყოფოში წოლა.

მარადონას პერსონალურმა ექიმმა ალფრედო კაჰემ განაცხადა: რაც შეეხება ნარკოტიკის მოხმარებას, ეს ბინძური ჭორია. ამან ჟურნალისტები და პოლიცია დააწყნარა, რადგან კვირას გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მარადონას ჯანმრთელობის ასე რადიკალური გაუარესება გამოიწვია მარიხუანამ, რამაც პოლიციამდეც კი მიაღწია.

ექიმებმა მალე დაადგინეს შეტევის მიზეზი და რადგან ისინი სრულიად დარწმუნებული იყვნენ თავიანთი დიაგნოზის სისწორეში, მარადონას ექსპერტიზაც კი არ ჩაუტარეს - მიზეზი მხოლოდ გადაღლილობა და ზედმეტი ნერვიულობა იყო. თავად მარადონა აცხადებს, რომ ამ ჭორის ავტორის ვინაობას გაიგებს და სასამართლოში უჩივლებს.

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 22 აპრილი

НТВ+ ФУТБОЛ
07:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1987. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "BOSTON CELTICS" - "MILWAUKEE BUCKS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პორტუ - დეპორტივო. პირველი მატჩი
15:10 ლიბერტადორესის თასი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) - ბოლივარი (ბოლივია)
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:10 დარტყმა გოლისთვის
18:25 რუსეთის თასი. ფინალი. ტორპედო-მეტალურგი - როსტოვი. საპასუხო მატჩი
20:10 FUTBOL MUNDIAL
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:10 ფეხბურთი ანიდან ჰაემდე
21:40 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო - რომა
23:25 ლიბერტადორესის თასი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) - ბოლივარი (ბოლივია)
01:10 თავისუფალი დარტყმა
01:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:15 03:15-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1989. პირველი წრე. "CLEVELAND CAVALLERS" - "CHICAGO BULLS ". მე-5 თამაში
06:30 NBA TV. პლეიოფი. პირველი წრე. "MEMPHIS GRIZZLIES" - "SAN ANTONIO SPURS". მე-3 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ-ПЛЮС СПОРТ
11:00, 14:00 პრესცენტრი
11:15, 21:50 ოლიმპის შვილები
11:20, 14:15 ფორმულის ჰარმონია
11:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი
14:35 ათენის გზაზე
15:35 Power week - NHL-ის კვირა
16:05 ჰოკეი. ევროტური. ფინალი. ფინეთი - შვედეთი. საპასუხო მატჩი. შესვენებისას (17:00) - პრესცენტრი
18:00 ჩქაროსნული სამყარო
18:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
19:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
19:30 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. შესვენებისას (20:10) - პრესცენტრი
22:00 მოტოვებული კვირა
22:45 სპორტის აკვატორია
23:15 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში. ქალები. 69კგ, 75კგ. ვაჟები. 69კგ. შესვენებისას (01:00) - ახალი ამბები
02:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში
03:30 ჩქაროსნული სამყარო
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
14:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
15:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
18:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
18:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
20:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
23:00 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში
00:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
01:45 ახალი ამბები
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი
03:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩი

ჟირესი მომავალი მატჩის მოლოდინშია

და საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეებს აკვირდება

აკა ტონია

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ალან ჟირესი თბილისში დაბრუნდა და ნაკრების მორიგი ამხანაგური მატჩისთვის დაიწყო მზადება. ფეხბურთის ფედერაციისადმი ფრანგი მწვრთნელის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა, რაც შეიძლება, მეტი ამხანაგური მატჩის ორგანიზებაა. მას შემდეგ, რაც ჩვენი ნაკრები გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებს სტუმრობდა (2:2), ჟირესმა აპრილშიც მოისურვა თამაში. თავდაპირველად იგეგმებოდა რომელიმე უცხოურ კლუბთან შეხვედრა. თითქოს დონეცკის "მეტალურგთან" უნდა გვეთამაშა, მაგრამ მოლაპარაკება არ შედგა და 27 აპრილისთვის ეროვნული ნაკრების სპარინგ-პარტნიორად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გამოცხადდა.

აპრილში დაგეგმილი მატჩისთვის ჟირესმა თავდაპირველად ფეხბურთელთა 30-კაციანი სია ჩამოწერა, რომელიც პრესაშიც გამოქვეყნდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სპარინგ-პარტნიორის ვინაობა გაირკვა, ჟირესმა შემადგენლობა შეცვალა და ნაკრებში უმეტესად საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს უხმო.

შემადგენლობის ასეთი ცვლილება ჟირესმა იმით ახსნა, რომ 27 აპრილი ფიფა-ს კალენდარში ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი დღე არ არის და ჩვენს ლეგიონერებს მათი კლუბები ძნელად თუ გამოუშვებდნენ ნაკრებში სათამაშოდ.

ასეა თუ ისე, 27 აპრილს დანიშნულ მატჩთან დაკავშირებით, ალან ჟირესმა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ პრესკონფერენცია გამართეს.

ჟირესმა თავისი განაცხადი წარმოგვიდგინა და გვითხრა, რომ ამჯერად შემადგენლობა უკვე თვითონ დაასახელა. როგორც უკვე ვთქვით, განაცხადში, ძირითადად, ქართული კლუბების ფეხბურთელთა გვარებია, თუმცა, არის გამონაკლისებიც. თურქული "ქოჯაელიდან" გივი დიდავაა გამოძახებული, ხოლო რიგის "სკონტოდან" - მენთეშაშვილი და კორღალიძე. ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ მატჩში ეროვნულ გუნდში თავის დაბრუნებას იზეიმებს მეკარე აკაკი დევაძე, ხოლო დებიუტი ექნება ვიტჯორჯიელ დავით დიღმელაშვილს. ის ჯერ კიდევ იოჰან ბოსკამპმა მიიწვია ეროვნულ ნაკრებში და სამი საერთაშორისო მატჩის განაცხადში ირიცხებოდა. მაშინ დიღმელაშვილმა ვერ ითამაშა, შემდეგ კი ბოსკამპის მემკვიდრეების ყურადღების მიღმა დარჩა. ჟირესის მოსვლასთან ერთად დიღმელაშვილიც ბრუნდება ნაკრებში და 27 აპრილს, ალბათ, დებიუტი ექნება.

ჟირესი ამხანაგურისთვის ემზადება

შემადგენლობაზე საუბრის შემდეგ ჟირესმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებზე ისაუბრა და თავისი ევროპული ვოიაჟების შესახებ მოგვითხრო. როგორც იცით, ფრანგი მწვრთნელი ხორვატიისა და თურქეთის ამხანაგურ მატჩს დაესწრო, იყო ავსტრიაშიც, სადაც დავით მუჯირის თამაშს ადევნა თვალი.

"ხორვატიისა და თურქეთის მატჩის ხილვა სასარგებლო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგურ შეხვედრებში გუნდების რეალური პოტენციალის ამოცნობა ძნელია. წარმოიდგინეთ, იმ მატჩში თურქეთმა ცხრა ფეხბურთელი შეცვალა! მიუხედავად ამისა, მე გავეცანი თურქ ფეხბურთელებს და მათ შესახებ საჭირო ინფორმაცია დავაგროვე", - გვითხრა ჟირესმა. მისი განცხადებით, თურქეთის გარდა, მას ჩვენი ნაკრების სხვა მეტოქეთა მატჩების ვიდეოჩანაწერებიც აქვს და მათ დეტალურ განხილვას აპირებს.

ჟირესმა მუჯირზეც გვიამბო. გვითხრა, რომ მასთან შეხვედრით ძალიან კმაყოფილია. "მატჩი, რომელსაც მე დავესწარი, მეტად რთული იყო "შტურმისთვის". ვერ ვიტყვი, რომ ამ შეხვედრაში მუჯირმა უმაღლეს დონეზე ითამაშა, თუმცა, მე კმაყოფილი ვარ. პირისპირ შევხვდით. მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ასევე ვესაუბრე მისი კლუბის წარმომადგენლებს და თანაგუნდელებს, რომელთაც ძალიან კარგად დაახასიათეს დათო", - განაცხადა ჟირესმა.

პრესკონფერენციაზე მომავალი ამხანაგური მატჩებითაც დავინტერესდით. ფრანგი მწვრთნელის განცხადებით, ეროვნული ნაკრები აუცილებლად ჩაატარებს მატჩს მაისშიც. შესაძლო სპარინგ-პარტნიორებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ვითამაშებთ თუ არა მაისის შემდეგ, ჯერ უცნობია. ჟირესის თქმით, მიმდინარე საფეხბურთო სეზონში (ზაფხულის დადგომამდე), მაისის გარდა, კიდევ ერთი ამხანაგური მატჩის ჩატარებაა შესაძლებელი, მერე კი არდადეგები იწყება.

მაშ ასე, საქართველოს ეროვნული ნაკრები 27 აპრილს ახალგაზრდულ გუნდს შეხვდება, მაისის ბოლოს კიდევ ერთ მატჩს ჩაატარებს, ივნისში კი... ვნახოთ. თუმცა, სექტემბრამდე (თურქეთის წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩამდე) კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი. აგვისტოში მოლდოველებს ვეთამაშებით.

გთავაზობთ 27 აპრილის მატჩში მიწვეულ ფეხბურთელთა სიას.

ეროვნული ნაკრები

მეკარეები: მერლანი (ვიტ ჯორჯია), დევაძე (სპარტაკი).

მცველები: ქემოკლიძე (თბილსი), კვარაცხელია (თბილისი), შაშიაშვილი (დინამო), კვირკველია (დინამო), ჭიჭვეიშვილი (სიონი), დიდავა (ქოჯაელი).

ნახევარმცველები: დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბურდული (დინამო), გოგობერიშვილი (დინამო), ბაბუნაშვილი (ტორპედო), აფციაური (თბილისი), კორღალიძე (სკონტო), მენთეშაშვილი (სკონტო).

თავდამსხმელები: გონჩაროვი (სიონი), ახალაია (დინამო), გოცირიძე (ვიტ ჯორჯია).

ახალგაზრდული ნაკრები

მეკარეები: ბალაძე (ბათუმი), ბენდულაძე (მცხეთა), შეყილაძე (თბილისი).

მცველები: იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), ელიავა (თბილისი), დონდოლაძე (სპარტაკი), კალაძე, კუპრეიშვილი (ვიტ ჯორჯია).

ნახევარმცველები: ჭელიძე (თბილისი), ხოჯავა (თბილისი), კანკავა (დინამო), მარცვალაძე (ვოტ ჯორჯია), ალადაშვილი (სიონი), რაზმაძე (დილა), ჩხეტიანი (ტორპედო).

თავდამსხმელები: იაშვილი (დინამო), ფიფია (თბილისი), ებანოიძე (ვიტ ჯორჯია), მალანია (დილა).

მელაკუდებო ყველა კუთხისა!

გიგა გურასაშვილი

ფოქს კიდსის საფეხბურთო ტურნირმა საქართველოში დიდი ჟივილ-ხივილი გამოიწვია. შარშან, ამ ტურნირის პირველ წელიწადს, გათამაშებამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის გოგო-ბიჭები გააერთიანა. მართალია, ფეხბურთს აქამდეც თამაშობდნენ, მაგრამ ფოქს კიდსის ეგიდით თამაში სულ სხვა გამოდგა. უბანი უბანს ეჯიბრებოდა, კუთხე - კუთხეს, ქალაქი - ქალაქს და ბოლოს ქვეყნები - ქვეყნებს. რჩეულ ქვეყანათა შორის დასკვნით ეტაპზე, რომელსაც ჰოლანდია მასპინძლობდა, ხაშურელმა გოგონებმა და თელაველმა ბიჭებმა იასპარეზეს.

ფოქს კიდსი იწყება

ფოტო: ბაბაიანის ფოტო

პატარა მელაკუდები (სწორედ ასე ჟღერს ქართულად ფოქს კიდსი) წლეულსაც შეესევიან ბაღებსა და სკვერებში არსებულ საფეხბურთო მოედნებს და იბრძოლებენ იმ საგზურებისთვის, რომლებიც პარიზის დისნეილენდამდე მიიყვანთ. ფინალურ მატჩებს სწორედ პარიზის დისნეილენდის ველ-მინდვრები, უფრო სწორად, მანჩესტერ იუნაიტედის სკოლის ბაზა უმასპინძლებს.

წლევანდელი გათამაშება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ფინალურ სტადიაზე, შარშანდელისგან განსხვავებით, 16 ქვეყნის გოგონათა და ბიჭუნათა გუნდები შეეჯიბრებიან ერთმანეთს (შარშან 20 ქვეყნის ბავშვები მონაწილეობდნენ). შესაძლოა, ამაზე ყურადღება არც გაგვმახვილებინა, მაგრამ... სიიდან ამოღებულ იმ ოთხეულში საქართველო არ შედის.

შარშანდელი ფოქს კიდსის მასპინძლობით სათავო ოფისში (ინგლისში) ქართველი პარტნიორებით ერთობ კმაყოფილნი ყოფილან. კმაყოფილების საბაბი გათამაშებათა ორგანიზაციული მხარე, წესებისა ზედმიწევნით დაცვა და მასმედიის აქტიური მხარდაჭერა ყოფილა.

ვის აქვს ფოქს კიდსის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება? მოთამაშე დაბადებული უნდა იყოს 1992 წლის 1 იანვრის შემდეგ. ყველა გუნდი დაკომპლექტებული უნდა იყოს არაპროფესიონალი მოთამაშეებით. იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ადრეულ (ჩვენს შემთხვევაში შარშანდელ) გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა, უფლება არა აქვთ, 2004 წლის გათამაშებაშიც ჩაერთონ. თითოეული გუნდი უნდა შედგებოდეს არა უმეტეს 8 წევრისგან - ოთხი მოთამაშე, ერთი მეკარე და სამი სათადარიგო (წინა გათამაშებაში თითოეულ გუნდში 10 ბავშვი ირიცხებოდა).

შარშან ფოქს კიდსის საპატიო პრეზიდენტი საქართველოს ნაკრებისა და მილანის მცველი კახი კალაძე იყო. სავსებით შესაძლებელია, წლეულს საპატიო პრეზიდენტად საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი მოგვევლინოს. ყოველ შემთხვევაში, გათამაშების ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება მათთვის სასურველ შედეგს გამოიღებს.

ინფორმაცია

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი კლუბის მმართველ დირექტორთან, პიტერ კენიონთან ერთად ესპანეთში ჩაფრინდა. არაოფიციალური ვიზიტის მიზანი "პორტუს" მთავარ მწვრთნელთან, ჟოზე მოურინიოსთან შეხვედრაა. თავდაპირველად შეხვეედრა ვიგოში იყო დაგეგმილი, მაგრამ უშუალოდ მწვრთნელის ნაცვლად აბრამოვიჩს მოურინიოს აგენტი ესაუბრა. ცნობილია, რომ მოურინიო "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჟორჟ ჰარდვიკი 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჰარდვიკი კაპიტნის სამკლაურით 13-ჯერ გამოვიდა მინდორზე. თუმცა, მუხლთან დაკავშირებული პრობლემების გამო იძულებული გახდა, ნაკრებში თამაშზე უარი ეთქვა. ეს ამბავი 1940-იანი წლების ბოლოს მოხდა. პრემიერლიგაში ჰარდვიკი "მიდლსბროს" ღირსებას იცავდა. ამ გუნდის შემადგენლობაში მან 166 მატჩი ჩაატარა. ჰარდვიკისა და მისი თანაგუნდელი უილფ მანიონის ძეგლი "მიდლსბროს" არენის გვერდით დგას. "ასტონ ვილასთან" შაბათის მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყება. მანიონი 4 წლის წინათ გარდაიცვალა.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ თუ რომან აბრამოვიჩი მოინდომებს შეიძინოს რონალდო ან "სამეფო კლუბის" რომელიმე ფეხბურთელი, მას სერიოზული თანხის გაღება მოუწევს. მაგალითად, რონალდო 120 მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირს. პერესმა ისიც თქვა, რომ ინგლისური პრესის განცხადებების მიუხედავად, დევიდ ბექჰემი მადრიდში კიდევ ერთი სეზონით შეყოვნდება.

■ ■ ■

ფეხბურთი. შოტლანდიის ჩემპიონის "გლაზგო სელტიკის" მცველმა ჯეკი მაკნამარამ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების მიხედვით, მცველი თავისი გუნდის ღირსებას 2005 წლის ზაფხულამდე დაიცავს. ახალი კონტრაქტი კლუბის მწვრთნელის მარტინ ო`ნილის დაჟინებული მოთხოვნით გაფორმდა. ო`ნილი მაკნამარას საიმედო მცველად მიიჩნევს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბირმინგემის "ასტონ ვილას" პრეზიდენტმა დუგ ელისმა განაცხადა, რომ დევიდ ო`ლირი არ გადავა ლონდონის "ჩელსიში" და გუნდის გაწვრთნას გააგრძელებს. "დევიდ ო`ლირის შესაძლო გადასვლაზე "ჩელსის" ხელმძღვანელობას ჩვენთვის არ მოუმართავს. თუ ასეთი შემოთავაზება იქნებოდა, ჩვენ მას უარვყოფდით. დევიდს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და ის ამ შეთანხმების დაცვას აპირებს", - განაცხადა ელისმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "ფულჰემის" ჰოლანდიელი მეკარე ედვინ ვან დერ საარი "პსვ ეინდჰოვენის" შემადგენლობაში არ გადავა. ჰოლანდიის ნაკრების მეკარის აგენტმა რობ იანსენმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი აპირებს საფეხბურთო კარიერა ინგლისის ჩემპიონატში განაგრძოს.

■ ■ ■

ფეხბურთი. შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლარს ლაგერბაკმა ფორვარდ ჰენრიკ ლარსონს უკანასკნელი ვადა დაუთქვა - 6 მაისი. ლარსონს შეუძლია, გიორგობამდე იფიქროს და შემდეგ გადაწყვიტოს, ითამაშებს თუ არა პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე. "ჩვენ არ ვაპირებთ, მას კარი მივუხუროთ. მაგრამ მე ლარსონს ვუთხარი, თუ ჩემპიონატზე თამაში არ სურს, 6 მაისამდე უნდა შეგვატყობინოს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ უფრო ადრე მეცოდინება", - განაცხადა ლაგერბაკმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისის "ლივერპულის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ახალი ფეხბურთელების შესაძენად 30 მილიონ გირვანქა სტერლინგს გამოყოფს. რიკ პერის თქმით, "ლივერპულის" მიზანია, ჩაერთოს სამი გიგანტის, "მანჩესტერ იუნაიტედის", "არსენალისა" და "ჩელსის" ბრძოლაში. "ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში დავბრუნდეთ. ჩვენ ხომ მხოლოდ ჩემპიონატში გამარჯვება გვაწყობს. რა თქმა უნდა, გვიჭირს ისეთ გუნდებთან პაექრობა, როგორიც "ჩელსია". მათმა მილიონებმა ფეხბურთელებზე ფასი აწიეს. მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ მივეცემით. დარწმუნებული ვარ, ძალიან სწრაფად დავბრუნდებით ინგლისური ფეხბურთის მოწინავე პოზიციებზე", - თქვა პერრმ.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი უახლოესი სამი თვის განმავლობაში ვერ გამოჩნდება კორტზე. ამის მიზეზი მარცხენა ფეხის მოტეხილობაა. ესპანელი ორ დიდ ტურნირს - "როლან გაროსსა" და "უიმბლდონს" გამოტოვებს. ესპანეთის ნაკრების ექიმის თქმით, ჩოგბურთელს აღსადგენად 6-8 კვირა დასჭირდება. ამის შემდეგ სრული რეაბილიტაციისთვის კიდევ სამი კვირა იქნება საჭირო. ტრავმა მას არც ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალებას მისცემს. "სამწუხაროა. ოლიმპიადა ხომ ჩემთვის სეზონის მთავარი მიზანი იყო", - ჟურნალისტებს განუცხადა ესპანელმა.

■ ■ ■

ჰოკეი. "დეტროიტის" ჩეხი მეკარე დომინიკ ჰაშეკი საზარდულის ოპერაციის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ პარდუბიცეში, რომელიც პრაღიდან 30 მილის მოშორებით მდებარეობს. შესვენების შემდეგ 39 წლის ჰაშეკი ყინულს შარშან დაუბრუნდა. თუმცა, ტრავმის გამო მხოლოდ 14 მატჩში ითამაშა.

ჩოგბურთი

გულის გამხარებელი

სანდრო ნავერიანი

ქართული ჩოგბურთის გულშემატკივარი კარგა ხანს მოწყენილი იყო, სანამ ირაკლი ლაბაძემ არ აიწყვიტა და გულშემატკივარსაც პატარა, მაგრამ მაინც ჩოგბურთის ყურების მოტივაცია გაუჩინა. შეიძლება ითქვას, რომ ის ქართული ჩოგბურთის ქომაგთა გულის გამხარებელი გახდა. ის საკმაოდ მხიარულია და, როგორც მისი ტოლები ვიტყვით, საკაიფოდ ღადაობს. თუმცა, 24 საათის რედაქციაში არც ის მოსულა საღადაოდ და არც მე ვიყავი ღადაობის მოსასმენად განწყობილი. ჩვენ საკმაოდ სერიოზულად ვილაპარაკეთ მის კარიერაზე და მომავალ გეგმებზე.

ბერლა ანდრეულაძე/24 საათი

ირაკლი ლაბაძე "დიდი სლემის" ტურნირებზე ითამაშებს

- რით ახსნი შენს ბოლოდროინდელ წარმატებებს?

- არ ვიცი, ზუსტად ვერ გეტყვი. ინდიან ველსის ტურნირის წინ ჩემს თავს ვუთხარი: სირბილი შეგიძლია, ბურთის გადაგდება შეგიძლია, ჰოდა, ირბინე და გადააგდე ბურთი ბადის იქით. როგორ გამომივიდა, შენც ნახე. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თამაშის სტილში არაფერი შემიცვლია. არც ვარჯიში დამიწყია რაიმე განსაკუთრებული რეჟიმით. ალბათ, მაინც ჩემს ძალებში დავრწმუნდი. სწორედ ეს მგონია იმის მიზეზი, რომ შედეგს ვაჩვენებ.

- იტალიის ნაკრებთან სამი შეხვედრა ჩაატარე და აქედან ორი მოიგე. წყვილთა თანრიგში, რომელიც ჩიხლაძესთან ერთად ითამაშე, წააგე. რა იყო მარცხის მიზეზი?

- ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ჩიხლაძემ ვერ ითამაშა, მაგრამ ასე არ არის. ლადომ ძალიან კარგად ჩაატარა ის მატჩი, მაგრამ იტალიელები ჩვენზე ძლიერები აღმოჩნდნენ და ამიტომ წავაგეთ.

- რა შეგიძლია თქვა საქართველოს ნაკრების მეტოქეზე, ეგვიპტის ნაკრებზე? გითამაშია თუ არა ეგვიპტის ნაკრების რომელიმე წევრთან?

- ეგვიპტელი ჩოგბურთელი თვალით არ მინახავს. აწი რო ვნახავ, თითი უნდა დავადო და დავიმახსოვრო, რო ეგვიპტელია. ეს ისე, ხუმრობით. რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევი გუნდია. ისინიც ხომ ჩვენსავით დევისის თასის მეორე ჯგუფში გამოდიან! ჩვენ ყველანაირად ვეცდებით მათ დამარცხებას. რამდენად შევძლებთ, ეს უკვე სხვა საკითხია.

- რა მოხდება წაგების და მოგების შემთხვევაში?

- თუ მოვიგებთ, დავრჩებით მეორე ჯგუფში. თუ წავაგებთ, მაშინ კიდევ ერთი დაპირისპირება გველის. იმ შეხვედრების შედეგზე იქნება დამოკიდებული, მეორე ჯგუფში დავრჩებით თუ ჩამოვქვეითდებით. თუმცა, იმედი მაქვს, ეგვიპტელების ბარიერს გადავლახავთ.

- ნაკრების შემადგენლობა იგივე იქნება თუ შეიცვლება?

- საქართველოში არიან პერსპექტიული ჩოგბურთელები, მაგრამ ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის. ამიტომ არ შეგვიძლია, შემადგენლობა შევცვალოთ. რაც არ უნდა იყოს, ჩიხლაძემ და უშანგიშვილმა უკვე მიიღეს გამოცდილება. სწორედ ეს არის ის, რაც ეგვიპტელთა წინააღმდეგ გვჭირდება. იტალიელებმაც სწორედ გამოცდილების წყალობით დაგვამარცხეს. უშანგიშვილმა თუ ვერ აჩვენა თავისი საუკეთესო თამაში, ჩიხლაძე ხომ ოპტიმალურ ფორმაში იყო! მაგრამ, ასეთ შემთხვევებში გამოცდილება ძალიან დიდ როლს თამაშობს. ახალი შემადგენლობის დაყენება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ისეთი ჩოგბურთელებიც არიან, რომლებიც იმსახურებენ საქართველოს ნაკრებში თამაშს. გამოვყოფდი კვერნაძეს, მართლაც, ძალიან ნიჭიერ ჩოგბურთელს. მას გამოცდილება სჭირდება და პროფესიონალ ჩოგბურთელად ჩამოყალიბებაში ხელს არაფერი შეუშლის.

- რას იტყვი ნადალსა და საფინნზე? ერთმა შეწყვიტა შენთან თამაში და მეორესთან შენ შეწყვიტე.

- მაგ მატჩებზე ბევრი ვიცინე. ნადალთან შეხვედრის წინ, როცა მოედანზე უნდა გავსულიყავი, დერეფანში გასტონ გაუდიო შემხვდა და მომილოცა. ვიფიქრე, წინა დღის გამარჯვებას მილოცავს-მეთქი. მერე კიდევ ბევრმა მომილოცა. მერე კიდევ ერთმა, რომელმაც წინა დღითაც მომილოცა. მაშინ კი დავეჭვდი, რა ამბავია ჩემს თავსმეთქი. გაირკვა, რომ ნადალი შეჯიბრებიდან მოხსნილა. კურიოზი კი ის არის, რომ მე თვითონ ვაპირებდი თამაშის შეწყვეტას. წელი მტკიოდა და მოედანზე გასვლა მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ არ მინდოდა, ნადალს ისე ჩაეწერა მოგება, მოედანზე არ ვენახე. მაგრამ, როგორც ხედავ, ყველაფერი ჩემთვის სასიკეთოდ დამთავრდა. რაც შეეხება საფინთან მატჩს, მაშინ კი ზუსტად ვიცოდი, რომ შეჯიბრებიდან მოვიხსნებოდი. ორგანიზატორების თხოვნით გავედი მოედანზე - ხალხია მოსული და ორი-სამი გეიმი ითამაშე, საფინს არაფერს ვეტყვით და ისიც მთელი ძალით ითამაშებსო. იმათ არა, მაგრამ საფინს მე ვუთხარი ყველაფერი. გასახდელში შევედი და დავინახე, ხელებს და ფეხებს აკანკალებდა - განწყობას იქმნიდა. ვუთხარი, ნუ ნერვიულობ, ასე და ასეა საქმე-მეთქი.

- რამდენად სერიოზულია შენი ტრავმა? მომავალში რომელ ტურნირებში აპირებ მონაწილეობას?

- ტრავმა არ არის ძალიან სერიოზული. ხვალ ბარსელონაში მივფრინავ. ორშაბათს ტურნირი იწყება და ვითამაშებ. მერე რომის, ჰამბურგისა და ავსტრიის ტურნირებში გამოვალ. ამის შემდეგ როლან გარო იწყება. მერე ცოტას დავისვენებ და თბილისში ჩამოვალ.

კარატე

კიოკუშინკაით შეკრული კავკასიური წრე

გასული საუკუნის დასაწყისში კრივს, ჭიდაობასა თუ ძალოსნობას ცირკის არენა მასპინძლობდა. მაშინ ასეთი ტრადიცია იყო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა... გუშინ თბილისის ცირკმა აღმოსავლურ ორთაბრძოლებს, კერძოდ, კიოკუშინკაის მიმდევრებს უმასპინძლა.

უკვე მეოთხედ თბილისმა კიოკუშინკაიში კავკასიის თასის გათამაშების ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრება მიეძღვნა სტუდენტურ დღეებს, რომელიც ასევე ტრადიციულად ეწყობა. თუმცა, კიოკუშინკაიში კავკასიის თასის გათამაშება ერთადერთია სტუდენტური პროგრამის ნაწილიდან, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის გახლავთ. მოგეხსენებათ, სტუდენტური დღეები, სპორტული შეჯიბრებების გარდა, სამეცნიერო კონფერენციებითა და თვითშემოქმედებითი პროგრამებით გახლავთ გაჯერებული, მაგრამ არც ერთი მათგანი არა ატარებს საერთაშორისო სტატუსს.

კიდევ ერთი მცირე ექსკურსი. 2000 წლიდან კავკასიის თასი სტუდენტური დღეების პროგრამის განუყოფელი ნაწილია. იგი ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა და ტრადიციულად მას თბილისი მასპინძლობს. ბუნებრივია, კავკასიის თასზე მონაწილეობს კავკასიის რეგიონი - აზერბაიჯანი და სომხეთი. მართალია, რუსეთიც კავკასიის რეგიონში შედის, მაგრამ, როგორც საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი დოლაბერიძემ გვითხრა, კიოკუშინკაი კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაყოფილ რეგიონებში რუსეთი კავკასიაში არ არის განაწილებული. მიზეზიც ესაა და ეს. თუმცა, იყო ერთი გამონაკლისი. ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ აღმოსავლური ორთაბრძოლის მიმდევრებთან ურიერთობის გარკვევა ირანის ნაკრებსაც უწევდა. ირანის კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციას შეჯიბრების მასპინძლებისთვის უთხოვია, გამონაკლისის სახით ჩვენც ვიასპარეზებთო, რაზეც თანხმობა მიუღიათ. ასე რომ, ტურნირს ღიას სტატუსი დაემატა.

სხვათა შორის, ირაკლი დოლაბერიძის თქმით, გამორიცხული არაა, მომავალში კავკასიის თასი გეოგრაფიულად გაიზარდოს და მასში სხვა ქვეყნებმაც მიიღონ მონაწილეობა.

რაც შეეხება ტურნირს, იგი დიდებსა და ახალგაზრდებში მიმდინარეობდა. დიდების ასპარეზობები სამ წონით კატეგორიას (70, 80 და 80+) ითვალისწინებდა, ხოლო ახალგაზრდებისა, უფრო სწორად, 18 წლამდე ასაკი - ორ წონით კატეგორიას (70 კგ-მდე და ზემოთ). შეჯიბრება სრული კონტაქტით ჩატარდა. სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებები ახალგაზრდებშიც და დიდებშიც ცდიდნენ ძალას, ხოლო ირანელები - მხოლოდ დიდებში.

შეჯიბრებაში გოგონებიც მონაწილეობდნენ, თუმცა, მათი გამოსვლა საჩვენებელი იყო. როგორც შევიტყვეთ, გოგონათა ასპარეზობები საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მიერ ყოფილა ორგანიზებული, რომელიც, იმავდროულად, ამ შეჯიბრების ერთ-ერთი ორგანიზატორიც გახლდათ, ისევე როგორც საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ეროვნული ფედერაცია და სპორტის დეპარტამენტი.

კავკასიის თასის გათამაშებას ფინანსური დახმარება გაუწია მოსკოვის მერიის ხელმძღვანელობამ და მოსკოვის განვითარებისა და ინტეგრაციის საკოორდინაციო სამრეწველო ცენტრის წარმომადგენლობამ საქართველოში.

ეტყობა, ახალი ხელისუფლების ახლებურმა ურთიერთობამ რუსეთთან სპორტშიც გამოიღო ნაყოფი, - ასეთი ახსნა მოუძებნა რუსთა ნაბიჯს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, რომელმაც ასევე მადლობა გადაუხადა კომპანია ყაზბეგს, რომელიც შეჯიბრების ორგანიზატორებს პრიზებით დაეხმარა და ცირკის დირექციას, რომელმაც კავკასიის თასის გათამაშებას უსასყიდლოდ დაუთმო არენა.

კავკასიის თასი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. კონტინენტის პირველობას 28-29 მაისს პლოვდივი უმასპინძლებს.

ფორმულა 1

მიხაელ შუმახერი: "ის საშინელი დღე არასოდეს დამავიწყდება"

ნინო პირველი

1994 წლის 1 მაისს მთელი მსოფლიო შეძრა იმოლას ტრასაზე მომხდარმა ტრაგედიამ, რომელმაც ფორმულა 1-ის საუკეთესო პილოტის, აირტონ სენას სიცოცხლე შეიწირა. წინა დღით რონალდ რაცენბერგერი დაშავდა სასიკვდილოდ, მეორე დღეს კი სენას არ გაუმართლა. რბოლა ახალი დაწყებული იყო, როცა ტამბურელოს მოსახვევში შესულმა ბრაზილიელმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა და ბეტონს შეასკდა. როგორც შემდეგ გაირკვა, სენას საშინელი ავარიის მიზეზი საჭის გაუმართაობა ყოფილა, რისთვისაც ბრაზილიელის მაშინდელ შეფს, ფრენკ უილიამსს, ტექნიკურ დირექტორს პატრიკ ჰედს და გუნდის მთავარ კონსტრუქტორს ადრიენ ნევეის უყურადღებობასა და გულგრილობაში სდებდნენ ბრალს. მაშინ ეს სკანდალი როგორღაც მიჩუმდა, ახლა კი, სენას გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე, ახალი ძალით იფეთქა. ახლოვდება სან-მარინოს გრან-პრი და პილოტები კვლავაც იმ ტრასაზე უნდა გავიდნენ, რომელმაც ათი წლის წინ მათი ორი კოლეგის სიცოცხლე შეიწირა. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერისთვის არც ისე ადვილია 25 აპრილს იმოლაში გამოსვლა. ათი წლის წინ შუმახერი უკან მიყვებოდა სენას ბოლიდს და საკუთარი თვალით ნახა, როგორ შეასკდა ბრაზილიელი ბეტონის კედელს. თუმცა, შუმიმ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა ყველაფერი. ბენეტონის ხელმძღვანელობამ საჭიროდ არ ჩათვალა მისი ინფორმირება. გერმანელმა პილოტმა ისე მოიგო სან-მარინოს გრან-პრი, რომ არაფერი იცოდა სენას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ. სახეგაბრწყინებული შუმი პოდიუმზე იდგა, მილოცვებს იღებდა, იცინოდა, ავტოგრაფებს და ინტერვიუებს არიგებდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ მისი ყველაზე დიდი კონკურენტი და მეტოქე უკვე აღარ იყო ამქვეყნად... სენას დაღუპვის ამბავი შუმახერმა მხოლოდ ავტობუსში შეიტყო ერთ-ერთი კოლეგისგან. ეს იმდენად დიდი შოკი იყო მისთვის, რომ სან-მარინოს გრან-პრის გამარჯვებულმა ტირილი დაიწყო. მას შემდეგ სენას ხსენებაზე მას მუდამ ცრემლი ადგება თვალზე. ბრაზილიელის გარდაცვალებიდან ორი კვირის მერე, მონტე კარლოში მოწყობილ ხსოვნის საღამოზე, ჟურნალისტებმა პირველად შეამჩნიეს, რომ შუმახერი ერიდებოდა სენას შესახებ ლაპარაკს. იმ საღამოს ფერარის პილოტმა გერჰარდ ბერგერმა, რომელიც 1989 წელს იმოლას ტრასაზე, ზუსტად ტამბურელოს მოსახვევში, ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს, პათეტიკური სიტყვა წარმოთქვა სენას შეახებ (ეს იყო დღე, როცა მზე გაქრა ციდან), დამწუხრებული შუმახერი კი იატაკს არ აცილებდა თვალს და

შუმახერს ყურადღება არ აკლია

გაქვავებული სახით იდგა კოლეგის გვერდით. მის თვალებში ცრემლი ბრწყინავდა...

დღემდე ასე გრძელდება. მაშინ, როცა ხუან პაბლო მონტოია, რუბენს ბარიკელო თუ კიმი რაიკონენი დითირამბებს ამბობენ სენას მისამართით, მიხაელ შუმახერი ორ სიტყვასაც ვერ ამბობს ბრაზილიელზე: აუცილებელია, რამე ვთქვა სენას შესახებ? ხომ ხედავთ, რომ არ მსიამოვნებს ამ თემაზე ლაპარაკი? - უთხრა ერთხელ შუმახერმა ერთ-ერთ ჟურნალისტს. აირტონ სენას დაღუპვის დღეს ის ვერაფრით ვერ ივიწყებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, იმოლას ტრასაზე გასვლის არ ეშინია. ეს რბოლა ისეთივეა, როგორც ყველა სხვა. არაფერი განსაკუთრებული, - აცხადებს ჩემპიონი. ვითომ მართლა ასეა? იმოლა, უდავოდ, განსაკუთრებული და ყველასგან გამორჩეულია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ტრასამ ორი პილოტის სიცოცხლე შეიწირა და ერთი ძლივს გადაურჩა ცეცხლწაკიდებულ ბოლიდში ჩაწვას; თუნდაც იმის გამო, რომ მიხაელ შუმახერმა გასულ წელს საკუთარ თავს აჯობა და იმ დღეებში, როცა დედა გარდაეცვალა, გამარჯვება მოიპოვა; თუნდაც იმიტომ, რომ ამ ტრასაზე გასვლის წინ არც ერთმა პილოტმა არ იცის, მიაღწევს თუ არა ფინიშამდე ჯანმრთელი და საღ-სალამათი.

იტალიელები ვერაფრით ვერ ივიწყებენ აირტონ სენას, მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს ყოფილა ფერარის პილოტი. ახლაც, მისი გარდაცვალების ათი წლის თავზე, იმოლაში მოეწყო სენას ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც მისმა დამ, ვივიენმა გახსნა. აქ ყველაფერი იყო: სურათები, ვიდეოჩანანერები, სენას ბოლიდი, მისი მუზარადი... ის ბევრი იტალიელისთვის ყველა დროის საუკეთესო პილოტია. მერე რა, რომ არასოდეს ყოფილა ფერარის საჯინიბოში? - ამბობს ზაუბერის იტალიელი პილოტი ჯანკარლო ფიზიკელა.

ფორმულას ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ სენას გარდაცვალებამ შუმახერს ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაუადვილა. სანამ ბრაზილიელი ცოცხალი იყო, გერმანელს არასოდეს უჩვენებია მასზე უკეთესი შედეგი, თვით ტესტრბოლებზეც კი. გახდებოდა თუ არა შუმახერი ჩემპიონი, სენა რომ არ დაღუპულიყო? ამ კითხვაზე პასუხი, უბრალოდ, არ არსებობს. მიხაელისთვის ძალიან მძიმე იყო სენას გარდაცვალება. ამის შემდეგ მას უკვე აღარ ჰქონდა შანსი, საკუთარ შესაძლებლობებში დაერწმუნებინა მისი ყველაზე სახიფათო მეტოქე, - ამბობდა ავსტრიელი პილოტი ნიკი ლაუდა, როცა შუმახერმა თავისი 41-ე გრან-პრი მოიგო და სენას დაეწია. მაინც რომელი ჯობდა - სენა თუ შუმახერი? მიხაელი მუდამ ცივი გონებით ანგარიშობს და ზედმიწევნით აკონტროლებს ყველაფერს. მან არაჩვეულებრივად იცის, როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას ზედმეტი რისკის გარეშე. აირტონს ეს თვისება არ ჰქონდა. ის ძალიან სწრაფი იყო, მიხაელზე ბევრად სწრაფი. მე მას ავტოსპორტის დიდოსტატს ვუწოდებდი, - ამბობს ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჯეკი სტიუარტი.

აირტონ სენა ლეგენდად იქცა. მიხაელ შუმახერსაც ბევრი არაფერი უკლია მითოსამდე, მაგრამ, ალბათ, ვერასოდეს გაირკვევა, თუ რომელი იყო უფრო დიდი პილოტი. მათ არ ჰქონიათ კარიერის ზენიტში ერთმანეთთან შეჯიბრების საშუალება. ამის გამო ყველა დროის საუკეთესო პილოტის დადგენის საკითხი კვლავაც ღიად რჩება...

ადამიანი ჰიპერბგერითი სიჩქარით ფრენას სწავლობს

მერაბ ლორთქიფანიძე

მარტის ბოლოს ავიაციის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა მოხდა - აშშ-ის კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტოს (NASA) დაკვეთით შექმნილმა ექსპერიმენტულმა საფრენმა აპარატმა, რომლის სახელია X-43A, მანამდე არნახული სიჩქარე, 7 მახი, ანუ ბგერით სიჩქარეზე შვიდჯერ მეტი (დაახლოებით 5000 მილი საათში, ანუ 8000 კმ/სთ) განავითარა.

ჩვეულებრივი თვითმფრინავებისგან ამ აპარატს, პირველ რიგში, ძრავი განასხვავებს. ესაა საჰაერო-რეაქტიული აგრეგატი სახელად რემჯეტ/სქრემჯეტ, რომელშიც საერთოდ

X-43A რაკეტა „პეგასთან" ერთად

... „პეგასთან" დაშორების შემდეგ

... თავისუფალი ფრენისას

არ არსებობს მოძრავი ნაწილები. ეს ძრავი საწვავად წყალბადს იყენებს, რომლის ავზიც თვითმფრინავზეა განთავსებული. სამაგიეროდ, მას არ სჭირდება ჟანგბადის რეზერვუარი, როგორც ეს დღეისათვის გავრცელებულ სატრანსპორტო რაკეტებში ხდება - წვის პროცესისთვის აუცილებელ ჟანგბადს იგი გარემოდან ღებულობს. ოღონდ, ასეთი აგრეგატის ასამოქმედებლად, თვითმფრინავს სპეციალურმა ამაჩქარებელმა უნდა მიანიჭოს საწყისი სიჩქარე დაახლოებით 6 მახი, რათა სქრემჯეტმა საჭირო წნევით მიიღოს წვისთვის აუცილებელი ჟანგბადი.

ჩვეულებრივ რეაქტიულ ძრავებში ჰაერის დაჭირხვნა ძრავის შიგნით განლაგებული უამრავი ფრთის საშუალებით ხდება. სქრემჯეტში კი ჰაერის საჭირო სიჩქარით მოძრაობას საფრენი აპარატის საწყისი მაღალი სიჩქარე უზრუნველყოფს. ძრავის ჰაერამღების გავლის შემდეგ, ჰაერის სამოძრაო მილაკი თანდათან ვიწროვდება და მის ყველაზე ვიწრო ყელში ხდება ჰაერის ნაკადთან წყალბადის შერევა, რაც ამ ორი ქიმიური ელემენტის შეერთების გზით, დიდი ოდენობით ენერგიის მყისიერ გამოყოფას იწვევს. მაღალი სიჩქარით მოძრავი ნაწილაკები კიდევ უფრო ჩქარდება და უზარმაზარი წნევით გამოიტყორცნება ძრავის უკანა მხრიდან (როგორც რეაქტიულ ძრავებში) და სწორედ ეს ნაკადი ქმნის წევის ძალას.

სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ამ ტექნოლოგიის დანერგვა ავიაგადაყვანების დროის საგრძნობლად შემცირებას გამოიწვევს. რაც ყველაზე მთავარია, შესამჩნევად გაიაფდება კოსმოსური აპარატების გაშვება.

რამდენადაც სქრემჯეტი მუშაობას იწყებს მაღალ სიჩქარეზე, ამისათვის მისი სათანადო აჩქარების უზრუნველყოფაა საჭირო. X-43A-ის შემთხვევაში, ამაჩქარებლის მოვალეობა დაეკისრა მოდერნიზებულ მზიდ რაკეტა "პეგასს", რომელიც საცდელ აპარატთან ერთად ჰაერში სტრატეგიულმა ბომბდამშენმა B-52-მა აიყვანა ("პეგასის" ცხვირზე დამაგრებული X-43A თვითმფრინავის მარჯვენა ფრთის ერთ-ერთ პილონზე, იგივე ბომბსაკიდზე განათავსეს).

სქრემჯეტის ტექნოლოგიით მომუშავე ძრავით აღჭურვილი პირველი აპარატი (იგივე X-43A) 2001 წლის 2 ივნისს გამოსცადა აშშ-ის თავდაცვითი კვლევების სააგენტომ (DARPA), მაგრამ მაშინ ექსპერიმენტი ჩაფლავდა ვერ მოხერხდა საცდელი თვითმფრინავისა და რაკეტა-ამაჩქარებლის დაშორიშორება. შედეგად, "პეგასმა" მკვეთრად შეიცვალა ფრენის მიმართულება და 50 წამის შემდეგ, მართვის ცენტრი იძულებული შეიქნა, თავად გაენადგურებინა იგი.

მანამდე ექსპერიმენტატორები სქრემჯეტის ქვემეხით გაშვებას ახორციელებდნენ, მაგრამ რამდენადაც ამგვარი ტექნოლოგია არ იყო პერსპექტიული, ცდები შეწყდა. ჰიპერბგერითი ძრავის გასაშვებად რაკეტა ერთ-ერთმა პირველმა ავსტრალიის ქვინსლენდის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯგუფმა გამოიყენა.

ექსპერიმენტული X-43A სიგრძეში სულ 3.7 მეტრია და 1300 კილოგრამს იწონის. გარდა იმისა, რომ შესასწავლი იყო სქრემჯეტის გაშვების პარამეტრები და მუშაობის პროცესი, მკვლევარებს ასევე აინტერესებდათ, თუ რამდენად ეფექტური იქნებოდა X-43A-ს აეროდინამიკა, რომლის დამუშავებაც ჯერ კომპიუტერში, შემდეგ კი ულტრათანამედროვე აეროდინამიკურ მილში წარმოებდა.

პირველი ექსპერიმენტისგან განსხვავებით, ამჯერად გამოცდამ ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. საცდელი კომპლექსი (პეგასი და X-43A) B-52-მა 12 კილომეტრის სიმაღლეზე აიყვანა, რის შემდეგაც "პეგასი" ბომბდამშენის პილონს მოსწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩაირთო რაკეტის ძრავი, რისი საშუალებითაც წყვილი დაახლოებით 30 კილომეტრის სიმაღლეს (კოსმოსის მახლობელი სივრცე) მისწვდა. სწორედ აქ მოხდა რაკეტისგან X-43A-ს დაშორიშორება. იმავდროულად, ჩაირთო სქრემჯეტი, რომელმაც, გეგმის მიხედვით, სულ ათი წამი იმუშავა და ეს საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ საცდელი თვითმფრინავის სიჩქარეს 7 მახისთვის მიეღწია. ამ სიჩქარით მან დაახლოებით 15 მილი გაიფრინა, რის შემდეგაც ძრავმა შეწყვიტა მუშაობა, საფრენმა აპარატმა კი თავისუფალი პლანირება დაიწყო. ექვსი წუთის განმავლობაში მან რამდენიმე რთული მანევრი შეასრულა, რაც აეროდინამიკური მაჩვენებლების ასაღებად იყო საჭირო, რის შემდეგაც წყნარ ოკეანეში, სამხრეთ კალიფორნიის სანაპიროს სიახლოვეს ჩავარდა.

დიდი სიჩქარის მქონე შემხვედრ ჰაერზე მომუშავე ჰიპერრეაქტიული ძრავების შექმნის და გამოყენების იდეა მეცნიერებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს წამოაყენეს. ამგვარი ტექნოლოგიის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ფრენისას არ არსებობს დამჟანგავის (ჟანგბადის) ტარების აუცილებლობა, რაც საგრძნობლად ამცირებს სქრემჯეტის ტექნოლოგიით შექმნილი ძრავით აღჭურვილი თვითმფრინავის მასას. შესაბამისად, ამ გარემოების წყალობით, შესაძლებელი ხდება ან გადასატანი ტვირთის მასის, ან ფრენის სიშორის საგრძნობი გაზრდა.

ტექნოლოგიის დადებითი მხარეები თვალსაჩინოა. მთავარია, როდის შეძლებენ კონსტრუქტორები მის დახვეწას იმ დონემდე, რომ მისი გამოყენება იქნას შესაძლებელი. მანამდე კი, მიმდინარე წლის ბოლოს, სააგენტო მორიგი ექსპერიმენტის ჩატარებას გეგმავს, რომელზეც დაგეგმილია (ეს პროგრამითაა გათვალისწინებული) სიჩქარის ახალი რეკორდის დამყარება ამჯერად მეცნიერები 10-მჯერ სჭარბობს ბგერისას. თანამედროვე უსწრაფესი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები 3 მახის ზღვარს გაჭირვებით აღწევენ.

პროგრამა სახელად "ჰიპერ X", რომლის მიზანია ჰიპერბგერითი თვითმფრინავის შექმნა, NASA-ს ინიციატივით 1996 წელს დაიწყო და დღემდე მასზე 250 მილიონი დოლარია დახარჯული. პროგრამაში სახელმწიფო საკვლევ სააგენტოებთან ერთად კერძო აეროკოსმოსური კომპანიებიც ღებულობენ მონაწილეობას. მაგალითად, X-43A და მისი ძრავი ტენესის შტატში ბაზირებულ კომპანია ATK GASL-ის მიერაა შექმნილი, ექსტრემალურ პირობებში მომუშავე დეტალების თერმულ დაცვას "ბოინგის" მიერ მიწოდებული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს. ამავე კომპანიას ეკუთვნის რეაქტიული ამაჩქარებლების კონტროლის ხელსაწყოები. რაკეტა "პეგასის" მოდიფიცირება განახორციელა კომპანია ორბიტალ "საიენსეს კორპორეიშნმა", ექსპერიმენტში კი უშუალოდ მონაწილეობდნენ ლენგლისა და დრაიდენის საკვლევი ცენტრები.

პროექტ "ჰიპერ X-ზე" მომუშავე სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სქრემჯეტის ტექნოლოგიით მომუშავე ძრავით აღჭურვილი ჰიპერბგერითი თვითმფრინავები ფრენებს 20-25 წლის შემდეგ დაიწყებენ. თუმცა, შესაძლოა, გაცილებით ადრე, ეს ტექნოლოგია უპილოტო კოსმოსურ ექსპედიციებშიც იქნას გამოყენებული.

მზის სისტემის მეათე პლანეტას სედნა დაარქვეს

აშშ-ის აეროკოსმოსური სააგენტოს (NASA) მიერ კოსმოსში ცოტა ხნის წინ გაშვებულმა კოსმოსურმა ტელესკოპმა სახელად "სპიტცერი", მზის სისტემის კიდეში მოძრავი უშორესი პლანეტა აღმოაჩინა, რომელსაც ასტრონომებმა ოკეანის ესკიმოსებისეული ქალღმერთის, სედნას სახელი უწოდეს.

წინასწარი შეფასებით, სედნას დიამეტრი დაახლოებით 2 ათასი კილომეტრი უნდა იყოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ის მზის სისტემის მეცხრე პლანეტაზე, პლუტონზე დიდიც იყოს. ამ უკანასკნელის დიამეტრი 2250 კილომეტრს შეადგენს, რაც დაახლოებით 7-ჯერ ნაკლებია დედამიწის დიამეტრზე. უფრო მეტიც, სედნაზე გაცილებით დიდია მთვარე, რომლის დიამეტრიც 3476 კილომეტრს შეადგენს. შედარებისთვის, მზის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ასტეროიდის, ცერერის დიამეტრი 1053 კილომეტრია, პლანეტა მერკურისა კი 4880 კილომეტრი.

ასტრონომების მიერ ჩატარებული გამოთვლებით, სედნა დედამიწიდან დაახლოებით 10-13 მილიარდი კილომეტრით უნდა იყოს დაშორებული (დედამიწიდან მზემდე 0.15 მილიარდი კილომეტრია). იგი მეტად გაწელილი ელიფსის ფორმის ორბიტაზე მოძრაობს და დღეს იმ პოზიციაში იმყოფება, როცა მზიდან დაშორება მინიმალურია. ელიფსის შორეულ წერტილში დაშორება დაახლოებით 134 მილიარდ კილომეტრს შეადგენს.

სედნა პირველად ჯერ კიდევ კოსმოსურმა ტელესკოპმა "ჰაბლმა" აღმოაჩინა, თუმცა მაშინ ობიექტი მსხვილ ასტეროიდად იქნა მიჩნეული, როგორებიც მზის სისტემის აღნიშნულ არეალში არცთუ იშვიათია. როგორც ასტრონომები ამბობენ, სედნადან მზე იმდენად პატარად მოსჩანს, რომ მისი დაფარვა ქინძისთავითაც იქნება შესაძლებელი.

ახალი პლანეტა მოძრაობს კოსმოსის იმ არეში, რომელსაც კუიპერის სარტყელად მოიხსენიებენ. იქ უამრავი კოსმოსური ობიექტი მოძრაობს, რომელთა შორისაც არის როგორც მცირე ზომის, ასევე მსხვილი სხეულები. ასტრონომები კოსმოსის ამ სექტორის გამოკვლევას პერსპექტიულ საქმედ თვლიან.

სედნა პირველად 14 ნოემბერს დააფიქსირა სან დიეგოში მდებარე ტელესკოპმა, რომელსაც სემუელ ოშინის სახელი ეწოდა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, ახალი პლანეტა ჩილეში, ესპანეთში, არიზონასა და ჰავაიზე განლაგებულმა ტელესკოპებმა. რაც შეეხება კოსმოსურ ტელესკოპ "სპიტცერს", იგი ინფრადეტექტორებს იყენებს. ამავე

სედნა წითურ პლანეტათა რიგს მიაკუთვნეს

ტელესკოპმა დაადგინა, რომ სედნა ზომით პლუტონის სამი მეოთხედია. იმავე ტელესკოპის მიერ დადგინდა, რომ მეათე პლანეტაზე ტემპერატურა არასოდეს ადის მინუს 240 გრადუსმა (ცელსიუსით) ზევით.

სედნა ერთ-ერთი "ყველაზე წითელი" ობიექტია მზის სისტემაში. თავის ორბიტაზე ერთ შემოვლას იგი 10500 წელს ანდომებს, საკუთარი ღერძის ირგვლივ შემობრუნებას კი დაახლოებით 40 დღეს უნდება. "ჩვენ ვიცით, რომ რაც ცაზე მეტისმეტად ნელა მოძრაობს, ეს ჩვენს მზის სისტემაში მოძრავი ობიექტი უნდა იყოს პლანეტა, სატელიტი, ან ასტეროიდი. მაგრამ ასეთი ნელი ობიექტი ჩვენ მანამდე შემჩნეული არ გვქონდა, რის გამოც ჩავთვალეთ, რომ ჩვენს მიერ დაფიქსირებული ობიექტი ჩვენგან მეტისმეტად შორს უნდა ყოფილიყო", - განაცხადა სპეციალურ პრესკონფერენციაზე კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასტრონომმა მაიკ ბრაუნმა, ვინც სედნას აღმომჩენ მეცნიერთა ჯგუფს ხელმძღვანელობს. იგი თვლის, რომ სედნას საკუთარი სატელიტიც უნდა ჰქონდეს, რომელიც სავარაუდოდ, მის ბრუნვას ანელებს. ამ სატელიტის აღმოსაჩენად, ბრაუნი და მისი ჯგუფი ტელესკოპ "ჰაბლის" გამოყენებას აპირებენ.

სედნა მზის სისტემის ყველაზე მსხვილი კოსმოსური ობიექტია, რომელიც ასტრონომებმა 1930 წლის შემდეგ აღმოაჩინეს. სწორედ მაშინ იქნა აღმოჩენილი პლუტონი, რომელიც დღემდე მზის სისტემის მეცხრე, ბოლო პლანეტად ითვლებოდა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ასტრონომი სედნას სრულფასოვან პლანეტად მიიჩნევს, ბევრი თვლის, რომ ეს უბრალოდ, მსხვილი კოსმოსური სხეულია. თუმცა, პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სედნას საკუთარი სამოძრაო ორბიტა გააჩნია, რომელიც პრაქტიკულად არ იცვლება.

სედნას პლანეტის რანგში დაყენებას რომ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ეს სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრი სპეციალისტი დღემდე არც პლუტონს მიიჩნევს სრულფასოვან პლანეტად. რაც მთავარია, ის მეცნიერები, რომლებიც პლუტონს პლანეტად მიიჩნევენ, სედნას უკვე უწოდებენ მზის სისტემის მეათე პლანეტას.

ასეა თუ ისე, უახლოეს მომავალში, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი (IAU ინტერნეიშნლ ასტრონომიკ იუნიონ) პლანეტის განსაზღვრების გადახედვას აპირებს. აქამდე საპლანეტო ნორმის შესასრულებლად, მზის გარშემო ორბიტაზე მოძრავი კოსმოსური სხეულის დიამეტრი მინიმუმ პლუტონის ზომისა მაინც უნდა ყოფილიყო. მანამდე კი სედნას პლანეტად მოხსენიება არ შეიძლება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სედნა მაინც არ იქნება მიჩნეული პლანეტად, სპეციალისტები შიშობენ, რომ მის ბედს პლუტონიც გაიზიარებს და მზის სისტემაში სულ რვა პლანეტა დარჩება.

ცნობისათვის, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის წინადადებით, პლუტონს ასტეროიდად "ჩამოქვეითებას" ჯერ კიდევ 1999 წელს უპირებდნენ, მაგრამ მაშინ მეცხრე პლანეტის მხარდასაჭერად ბევრი ცნობილი მეცნიერი გამოვიდა. ასტრონომები გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ შესაძლოა, მალე მზის სისტემის კიდეში კიდევ რამდენიმე ობიექტი იქნას აღმოჩენილი, რომლებიც სედნაზე და პლუტონზეც დიდები იქნებიან.

აინშტაინის თეორიას კოსმოსში გამოცდა ელის

1916 წელს ალბერტ აინშტაინმა წამოაყენა სამყაროს აგებულების თეორია, რომლის მიხედვითაც, ისეთი უზარმაზარი ობიექტის მოძრაობა საკუთარი ღერძის ირგვლივ, როგორიც ჩვენი პლანეტაა, იწვევს სივრცესა და დროს შორის არსებული დამოკიდებულების სტრუქტურის ცვლილებას. ორი წლის შემდეგ, აინშტაინის თეორიაზე დაყრდნობით, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლოა, პლანეტას ბრუნვისას შეუძლია დროისა და სივრცის "აყოლიება".

ერთი საუკუნის წინ ამ თეორიების პრაქტიკულად შემოწმების საშუალებას ტექნიკის განვითარების დონე არ იძლეოდა. 1959 წელს მეცნიერებმა წამოაყენეს თეორიის კოსმოსში შემოწმების იდეა, თუმცა განხორციელება არც ამ იდეას ეწერა, რამეთუ თავი იჩინა რიგმა ტექნიკურმა პრობლემებმა, რომელთა გადაჭრაც იმ დროისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

დღეს კი, უფრო სწორედ კი, 1995 წლიდან მოყოლებული, ამ საკითხს მთელი სერიოზულობით მოკიდა ხელი აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის ეროვნულმა ადმინისტრაციამ (NASA), რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც (დღემდე პროექტზე უკვე დახარჯულია 700 მილიონ დოლარზე მეტი), შეიქმნა კოსმოსური აპარატი სახელწოდებით „გრევიტი პროუბ B", რომლის გაშვებაც 19 აპრილს განხორციელდა კალიფორნიაში მდებარე ვანდენბერგის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან და რომელიც სტენფორდის უნივერსიტეტში შემუშავებული მეთოდიკით ეცდება გასული საუკუნის დასაწყისში წამოყენებული ფუნდამენტური თეორიების შემოწმებას მისიამ უნდა დაადასტუროს ან უარყოს აინშტაინის ფარდობითობის თეორია, რომელიც გვეუბნება, რომ პლანეტის ზომის დიდი სხეულების ზემოქმედებით, სივრცე და დრო მცირე ცვლილებას განიცდის.

კოსმოსური ხომალდი უპილოტოა და იგი ჩვენი პლანეტის მახლობელ ორბიტაზე (დაახლოებით 644 კილომეტრზე) იმოძრავებს. მის თბო და აკუსტიკურად აბსოლუტურად იზოლირებულ გულში განთავსებულია კვარცისგან დამზადებული ოთხი ცალი იდეალური სფერო, რომლებსაც მაგიდის ჩოგბურთის ბურთის ზომა აქვთ. ეს ბურთულები ადამიანის მიერ ოდესმე შექმნილი ყველაზე იდეალური სფეროებია.

იმისათვის, რომ ექსპერიმენტის სრულყოფილი სისუფთავე იქნას მიღწეული, ეს ბურთულები აბსოლუტურ ვაკუუმში იქნება განთავსებული, სადაც ტემპერატურა აბსოლუტურ ნულთანაა მიახლოებული. გარემო, ფაქტობრივად, თერმოსს წარმოადგენს, რომელშიც უზრუნველყოფილია სრულყოფილი ბგერითი იზოლაცია, რისი ანალოგიც არ არსებობს მსოფლიოში.

ორბიტაზე გასვლის შემდეგ ბურთულებს ბრუნვით იმპულსებს მიანიჭებენ და თუ აინშტაინის თეორია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ მბრუნავი ბურთულები ჩვენი პლანეტის ზეგავლენით ოდნავ წაინაცვლებენ. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტულად დადასტურდება, რომ პლანეტები ბრუნვისას თან "ითრევენ" დროსა და სივრცეს.



„გრევიტი პროუბ B" ლაბორატორიაში

ასე იბადებიან და კვდებიან ვარსკვლავები

აშშ-ის კოსმოსური კვლევის სააგენტოს (NASA) კუთვნილმა ტელესკოპმა სპიტცერმა ნისლეულ ჰენიც 206-ის უჩვეულო გამოსახულება გადაიღო, რომელიც, ფაქტობრივად, ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების ნარჩენებს წარმოადგენს. გამოსახულება ინფრაწითელ დიაპაზონშია მიღებული, რის შემდეგაც კომპიუტერმა იგი პირობით ფერებში წარმოადგინა. მასში ჩანს ახლადწარმოქმნილი ვარსკვლავების ჯგუფი, რომლებიც ძველი ვარსკვლავის დაღუპვის ადგილას გაჩნდნენ.

მნათობთა "თაობათა ცვლის" ამგვარი პროცესი დიდი ხანია, მეცნიერებისთვის ცნობილია. ვარსკვლავის აფეთქების შედეგად წარმოქმნილი დარტყმითი ტალღა კუმშავს ვარსკვლავთა შორის არსებულ მტვრისა და გაზისგან შემდგარ ეთერულ მასას, რომელიც, ჩვეულებრივ, გაუხშოებულ გარემოს ავსებს. მათი შეკუმშვის შედეგად, წარმოიქმნება ძლიერი იმპულსები, რომელთა შედეგადაც ახალი ვარსკვლავები ყალიბდება. თეორია კი არსებობდა, მაგრამ ასტრონომებს ამ პროცესზე უშუალოდ დაკვირვების საშუალება აქამდე არასოდეს ჰქონიათ.

"სპიტცერის" მიერ გაკეთებულ სურათებზე ახლადწარმოქმნილი ვარსკლავები სხვადასხვა შედგენილობის გაზისა და მტვრის ბურუსში იმყოფებიან. მათ გარშემო კი შეინიშნება დიდი, გაზისებრი რგოლი, რომელიც ვარსკვავურ "ოჯახს" აერთიანებს. ეს რკალი ძველი აფეთქების კვალს წარმოადგენს.

ტელესკოპის მიერ მიღებული ახალი მონაცემები მეცნიერებს ვარსკვლავების დაბადებისა და დაღუპვის ციკლების შესახებ ახალ ინფორმაციას მიაწვდის. რაც მთავარია, ამ პროცესების უფრო დაბრილებითი შესწავლის მეშვეობით, მეცნიერებს უფრო მკაფიო წარმოდგენა შეექმნებათ იმ მოვლენებზე, რომლებსაც სამყაროს არსებობის ადრეულ სტადიაში ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება ჰენიც 206-ის ნისლეულს, იგი მაგელანის დიდ ღრუბლეულში მდებარეობს, რომელიც ჩვენი გალაქტიკის ჯუჯა თანამგზავრია და ჩვენგან 163 ათასი სინათლის წელიწადის დაშორებით მდებარეობს. ეს არის მინი-გალაქტიკა, რომელიც ჩვენი გალაქტიკისგან იმით განსხვავდება, რომ იგი მცირე რაოდენობით შეიცავს მძიმე ელემენტებს, როგორიცაა რკინა.

მზის სხივის დახმარებით პლანეტის გარშემო

შვეიცარიელი მოგზაური ბერტრან პიკარი, ვინც პირველი ადამიანია, ჩვენს პლანეტას აეროსტატით (საჰაერო ბურთი) რომ შემოუფრინა, ახალი თავგადასავლის ძიებაშია და ასეთს მიაგნო კიდეც. მან უკვე გამოაცხადა, რომ ქმნის საფრენ აპარატს, რომელიც მზის სხივისგან მიღებული ენერგიით იფრენს. ამ აპარატით პიკარი კვლავ პლანეტის გარშემო მოგზაურობას გეგმავს.

პიკარმა საჰაერო ბურთით ჩვენს პლანეტას 1999 წელს, ბრიტანელ ბრაიან ჯონსთან ერთად შემოუფრინა. დღეისათვის იგი აფინანსებს მეცნიერთა და ავიატორთა ჯგუფს, რომლებიც საწვავის გარეშე მფრენი აპარატის შექმნაზე მუშაობენ. ამ აპარატს "სოლარ იმპულსი" დაერქმევა.

"რაიტების პირველი გაფრენიდან საუკუნის შემდეგ, კარგი იქნებოდა, ავიაციის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაგვეწერა და სწორედ ამას ვისახავ მიზნად, რაც ჩემთვის კოლოსალური გამოწვევაა", - განაცხადა 54 წლის პიკარმა, ვისაც ამ არცთუ ადვილი მიზნის განხორციელებაში დახმარებას უწევს ლოზანას ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

პირველი საცდელი გაფრენა 2006 წლისთვისაა დაგეგმილი, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი პიკარი 36-საათიან, უწყვეტ ფრენას განახორციელებს პლანეტის გარშემო.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის "საბას" ნომინანტები

წლის საუკეთესო პროზაული კრებული

ავტორი	სახელწოდება	გამომცემლობა
ლაშა ბუღაძე	მესამე სართული	"არეტე"
ლაშა იმედაშვილი	ბიოგრაფიები	"ლომისი"
ირაკლი ლომოური	ექსლიბრისი	"მერანი"
აკა მორჩილაძე	წიგნი	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
ირაკლი სამსონაძე	გარეუბანი	"სანი"
დავით ქართველიშვილი	დღიურები მირანდასათვის	"მერანი"
გოდერძი ჩოხელი	მოთხრობები	"მარსი"
გიორგი ცოცანიძე	ნაწერი ხანჯრის წვერითა	"თეთრი გიორგი"

წლის საუკეთესო რომანი

ავტორი	სახელწოდება	გამომცემლობა
ჭაბუა ამირეჯიბი	გიორგი ბრწყინვალე	"ბაკმი"
ზაზა ბურჭულაძე	მინერალური ჯაზი	"ლოგოს პრესი/მერანი"
გურამ დოჩანაშვილი	ლოდი ნასაყდრალი	"მარსი"
აკა მორჩილაძე	ძირს სიმინდის რესპუბლიკა	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
ზურაბ ქარუმიძე	თხა და გიგო	"მედიატორი"
ოთარ ჭილაძე	გოდორი	"რუსთავი 2 პრინტი"

წლის საუკეთესო პოეტური კრებული

ავტორი	სახელწოდება	გამომცემლობა
შალვა ბაკურაძე	წერილი ნინოს	"მერანი"
ელა გოჩიაშვილი	პარასკევი ჩემი დღეა	"მერანი"
ბათუ დანელია	მთვარის დღესასწაული	"მერანი"
ზაზა თვარაძე	ტან-ცზი სიცივეში	"კავკასიური სახლი"
თემურ ჩხეტიანი	ბუდე	"მერანი"
ოთარ ჭილაძე	კიბე	სანი
ბესიკ ხარანაული	წიგნი ამბა ბესარიონისა	"არეტე"

წლის საუკეთესო დებიუტი

ავტორი	სახელწოდება	გამომცემლობა	ჟანრი
გიო მგელაძე	გაიღიმე, ჩიტი გამოფრინდება	"A.M.I."	პიესა
ანი მოსულიშვილი	კიპლინგის "სწორედ ასეთი მოთხრობები"	"დიოგენე"	თარგმანი
თამარ ფხაკაძე	სანამ დაგვიძახებენ	"დიოგენე"	პროზა
ნიკა ჯორჯანელი	განცდა ხავერდისაგან	"დიოგენე"	პოეზია

წლის საუკეთესო თარგმანი

სახელწოდება	მთარგმნელი	გამომცემლობა
გერმანულენოვანი პროზა და პოეზია, ალმანახი "აფრა"	**ნაირა გელაშვილი**	"კავკასიური სახლი"
ალბერ კამიუ გადასახლება და სამეფო	**გიორგი ეკიზაშვილი**	"სანი"
უილიამ შექსპირი ვენერა და ადონისი	**მედეა ზაალიშვილი**	"ლიტერა"
ტომაზო ლანდოლფი ხელები	**ნოდარ ლადარია**	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი იესო ძე კაცისა	**გიორგი ლობჟანიძე**	"დიოგენე"
აზერბაიჯანული ეპოსი ქოროღლი	**ზეზვა მედულაშვილი**	"კავკასიური სახლი"
ტუვე იანსონი "ჯადოქრის ქუდი", "უჩინარი ბავშვი"	**ბაკურ სულაკაური**	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
პინდაროსი ოდები	**ნანა ტონია**	"ლოგოსი"
კატულუსი 33 ლექსი	**მანანა ღარიბაშვილი**	"ლოგოსი"

წლის საუკეთესო პიესა

ავტორი	სახელწოდება	გამომცემლობა
ლაშა ბუღაძე	ნუგზარი და მეფისტოფელი	"ახალი ქართული პიესები" (საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი)
მანანა დოიაშვილი	თამაში რემარკის გარეშე	კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი")
მამუკა დოლიძე	თამაშგარეთ დარჩენილ თეატრში	კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი")

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა და ესსე

ავტორი	წიგნი/გაზეთი
ივანე ამირხანაშვილი	"ტკივილის დიალექტიკა" "საგურამო"
თეიმურაზ დოიაშვილი	"დაბრუნება" "მერანი"
ელგუჯა თავბერიძე	გაზ. "ჩვენი მწერლობა"
ნუგზარ მუზაშვილი	გაზ. "ჩვენი მწერლობა"
ნანა ტონია, ქეთი ნადარეიშვილი	"პენელოპე" "ლოგოსი"
მერაბ ღაღანიძე	გაზ. "ჩვენი მწერლობა"
მალხაზ ხარბედია	გაზ. "24 საათი"; ჟურნ. "არილი"



სკანვორდი



TV პროგრამა

22 აპრილი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.20** მხ. ფილმი "ორთაბრძოლა". მთ. რ-ში: ალ პაჩინო, რობერ დე ნირო.

07.00, 09.00, 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ახალი ხმები. გულიდან ამოსული ხმები. **09.30** ტელედილა. **13.15** ექიმი სილვესტერი. მხ. ფილმი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **23.05** დ დიზაინი. **01.30** მოგეთხოვებათ შესაბამისი ჩაცმულობა. მხ. ფილმი. რეჟისორი ფილლიპ ლიორე. კომედია. 1996 **03.50** ერთი გამოგონების ისტორია. დოკ. ფილმი. **05.20** მაშას არჩევანი. მხ.ფილმი. რეჟისორი მარიან ლამური. 2002.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "უსაფრთხოების ზომები" **11.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **15.15** მხ. ფილმი "ჩემი ამერიელი ბიძა" 15-16სს. **17.00** დოკ. ფილმი "ოპერაცია "მთვარე" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ჯანმრთელობა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.10** დოკ. ფილმი "რომი" **23.30** მხ. ფილმი "მეზღაპრე"

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "დაჭერილი ლომები". მთ.რ-ში რობერტ დიუვალი, მაიკლ კეინი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ავტოფოკუსი". მთ. რ-ში უილიამ დეფო, გრეგ კინეარი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "აღთქმული ცხოვრება" (იზაბელ იუპერი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ჩიტები" (როდ ტეილორი)

მეორე არხი

19.00 მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.30** კინოსეანსი "ჩემი ამერიკელი ბიძა" 7-8სს. **21.05** გაცოცხლებული ქვები **21.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი "პიანისტი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "კარტი, ფული და ორი ლულა" **14.00** მხ. ფილმი "შერკინება" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "პინოქიო" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "კლდე" **00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 16.50, 17.20, 02.05** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.35** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შტოკინგერი" **15.15** მხ. ფილმი "შარაგზის რაინდი" **16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "27 დრაკონი" **21.30** საქმე ! **23.00** ესტაფეტა **23.30** მხ. ფილმი "პოლიციელის ტყავისათვის"

არხი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგად. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" **11.45** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** კომედია "ბრძოლა შეიკერ ჰეისთან" **13.35, 15.40, 19.05, 20.10, 03.00, 05.35** მუსიკა **14.10** მელოდრამა "ცეკვები ლუნაზის დროს" **16.20** მულტფილმი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **17.10** ფანტასტიკა "დროის გამჩერებელნი" **19.20** დოკუმენტური ფილმი **20.30** მხატვრული ფილმი "კურიერი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** თრილერი "უძილობა " **03.20** ვესთერნი "ომი ველურ დასავლეთში"

ОРТ

07.00 "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20** МультСериал "Кошки-мышки" **12.40**Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" **13.20Комедия "Горько!" 15.10**Город женщин **16.20Сериал "Берег мечты" 17.20**"Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20**Просто смех! **20.50**"Стирка на миллион" **21.00 Сериал "Евлампия Романова: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** Время **23.40**"Человек и закон" **00.50**"Фабрика звезд" **01.10**Премьера. "Тайная любовь вождя". Док. фильм **01.50**"Гении и злодеи" **02.20**Премьера. "Голливудские преступления". Часть 2-я **02.50**Энтони Хопкинс в фильме **"На исходе дня" 05.20Сериал "Мертвая зона"**

НТВ

07.00 Утро на НТВ. **09.45 Сериал "ПЯТЫЙ АНГЕЛ". 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос: стена вместо стенки. **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.35** "Сегодня" **13.30** Александра Захарова в детективе **"КРИМИНАЛЬНЫЙ ТАЛАНТ". 1 с. 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30 Сериал "ДАЛЬНОБОЙЩИКИ: СВОЙ БИЗНЕС". 19.35** Протокол. **20.40 Сериал "МУР ЕСТЬ МУР". 8 с, закл. 21.45 Сериал "ПЯТЫЙ АНГЕЛ". 12 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "К барьеру!". Ток-шоу **00.40** Тайны разведки: кембриджская пятерка. **01.20 Сериал "МУР ЕСТЬ МУР". 03.05** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

XXI საუკუნის პრობლემა

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი

მამუკა ქირია

არც ისე შორეულ წარსულში, ექიმები ქრონიკულ დაღლილობას, როგორც დაავადებას, უგულებელყოფდნენ. ექიმებს შეიძლება ამის გამო პრეტენზია ვერ წავუყენოთ, რადგან ასეთი სახის სინდრომი დაავადებად არც შეიძლებოდა ჩათვლილიყო, იმის გამო, რომ მაინცდამაინც ხელშესახები და თვალში საცემი აქ არაფერია; რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ქრონიკული დაღლილობის დროს ადამიანს მუდმივად ძილის სურვილი აქვს და მეხსირებასაც უჩივის. სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქრონიკული დაღლილობა XXI-ის დაავადებად უნდა მოინათლოს. ამ დაავადების მთავარი მახასიათებლები ასეთია: მუდმივად ძილის სურვილი, ამ დროს სრული უძილობა და დისკომფორტი, მცირე დოზით, მაგრამ მაინც ფსიქომოტორული მოშლა, ხშირად თავის ტკივილი, სკლეროზის გამოვლინება, და რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, სინდრომი ვირუსული ბუნებისაა.

ამ საკითხით დაინტერესდნენ იმუნოლოგები. მათმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ასეთი სახის ავადმყოფებს უმიზეზო დაღლილობის სინდრომი 6 თვის მანძილზე აქვთ, მაშინაც კი, როცა ისინი ამ ხნის განმავლობაში ისვენებენ; ქრონიკულობაც ამაში გამოიხატება.

ეს სინდრომები დიდი ხანი აწუხებენ ადამიანს. გარდა ამისა, შეიძლება დრო და დრო მათ ტემპერატურამ აუწიოს ცელსიუსის 37-37.3 გრადუსამდე. შეიძლება დაავადება საღამოობით ძლიერი თავის ტკივილით გამოიხატოს. რა თქმა უნდა, თითოეული ორგანო დაძაბულ რიტმში მუშაობს რაღაცის ხარჯზე და მარტივი ენით რომ ვთქვათ, ორგანიზმი იფიტება. ამას მოსდევს შრომისუნარიანობის დაქვეითება. სიზმრების დიდი ნაკადი ან სულაც პირიქით.

ასეთი ავადმყოფების ძირითადი მასა 20-35 წლის არის. დავადების მიზეზი შეიძლება გახდეს სტრესი, რესპირატორული ინფექცია, გაციება, ჰერპესის ჯგუფის გრიპები. მოგეხსენებათ, ასეთი გრიპის დროს და საერთოდ, ნებისმიერი ვირუსული შეტევის დროს ადამიანის ორგანიზმი იმუნური სისტემის მეშვეობით რეაგირებს და ინფექციის საწინააღმდეგო ანტისხეულებს გამოიმუშავებს. მათი დიდი რაოდენობით გამომუშავება იწვევს დაღლილობას. ჰერპესული ვირუსების უმეტესობა აზიანებს ზურგის ტვინის ნერვულ დაბოლოებებს. რის შემდეგაც მცირდება იმუნოსისტემის შესაძლებლობები და ვირუსები აქტიურად განაგრძობენ სიკვდილს და გაცოცხლებას, მანამ, სანამ საბოლოოდ არ ამოიცნობს ორგანიზმი ვირუსის ბუნებას და შესაბამის ანტისხეულს არ გამოიმუშავებს. ამ პროცესების დროს ორგანიზმი უკიდურესად იღლება და მას განსაკუთრებულ წყნარ და სუფთა ჰაერის გარემოში დასვენება სჭირდება. ასევე კარგი იქნება ვიტამინების და ბიოლოგიურად აქტიური დანამატების მიღება, დასვენება და კარგი კვება ენერგიის აღსადგენად. სპეციალისტები გვირჩევენ, რომ თუ ავადმყოფობის, სტერესის, დიდი სამუშაო დღის შემდგომ აქტიურად არ დავისვენეთ, შეიძლება ქრონიკული დაავადების მსხვერპლნი გავხდეთ და სულ მცირე, ექვსი თვით დავემშვიდობოთ წყნარ და უდარდელ ცხოვრებას.

1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა
ტელეკომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები

მესვლა უფასოა

amara computers
„კამარა-კომპიუტერ"-თან არსებული „კომპიუტერულ – ტექნოლოგიათა სასწავლო ცენტრი – ლიცეუმი" აცხადებს მიღებას სპეციალობით „კომპიუტერული ტექნოლოგიები".
(სწავლების ხანგრძლივობა 1 წელი).
აგრეთვე შუნჟიონირებს კომპიუტერული, საბუღალტრო აღრიცხვისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
სწავლება მიმდინარეობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.
ტელ: 95 29 99
მისამართი: ბაქის ქ.2

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ
ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს
"ყვითელი ანგელოზი"
26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"
დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება ხანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა — £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციების ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი — £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მაგისტრატურის შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67 ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა
ლონდონში

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მხიარული"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.